



სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების
პროგრამის ცენტრი გდანსკში
სტაროე პოლე განყოფილება




სახელმძღვანელო

კონსულტანტებისათვის
სოფლის მეურნეობაში



სტაროე პოლე
2008



Project No. 1140/2008/AD



საკონსულტაციო ცენტრების როლი
სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი
პროდუქტების განვითარებისათვის საქართველოში

Oddziaływanie doradztwa rolniczego na rozwój rolnictwa i
przedsiębiorczości na obszarach wiejskich Gruzji

საქართველოს ახალგაზრდა აგრონომის-ეკონომისტთა კავშირი
Związek Młodych Naukowców – Agronomów Gruzji



გდანსკში სასოფლო-სამეურნეო
კონსულტირების პომორსკის ცენტრის
სტაროე პოლეს განყოფილება

სახელმძღვანელო კონსულტანტებისათვის სოფლის მეურნეობაში

სახელმძღვანელო დამუშავდა და გამოიცა 1140/2008/AD პროექტის ფარგლებში
„კონსულტანტების მომზადება სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი
მრეწველობის განვითარებისათვის საქართველოში“

Project No. 1140/2008/AD «Influence agricultural advising on development of agriculture
and enterprises on rural areas of Georgia»

რეალიზებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ
პოლონური პროგრამა „თანამშრომლობა-განვითარებისათვის“ ფარგლებში 2008 წელი

Realized by the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland
in terms of Polish aid programme 2008 year.

პუბლიკაცია გამოხატავს ავტორის ექსკლუზიურ შეხედულებებს და არ შეიძლება
მოხდეს მისი გაიგივება პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს
ოფიციალურ პოზიციასთან

The publication expresses exclusively the views of the author and cannot be identified with
the official stance of the Ministry of Foreign Affairs of the Republic of Poland”

სტაროე პოლე
2008 წელი

UDC 338.43
კ(243)

**გდანსკში სასოფლო-სამეურნეო
კონსულტირების პომორსკის ცენტრის
სტაროე პოლეს განყოფილება**

პასუხისმგებელი რედაქტორი:

ანტონ ჰაიდაჩუკი

ავტორები:

ვანდა ბარანსკა, მარჩინ გრენდა, ანტონ ჰაიდაჩუკი, ჩესლავ ჰუმენცკი, პანა კალკოვსკა, ვაცლავ კასპიკოვსკი, იოანა კრულიკოვსკა-პოიავა, ზბიგნევე მარჩინიაკი, აგნეშკა როევსკა, ბოგუსლავ რონჟევსკი, მარია სავირსკა, ვლადზიმეჟ სავირსკი, ევა შიმანსკა, სებასტიან ზეიჟი.

გამომცემელი:

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი გდანსკში
სტაროე პოლეს განყოფილება

მთარგმნელი და მეცნიერ-რედაქტორი:

ლელა ცირეკიძე – აკად. დოქტორი. საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიისა და ეკონომიკის განყოფილების
სწავლული მდივანი.

დაბეჭდილია: საქართველო, თბილისი, 2100 ვგზემპლარი

© წიგნზე ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-0-0871-9

შინაარსი

I. კონსულტაცია სოფლის მეურნეობაში

1. სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების ფუნქციები და მიზნები (ა. ჰაიდაჩუკი).....	9
2. კონსულტაციის თეორიის ელემენტები (ა. ჰაიდაჩუკი).....	10
3. სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების მიმართულებები (ა. ჰაიდაჩუკი).....	15
4. სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების ფორმები და მეთოდები (ა. ჰაიდაჩუკი).....	19
5. კონსულტირების შემდგომი განვითარების პერსპექტივები სოფლად (ა. ჰაიდაჩუკი).....	27
6. სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების ორგანიზაცია და მართვა (ა. ჰაიდაჩუკი).....	29

II სოფლის მეურნეობის ეკონომიკა

1. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა (ბ. რონუეცსკი)	33
2. აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში (მ. გრენდა)	55
3. ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია (ს. ზეიფეი)	58

III. ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში

1. მარცვლეულის წარმოების ტექნოლოგია და ბაზარი (ჩ. ჯუმენცკი, ვ. კასპიკოვსკი)	63
2. რაფის წარმოების ტექნოლოგია და ბაზარი (პ. კალკოვსკა)	69
3. შაქრის ჭარხლის წარმოების ტექნოლოგია და ბაზარი (პ. კალკოვსკა).....	73
4. მ.რ.პ მოვლა-შენახვის ტექნოლოგია და რძის ბაზარი (საძოვრების გათვალისწინებით) (ე. ბარანსკა, ზ. მარჩინიაკი)	79
5. მეღორეობის ზოგიერთი საკითხი (ვ. სავირსკი)	84
6. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლის მოწინავე პრაქტიკა (ჩ. ჯუმენცკი, ზ. მარჩინიაკი).....	93
7. ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა (ი. კრულიკოვსკა-პოიაევა).....	98
8. გარემოს დაცვა სოფლის ტერიტორიებზე (მ. სავირსკა)	101

IV. მფარამოვა სოფლის მეურნეობაში

1. მეწარმეობის პრინციპები და შინაარსი (ა. როეცსკა)	109
2. აგროტურისტული მეურნეობის ორგანიზაცია (ა. როეცსკა)	114
3. ინსტიტუტების როლი მეწარმეობის განვითარებაში (ე. შიმანსკა) ..	121

V. სოფლის ტერიტორიების განვითარება

სოფლის ტერიტორიების განვითარება (ა. შიმანსკა)	127
---	-----

წინათქმა

ევროკავშირში გაწევრიანებამდე ქვეყნებმა სხვადასხვა სფეროში (მ.შ. სოფლის მეურნეობაში) განვითარების გარკვეული ეტაპები უნდა გაიარონ. ასეთი გზა გაიარა პოლონეთის რესპუბლიკამ 1994 წლიდან 2004 წლის 1 მაისამდე, ევროკავშირში შესვლამდე. პოლონეთის გამოცდილებას რამდენიმე წელია, წარმატებით იყენებენ უკრაინა, მოლდოვა, რუსეთი.

სწორედ ამ მიზნით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პოლონეთის მთავრობა პროგრამა „თანამშრომლობა-განვითარებისათვის“ ფარგლებში, საქართველოში ანხორციელებს „სოფლის ტერიტორიების განვითარების“ პროექტს. იგი მიმდინარეობს გდანსკში სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრის სტაროე პოლეს განყოფილებასა და საქართველოს ახალგაზრდა აგრარიკოს-მეცნიერთა კავშირის თანაპარტნიორობით. პროექტი გულისხმობს აგრარულ სფეროში კონსულტანტების მომზადებასა და სოფლის განვითარებას.

ამ პროგრამით საქართველოს ახალგაზრდა აგრარიკოს-მეცნიერთა კავშირის წევრი ფერმერთა ჯგუფი 2008 წელს იმყოფებოდა პოლონეთში და საშუალება ჰქონდა, ადგილზე გასცნობოდა ქვეყნის სოფლის მეურნეობაში არსებულ სიმწიფეებს, მიღწევებსა და გამოცდილებას.

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია აგრარულ სფეროში დასაქმებული მეცნიერების, კონსულტანტებისა და ფერმერებისათვის (გლეხებისათვის). მისი გამოცემა მიმდინარეობს პროექტის ფარგლებში და ჩვენი მოკრძალებული სურვილია, მცირე წვლილი შევიტანოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

საქართველოს ახალგაზრდა აგრარიკოს-მეცნიერთა კავშირი მადლიერებით მიიღებს დაინტერესებული პირების მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და საქმიან წინადადებებს.

აკად. დოქტ. ლ. ცირეიძე
საქართველოს ახალგაზრდა აგრარიკოს-მეცნიერთა
კავშირის პრეზიდენტი

შეჯამება

სახელმძღვანელო დამუშავდა და გამოიცა პროექტების „კონსულტანტების მოწოდება სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის საქართველოში“ და „სოფლის მრეწველურ-ეკონომიკურ განვითარების სტიმულირება — სასაზღვრო თანამშრომლობა“, რომელიც მოწონებული და რეკომენდირებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ პოლონური პროგრამა „თანამშრომლობა-განვითარებისათვის“ ფარგლებში 2008 წ.

სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც საკონსულტაციო დაწესებულებების, ასევე გლეხებისა და აგრარული სფეროს განვითარებით დაინტერესებულ პირთათვის.

სახელმძღვანელო შედგება ხუთი თავისაგან:

პირველი თავი ეხება კონსულტირებას სოფლის მეურნეობაში. პოლონეთის მაგალითზე წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების განვითარების პერსპექტივები, მისი მიზნები, ფუნქციები, მიმართულებები, ფორმები, მეთოდები და საორგანიზაციო სტრუქტურა.

მეორე ნაწილი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების და ეკონომიკის პრობლემებს, მათ შორის ხარჯების დაგეგმვა, წარმოების სტრუქტურების განსაზღვრა (ბიზნეს-გეგმა), კოოპერაციის პრინციპები.

მესამე ნაწილში წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ტექნოლოგიები მარცვლეულის, რაფის, შაქრის ჭარხლის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და ღორის ხორცის ბაზრების ფუნქციონირების პრინციპები. ამასთანავე, წარმოდგენილია გარემოს დაცვითი საკითხები და ეკოლოგია.

მეოთხე ნაწილში აღწერილია სოფლად მეწარმეობის პრინციპები და ზოგიერთი მიმართულება. წარმოდგენილია ტურიზმის და აგროტურიზმის სფეროს განვითარების პოლონური გამოცდილება. ამავდროულად, დახასიათებულია სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის როლი სოფლად მეწარმეობის სულისკვეთების ჩამოყალიბებაში.

მეხუთე თავში წარმოდგენილია პოლონეთის გამოცდილება სასოფლო ტერიტორიების განვითარების პროგრამების რეალიზაციაში.

გამოვთქვამთ იმედს, რომ სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის რესტრუქტურისა და მეურნეობების მოდერნიზაციას და საკონსულტაციო ინსტიტუტების საქმიანობის სრულყოფას.

ანტონი ჰაიდარუკი
პასუხისმგებელი რედაქტორი

I

კონსულტაცია სოფლის მეურნეობაში

ანტონ ჰაიდაჩუკი

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირება

კონსულტირება, მ.შ. სოფლის მეურნეობაში, ხოლო უფრო ფართო გაგებით-სოფლის ეკონომიკაში, წარმოადგენს კონსულტანტისა და კლიენტის (გლეხი, სოფლის მცხოვრებია და ა.შ.) ურთიერთობას იმ მიზნით, რომ თანამედროვე მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით მიიღება სასურველი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შედეგი.

1. სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების ფუნქციები და მიზნები

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების ფუნქციები მისი პროგრამული მიზნებით და გამოყენებული მეთოდებით განისაზღვრება.

კონსულტაციის მეთოდიკიდან გამომდინარე, კონსულტირების ფუნქციები შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად:

— ძირითადი (მთავარი):

- პროგრამული — (მეურნეობის, სოფლის ტერიტორიების განვითარების სტრატეგიის და პროგრამების მომზადება);
- საკონსულტაციო — (პრობლემების განსაზღვრა და გადაჭრა);

— მეორადი (დამატებითი)

- საგანმანათლებლო — (ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაერცელება);
- საინფორმაციო — (სამეცნიერო-ტექნიკური და მარკეტინგული ინფორმაციის გაერცელება);
- ინოვაციური — (სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გამოცდილების დანერგვა და გაეცრელება).

განსახორციელებელი მიზნებიდან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო კონსულტირება ასრულებს შემდეგ ამოცანებს:

- სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისათვის ხელშეწყობა;
- გლეხებისა და სოფლის მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა პრობლემების გადაწყვეტაში.

ამ შემთხვევებში კონსულტირება მოიცავს ეკონომიკის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, კულტურის და ყოფით სფეროებს.

როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დამხმარე ინსტრუმენტი, კონსულტირება ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც საკონსულტაციო დაწესებულებები წარმოადგენენ სახელმწიფოს და აქვთ შესაბამისი საორგანიზაციო სტრუქტურა, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე რეგიონალური და თვითმმართველობის დონეზე.

საკონსულტაციო სამსახურების ფუნქციონირების სერიოზული აუცილებლობა მაშინ დგება, როდესაც მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები ტარდება. ამ სიტუაციაში საკონსულტაციო სამსახურების ამოცანაა, ეფექტურად განმარტოს აგრარული რეფორმების მიზნები, მოსახლეობას გააცნოს თამაშის ახალი წესები და სოციალურ-ეკონომიკური კლიმატის რეგულირების პრინციპები. ასევე მნიშვნელოვანია საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის რესტრუქტურირების პროცესებში და მეურნეობების მოდერნიზაციაში, მ.შ. გადამამუშავებელ და საეაჭრო ინფრასტრუქტურაში.

მსგავსი ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელება სოფლად მკვეთრად აჩქარებს სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებს.

ამ ცვლილებების საწყის ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ცალკეული პიროვნების, ისე კოლექტივების ეკონომიკურ ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენას. მოქალაქეებში ცვლილებებისადმი, აქტიურობისადმი მზადყოფნა, სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარის ჩამოყალიბება წარმოადგენს დინამიური ეკონომიკური რეფორმის გადამწყვეტ ფაქტორს.

2. კონსულტირების თეორიის ელემენტები


კონსულტირება წარმოადგენს ცოდნის და პრაქტიკული საქმიანობის იმ სფეროს, რომელსაც ახასიათებს ორსუბიექტიანობა და მისი რეალიზაცია შესაძლებელია სიბრტყეში: კონსულტანტი — გლეხი.

ამ კავშირის ინტერპერსონალური მახასიათებლების ანალიზი ადასტურებს, რომ საქმიანობის ეფექტურობა დამოკიდებულია:

- კონსულტანტის და გლეხის ურთიერთკავშირზე პროფესიულ (ცოდნის და უნარ-ჩვევების დონე, ეკონომიკური და სამეურნეო ხედვა, საქმიანობის პრინციპები და ა.შ.) და ფსიქოლოგიურ (მოთხოვნილებათა იერარქია, ინტერესები და ა.შ.) კონტექსტში;
- მეურნეობის ეკონომიკური და სამეურნეო სიტუაციების შესწავლასა და ანალიზზე, ოჯახის სოციალურ სიტუაციასა და ამ ფონზე გლეხისა და მის ოჯახში წარმოქმნილ პრობლემებზე.
- თანამშრომლობის მიზნების, პრინციპების საკომუნიკაციო ფორმის და მეთოდების განსაზღვრაზე.

ორსუბიექტიანი კავშირი, კონსულტანტი — გლეხი, ფუნქციონირებს განსაზღვრულ გარე ფაქტორების ფონზე, სადაც კონსულტანტი წარმოადგენს თავის ფირმას, ხოლო გლეხი — თემს. კონსულტანტმა ზუსტად უნდა იცოდეს, რამდენად შეუძლია მის ფირმას კვალიფიციური კონსულტაციების გაწევა. გლეხს შეუძლია, მიღებული ინფორმაცია გაუზიაროს როგორც მეზობლებს, ასევე მთლიანად თემს.

ჯგუფების, კოოპერაციების და ცალკეული კლიენტების კონსულტირების სქემა



სქემის თანახმად, კავშირი კონსულტანტი-გლეხი, საშუალებას იძლევა ინდივიდუალური კონსულტირება გაერცელებს ჯგუფსა და თემზე.

განსაკუთრებულად ეფექტურია აღნიშნული კავშირი იმ სიტუაციაში, როდესაც კონსულტანტი და გლეხი გამოირჩევიან საქმიანი თვისებებით. აღნიშნული თვისებები ყალიბდება ადამიანის ხასიათისა და საქმიანობის ურთიერთშერწყმის პირობებში. შედეგად ყალიბდება მეწარმე შემდეგი განსხვავებული თვისებებით:

- მიმდინარე მოვლენების რეალურად შეფასება;
- კრიტიკის შემოქმედებითად აღქმა;
- ოპტიმიზმი;
- საკუთარი შესაძლებლობების ცოდნა;
- გარემოცვის რეალური აღქმა და მიღება.

მიმდინარე მოვლენების რეალურად შეფასება კრეატიული აზროვნების საწინდარია. აუცილებელია მიმდინარე მოვლენების სრული აღქმა იმ პირობით, რომ დარჩე ობიექტურ, მიუკერძოებელ მეთვალყურედ ან მსმენელად. შეფასებისას არ უნდა გადააჭარბო საკუთარ კომპეტენციას. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, ვცდილობთ, თავი ავარიდოთ ჩვენთვის გაუგებარ, არაპროგნოზირებად სიტუაციებს და ორიენტაციას ვიღებთ ნაცნობ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც წარმოადგენენ გარკვეულ ღირებულებათა იერარქიის შედეგს (საქციელის სტილი და ცოდნა, რომლებიც ოჯახში, სკოლასა და საზოგადოებაშია შექმნილი). საქმიანი ხასიათი გულისხმობს სიახლისკენ სწრაფვას, აპრობირებული მოქმედების განახლებას და ახალ პირობებზე მორგებას. საქმიანი ადამიანის ყოველდღიური დევიზია — „ემოულბ ფულს იქ, სადაც სხვას არ შეუძლია.“

კრიტიკის შემოქმედებითი აღქმა გულისხმობს ყოველდღიურად გამოყენებას პრინციპისა: მაღლობა გადაკუხადოთ ოპონენტს ნებისმიერი, ზოგჯერ მწვავე კრიტიკისათვისაც, რათა შემდგომში პოზიტიური კუთხით შევაფასოთ მისი მოსაზრებები. კრიტიკის ანალიზის დროს აუცილებელია, თავი ავარიდოთ ნაჩქარე შეფასებებს.

ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები საშუალებას მოგვცემს, დავეთანხმოთ ან უარვყოთ გამოთქმული შენიშვნები. ორივე შემთხვევაში იზრდება ჩვენი სამეწარმეო პოტენციალი.

ოპტიმიზმი ჩვენს შემთხვევაში წარმოადგენს უნარს, ვუპასუხოთ

კითხვას — როგორ გაეაკეთო ის, რაც მინდა? სამყაროს ოპტიმიზტური აღქმა ძალზე მნიშვნელოვანია იმ რთულ სიტუაციაში, როდესაც საკუთარ თავს ვეკითხებით: რატომ არ გამოძღის ის, რაც მსურს? ოპტიმიზმი იძლევა საშუალებას, ეფექტურად გამოვიყენოთ ჩვენი ცოდნა და უნარ-ჩვევები მათი ემოციური დაბლოკვის თავიდან არიდების პირობებში.

საკუთარი შესაძლებლობების ცოდნა თვითშეფასების წინაპირობაა არსებული რეალობის (საზოგადოება, ოჯახი, სამსახური და ა.შ.) ფონზე. უნდა შეფასდეს საკუთარი შესაძლებლობის ყველა ელემენტი — ცოდნა, გამოცდილება, პიროვნული თვისებები, ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ. განსაკუთრებულ შედეგს აღწევს ის, ვისაც შეუძლია გააძლიეროს საკუთარი უპირატესობები და შეზღუდოს სუსტი მხარეები. ამ თვალსაზრისით ადამიანის შესაძლებლობები ძალზე ფართოა და იზღუდება მხოლოდ ჩვენი სიცოცხლის ხანგრძლივობით.

გარემოცვის რეალური აღქმა და მიღება ყველა ადამიანი ცხოვრობს გარემოცვაში, რომელიც უშუალო ზეგავლენას ახდენს მის საქმიანობასა და ქცევაზე. გარემოცვის სწორი აღქმა და მათი ინტერესების რეალური გააზრება მნიშვნელოვნად განაპირობებს სამეწარმეო შესაძლებლობებსა და შედეგებს.

გარემოცვა ყალიბდება შემდეგი სეგმენტებისაგან:

ადამიანი					
(ცოდნა, გამოცდილება, ხასიათი, ინტერესები, პიობი, ფასეულობები, მიზნები)					
გარემოცვა					
ოჯახი	საწარმო	საცხოვრებელი ადგილი	ფორმალური ჯგუფები	არაფორმალური ჯგუფები	მასშედი
ქმარი, (ცოლი), შვილები, მშობლები	თანამშრომლები, კლიენტები	მეზობლები, ადგილობრივი თვითმართელობა	პარტიები, ასოციაციები, კავშირები	მეგობრები	ტელევიზია, რადიო, გაზეთები

გარე სამყაროსთან ურთიერთობის უნარი განაპირობებს ადამიანის სოციალურ სტატუსს და მის როლს გარემოცვაში.

მეწარმეობის უნარი ყალიბდება შესაბამისი აზროვნების და მოქმედების პირობებში. მეწარმეობის უნარის ძირითადი მახასიათებლებია:

- პროფესიონალიზმი;
- რისკის უნარი;
- სიტუაციის განვითარების პროგნოზირება;
- საზრიანობა (არასტანდარტული მოქმედება);
- კრეატიულობა (შემოქმედებითი მიდგომა);
- მიზანმიმართულობა;
- პროფესიული და პირადი ამბიციები.

მეწარმე — მეწარმეობის უნარის რეალიზაციის შედეგია. მეწარმეობაში ძირითადია მიზანი. მხოლოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნის შემთხვევაშია შესაძლებელი სწორი მოქმედების სქემის განსაზღვრა შემდეგი ეტაპების გავლით:

1. გადასატრეული პრობლემის ანალიზი;
2. მიზნის გამოკვეთა;
3. პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გადაწყვეტილებების გააზრება;
4. ალტერნატივების შეფასება;
5. მოქმედების სქემის შემუშავება და აუცილებლობის შემთხვევაში — მიზნის კორექტირება;
6. მიზნის მიღწევა;
7. მიღწეული შედეგის კონტროლი და შეფასება.

მიზანი უნდა დაისახოს პოზიტიურად („უნდა ვიციოდე, რა მინდა და არა ის, რა არ მინდა“) და მაქსიმალურად კონკრეტულად, რაც ხელს შეუწყობს მოქმედების სწორი სქემის და მეთოდის შერჩევას. სიტუაციის შეფასებისას ცოდნა და გამოცდილება, რაც პროფესიონალიზმის საფუძველია, დაგეხმარებათ, გააკეთოთ შესაბამისი ანალიზი. წარმოსახვის უნარი და კრეატიულობა მოგცემთ საშუალებას, შეიმუშაოთ მოქმედების ალტერნატიული სცენარები, ხოლო ოპტიმალური სცენარის შერჩევა დამოკიდებულია სიტუაციის პროგნოზირების უნარზე, რისკისათვის მზადყოფნასა და პროფესიულ და პირად ამბიციებზე.

მეწარმეობის უნარი ერთნაირად ახასიათებს სხვადასხვა სოციალურ და პროფესიულ ჯგუფებს, მაგალითად, ბიზნესმენებს, მეცნიერებს და ა.შ. სოციალური ტრადიციებიდან და, ზოგადად, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, აღნიშნული თვისება შედარებით ნაკლებად ვლინდება

გლუხებში. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მეწარმეობის უნარი უკეთესად ვლინდება ახალგაზრდებში, რაც რეფორმების ეფექტურ რესურსს წარმოადგენს.

3. სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების მიმართულებები

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირება სოფლის მეურნეობის განვითარების პარალელურად ვითარდებოდა. მაგალითად, ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული კონსულტაციების აუცილებლობა, ეკონომიკურმა რეფორმებმა აქტუალური გახადა ორგანიზაციულ-ეკონომიკური კონსულტაციები, ინტეგრაციამ და გლობალიზაციამ დააჩქარა კონსულტაციების იურიდიული ბლოკის განვითარება. ამჟამად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულება გაერთიანდა ერთში — „სოფლის მეურნეობის მართვა“.

კონსულტირების ძირითადი მიმართულებებია:

- ტექნოლოგიური კონსულტირება;
- ორგანიზაციული კონსულტირება;
- ეკონომიკური კონსულტირება;
- იურიდიული კონსულტირება;
- სოციალურ-ყოფითი კონსულტირება;
- კონსულტირება სტანდარტების სფეროში.

3.1. ტექნოლოგიური კონსულტირება

ბიოლოგიის და ტექნიკის ინტენსიურმა განვითარებამ სტიმული მისცა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში. ეს ტექნოლოგიები მკვეთრად ზრდიან პროდუქციის როგორც მოცულობას, ასევე ხარისხს, მაგრამ მოითხოვენ შესაბამის სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზას. აღნიშნული ტექნოლოგიების დასანერგად ბევრი მეურნეობა მოუშვადებელი აღმოჩნდა, ამის გამო, კონსულტირების ამ სფეროში გამოიყენებოდა საგანმანათლებლო მეთოდები, რომლებიც გლუხებს საშუალებას აძლევდა, შეესწავლათ როგორც ახალი შესაძლებლობები, ისე ვიზუალიზაციის, დემონსტრირებისა და ა.შ. მეთოდები.

მემცენარეობის დარგში კონსულტაციების ძირითადი თემები იყო: მცენარეების ახალი ჯიშების კულტივირება, სასუქის რაციონალური გამოყენება, გარემოს დაცვა, ნიადაგმცოდნეობა და ა.შ.

რაც შეეხება მეცხოველეობას, აქ ძირითადი საკითხები იყო ცხოველთა გენეტიკა და სელექცია, საკვები ბაზის ორგანიზაცია, ცხოველთა რაციონალური კვება და ბოლო დროს — ცხოველთა ჰიგიენა და გარემოს დაცვა.

ტექნოლოგიური კონსულტირების ეფექტურობამ ძალზე სწრაფად იზინა თავი. იგი გახდა წარმოებისა და მოსავლიანობის, რიგ შემთხვევებში კი — გადამუშავების, სწრაფი ზრდის ფაქტორი. მოსავლიანობის სწრაფი ზრდისაკენ სწრაფვამ ცალკეულ შემთხვევაში, ნეგატიური მოვლენები გამოიწვია — სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ინტენსიური წარმოების რაიონებში დაბინძურდა გარემო. აღნიშნულმა განაპირობა სწრაფვა ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვისაკენ.

ქიმიზაციამ გარემოს დაცვითი შესაბამისი ღონისძიებების გათვალისწინების გარეშე წარმოქმნა ახალი პრობლემები, რის გამოც დღეს მეტი ყურადღება ექცევა არა ინტენსიურ, არამედ ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ტექნოლოგიური კონსულტირების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

3.2 ორგანიზაციული კონსულტირება

უკავშირდება მეურნეობების მოდერნიზაციას და რესტრუქტურინაციას. აღნიშნული კონსულტირების ფორმა ძალზე მნიშვნელოვანია მასშტაბური რეფორმების პირობებში, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც პოლონეთში, ასევე მოლდავეთსა და რუსეთში. წარმოების რესტრუქტურინაცია ძირითადად უკავშირდება მეურნეობების რაოდენობის ზრდას, ხოლო მოდერნიზაცია — მათი საწარმოო-ტექნიკური ბაზის და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ორგანიზაციული კონსულტირების ძირითადი მეთოდებია რესტრუქტურინაციის ალტენატიული პროგრამების მომზადება და მეურნეობის მოდერნიზაცია იმ მიმართულებით, რომელიც გლეხს დაეხმარება მიზნის მიღწევაში.

ორგანიზაციული კონსულტირების მეორე სფერო გულისხმობს თავისუფალი ბაზრის პირობებში გლეხებისათვის დახმარებას. მისი ძირითადი ფორმებია: გლეხისათვის ბაზრის მდგომარეობის შესახებ

ინფორმაციის დროული მიწოდება, საწარმოო კოოპერირებაში საპარტნიორო ურთიერთობების დამყარებაში დახმარება და ხელშეწყობა.

3.3. ეკონომიკური კონსულტირება

ეფუძნება როგორც ტექნოლოგიურ, ისე ორგანიზაციულ კონსულტირებას. მისი მიზანია კონკრეტული გლეხის პირდაპირი შემოსავლების ზრდა. ძირითად ინსტრუმენტად გამოიყენება წარმოების კონკრეტული მიმართულებების მიხედვით შედგენილი ფინანსური გეგმა, რაც ახალი ტექნოლოგიების ეკონომიკური შეფასების საშუალებას იძლევა.

იმ მეურნეობებისათვის, რომლებიც რესტრუქტურისაციასა და მოდერნიზაციას ახორციელებენ, მუშავდება განვითარების პროგრამები და ბიზნეს-გეგმა, სადაც ეკონომიკურ ეფექტებთან ერთად განიხილება საინვესტიციო პერსპექტივები.

ეკონომიკური კონსულტირების ნაწილს ფინანსური კონსულტირება წარმოადგენს, რომელიც ფულადი ურთიერთობების აღმოცენებისთანავე წარმოიშვა. ასეთი კონსულტირების ძირითად მეთოდებს წარმოადგენს საგადასახადო და საკრედიტო კონსულტირება, საინფორმაციო მომსახურება. საკრედიტო ურთიერთობების დარეგულირება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საწარმოს წარმატებას.

3.4 იურიდიული კონსულტირება

ორი მიმართულებით ვითარდება: სამოქალაქო სამართალი და ეკონომიკური სამართალი. კონსულტირება სამოქალაქო სამართლის სფეროში ძირითადად კონცენტრირებულია სოციალურ და სამედიცინო დაზღვევაზე. კონსულტირებამ ეკონომიკური სამართლის სფეროში ინტენსიური განვითარება ჰპოვა საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების თანავე. ეს სექტორი არეგულირებს სახელშეკრულებო ურთიერთობებს, მეწარმის უფლებების დაცვას, საწარმოების და ფირმების შექმნას და ა.შ.

3.5 სოციალურ-ყოფითი კონსულტირება

უკავშირდება გლეხის ოჯახის ყოფით საკითხებს, როგორცაა: საოჯახო ბიუჯეტი, შრომის ორგანიზაცია, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა და ჰიგიენა, სახლის რემონტი, კარ-მიდამოს კეთილმოწყობა, დასვენების და გართობის ორგანიზაცია, სოციალურ-კულტურული აქტიურობა.

სოციალურ-ყოფითი კონსულტირება ძირითადად ორიენტირებულია ქალებზე, რომლებიც ტრადიციულად უზრუნველყოფენ სახლის და საკარმიდამო სამუშაოების ორგანიზებას.


ტრადიციულ სოფლის მეურნეობაში სამეწარმეო და ყოფითი ფუნქციები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო და სოციალურ-ყოფითი კონსულტირებების კოორდინაციას.

3.6 კონსულტირება სტანდარტების სფეროში

წარმოადგენს ახალ მიმართულებას, რომელიც სოფლის მეურნეობაში ნერგავს თანამედროვე სტანდარტებს ჯანდაცვის და ჰიგიენის, პროდუქციის ხარისხის და გარემოს დაცვის სფეროებში.

კონსულტირების ცალკეული მიმართულებების განვითარება პოლონეთში

კონსულტირების ძალებისა და საშუალებების მოზიდვა



4. სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების ფორმები და მეთოდები

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების სამი ძირითადი ფორმა არსებობს:

- კოლექტიური კონსულტირება;
- ჯგუფური კონსულტირება;
- ინდივიდუალური კონსულტირება.

4.1 კოლექტიური კონსულტირება

კოლექტიური კონსულტირება ისეთ მეთოდებს იყენებს, რომლებიც მსმენელთა დიდ აუდიტორიასთან მუშაობის და ზოგადი ინფორმაციის მიწოდების საშუალებას იძლევა. იგი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მსმენელისაგან მოითხოვს, მოახდინოს ინფორმაციის შერჩევა და დამოუკიდებლად განსაზღვროს საქმიანობაში ამ ინფორმაციის გამოყენების ხარისხი. მეთოდების ეს ჯგუფი შედარებით ეფექტურია ბაზრის შესახებ ინფორმაციის გასაფრთხილებლად, მაგრამ ნაკლებად ეფექტურია სპეციალიზირებული ცოდნის მიწოდების თვალსაზრისით.

კოლექტიური კონსულტირების ძირითადი მეთოდები:

- კოლექტიური სემინარები;
- ბროშურები;
- სასოფლო-სამეურნეო ჟურნალები;
- გაზეთები;
- რადიო;
- ტელევიზია;
- ინტერნეტი;
- გამოფენები.

კოლექტიური სემინარების ფორმა დღეისათვის მოქველდა, ვინაიდან იგი გამოიყენებოდა იმ დროს, როდესაც ინფორმაციის მასობრივი საშუალებები (ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი და ა.შ.) არ იყო ყველასათვის ხელმისაწვდომი.

ბროშურები წარმოადგენენ მცირე მოცულობის გამოცემას, რომელიც დეტალურად აღწერს ერთ კონკრეტულ საკითხს. დადებითა ის, რომ გლეხები კარგად იყენებენ ბროშურებს, სადაც აღწერილია წარმოების

ტექნოლოგიები და მეურნეობის რენტაბელობის გამოთვლის წესები. ნაკლოვან მხარედ უნდა ჩაითვალოს ბროშურების გამოცემის მაღალი თვითღირებულება და სწრაფი გამოსვლა მოხმარებიდან.

სასოფლო-სამეურნეო ჟურნალები, ეს საერთოეროვნული ან რეგიონალური გამოცემები უმეტესწილად შეიცავენ საინფორმაციო-საგანმანათლებლო სახის მასალებს. მათ დადებით მხარეს წარმოადგენს მიწოდებული ინფორმაციის აქტუალობა, ხოლო უარყოფით მხარეს – გამოქვეყნებული მასალების ზოგადი ხასიათი.

სასოფლო-სამეურნეო ჟურნალები იყოფა ორ ჯგუფად: დარგობრივი გამოცემები და პერიოდული (საკონსულტაციო) ჟურნალები.

დარგობრივი გამოცემები კონკრეტული დარგის განვითარების შესახებ ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. მათი უპირატესობაა მაღალი აქტუალობა და თვალსაჩინო მიმართულება. ნაკლოვან მხარეს წარმოადგენს ის, რომ მრავალპროფილიან წარმოების პირობებში აუცილებელია რამდენიმე დარგობრივი ჟურნალის გამოწერა. გლეხებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობენ გამოცემები მეცხოველეობის, მებოსტნეობისა და აგროქიმიის შესახებ.

პერიოდული (საკონსულტაციო) ჟურნალები წარმოადგენს საკონსულტაციო სამსახურის გამოცემას, რომელშიც მოცემულია აღნიშნული საკონსულტაციო სამსახურის მუშაობის სპეციფიკა პრობლემების მიხედვით. ამ ჟურნალებში მოცემულია სხვადასხვა მასალა დარგების და კონკრეტული რეგიონების მიხედვით, რაც მათი უპირატესობაა. ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს მაღალი თვითღირებულება და დაბალი ტირაჟი.

გაზეთები — ეროვნული და ლოკალური, ყოველდღიური და ყოველკვირეული ავერცელებენ ზოგად ინფორმაციას სოფლის მეურნეობის შესახებ და გლეხების პროფესიული დაინტერესება ამ გაზეთებით მინიმალურია.

რადიო — პირველ რიგში სახელმწიფო და შემდეგ კომერციული არხები ხშირად გადასცემენ ეთერში საგანმანათლებლო და საინფორმაციო შინაარსის სასოფლო-სამეურნეო გადაცემებს. აღნიშნული გადაცემების ნაკლოვან მხარეს წარმოადგენს ის, რომ გადაცემის სირთულისდაკვლად მკვეთრად იკლებს ინფორმაციის აღქმის უნარი (აღქმისას ჩართულია მხოლოდ სმენა, თანაც არ ხდება ინფორმაციის განმეორება). ქვეყნებში,

სადაც განვითარებულია ტელევიზია, რადიოგადაცემები კარგავენ თავის წინანდელ მნიშვნელობას.

ტელევიზია — (უმეტესწილად-საზოგადოებრივი) გადაცემები ძირითადად საინფორმაციო - პუბლიცისტური ხასიათისაა. უარყოფითი მხარეა ის, რომ მათი ვიზუალიზაციისა და აქტუალობის მიუხედავად მიწოდებული ინფორმაცია ზოგადაა და ცალმხრივი. მნიშვნელოვანია, რომ ტელევიზია დისტანციური სწავლების საშუალებას იძლევა.

ინტერნეტი — ორმხრივი კომუნიკაციის ფართოდ გავრცელებული ფორმაა, რომელიც პერსპექტივაში ინფორმაციის გაცვლის და ცოდნის მიღების ძირითად საშუალებად ჩამოყალიბდება. ინტერნეტი სპეციალური სადისკუსიო და ინტერესების ჩატ-ჯგუფების ჩამოყალიბების პირობებში კარგად ფუნქციონირებს, როგორც კოლექტიური და ჯგუფური კონსულტირების საშუალება. პირადი პაროლების გამოყენების გზით, ინტერნეტი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც გარკვეული ჯგუფის დახურული პლატფორმა. უახლოეს მომავალში ინტერნეტი ჩაანაცვლებს ყველა კლასიკური ფორმის კონსულტირებას და საგანმანათლებლო მეთოდს.

გამოფენა ჩამოყალიბდა როგორც კონსულტირების მასობრივი და ეფექტური ფორმა. იგი ერთის მხრივ აერთიანებს მეწარმეს, ვაჭარს, კონსულტანტს, ხოლო მეორეს მხრივ — გლეხებს და მათ ოჯახებს. გამოფენებზე გლეხს უმოკლეს დროში შეუძლია გაეცნოს უახლეს ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, წარმოების საშუალებებს და გამოყენებულ ტექნოლოგიებს, გაეცნოს აგროტექნიკისა და სელექციის ახალ მიღწევებს, შეხვდეს დარგობრივი ასოციაციებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მიიღოს რჩევები სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და სამართლის სფეროში.

4.2 ჯგუფური კონსულტირება

ჯგუფური კონსულტირება, როგორც ინფორმაციის გადაცემის და აღქმის საშუალება, უფრო ეფექტურია, ვიდრე კოლექტიური კონსულტირება. ცოდნის გამოცდილების და ინფორმაციის გაცვლა ჯგუფური კონსულტირების პირობებში ხორციელდება არა მხოლოდ კონსულტანტსა და მსმენელებს (გლეხებს), არამედ მსმენელთა შორისაც.

ჯგუფური კონსულტირების მეთოდი შეზღუდული ფორმატის გამო უფრო ძვირი ფორმაა, ვიდრე კოლექტიური კონსულტირება. ჯგუფური კონსულტირების ძირითადი მეთოდებია:

- სპეციალიზირებული სემინარები;
- პრაქტიკული სემინარები (გასვლითი, ველის კონტროლი);
- ტექნიკის დემონსტრირება;
- ტექნოლოგიების გამოფენები;
- კონკურსები;
- გამოფენები;
- მიზნობრივი ჯგუფები.

სპეციალიზირებული სემინარები ეწყობა გლეხთა იმ ჯგუფებისათვის, ვისაც აქვს სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე მსგავსი პრობლემები და მოთხოვნები. მათი უპირატესობა ისაა, რომ შესაძლებელია კურსის ორგანიზება კონკრეტული ინტერესების და პრობლემების ფარგლებში შესაბამისი მაგალითების დემონსტრირებით. მაგალითების დემონსტრირების პროცესში მსმენელები აქტიურად იყენებენ პირად საწარმოო და ყოფით გამოცდილებას, სვამენ შეკითხვებს და აფასებენ მიღებულ ინფორმაციას. ჯგუფური კონსულტირების უარყოფით მხარეა, რომ მსმენელები იშვიათად იწერენ მიღებულ ინფორმაციას, რითაც ეფექტურობა მცირდება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მსმენელები დისკუსიის ფორმატშიც აკეთებდნენ შესაბამის ჩანაწერებს, ხოლო ორგანიზატორებმა თემატიკასთან დაკავშირებული ბროშურები მიაწოდონ.

პრაქტიკული სემინარები ძირითადად ტარდება წარმატებული მეურნეობების ან კონკრეტული პრაქტიკული მასტერ-კლასების პირობებში. ამ ფორმის უპირატესობა ის გახლავთ, რომ კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების ფონზე მაღალია ინფორმაციის აღქმის და რეალიზაციის დონე, მაგალითად, მინდვრად კოლექტიური ინსპექტირების, ტექნიკის დემონსტრაციის, ექსპერიმენტის შედეგების და ა.შ. შეფასების პირობებში. მეთოდის ნაკლია მაღალი ორგანიზაციული ხარჯები.

ტექნიკის გამოყენების დემონსტრირება ძირითადად მეცენარეობასა და მეცხოველეობაში ხორციელდება. მეცადინეობის ეს ფორმა ტარდება კონკრეტული ტექნოლოგიის ან სეგმენტის შესაძლებლობების წარდგენისათვის, მაგალითად, შაქრის ჭარხლის ტექნოლოგიის დემონსტრირება საწარმოო ფართობის მოშადებიდან შენახვის ორგანიზაციამდე.

აღნიშნული ტექნოლოგიები არ უნდა იყოს ექსპერიმენტალური და აუცილებლად უნდა წარმოადგენდნენ კონკრეტულ საწარმოო სივრცეს. ასეთი ღონისძიების დროს უნდა არსებობდეს ამა თუ იმ ტექნოლოგიის ალტერნატიული ტექნოლოგიების გამოყენების გზით მიღებულ შედეგებთან შედარების შესაძლებლობა. ამა თუ იმ ტექნოლოგიის შესაძლებლობათა დემონსტრაციის პროცესი დოკუმენტალურად უნდა დაფიქსირდეს, ხოლო შედეგები პრაქტიკული მეცადინეობების დროს უნდა იქნას გამოყენებული.

ტექნოლოგიების გამოყენა პირველ რიგში გულისხმობს ვიწროტექნოლოგიური და საორგანიზაციო საკითხების დემონსტრირებას, მაგალითად, სათესების, სარწყავი სისტემების, სპეციალური დანადგარების, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მეხორცული პარამეტრების და ა.შ. შესწავლა-შეფასება. აღნიშნული ღონისძიების ჩატარებამდე ეწყობა შესაბამისი ინსტრუქტაჟი.

კონკურსები თანამშრომლობის და კონკურენციის სტიმულირების კარგი საშუალებაა როგორც გლეხებს, ასევე საწარმოებს და ასოციაციებს შორის. პოლონეთში ყველაზე ცნობილი კონკურსებია „აგროლიგა“, „წლის ფერმერი“, „ოქროს ღარი“, „სოფლის ტერიტორიების კეთილმოწყობა“ და სხვა. კონკურსების უპირატესობაა მაღალი შედეგების მიღწევა შეჯიბრების პროცესში, გარდა ამისა, ხდება გამარჯვებულების დაჯილდოება.

გამოყენა, როგორც წესი, ეძღვნება კონკრეტულ საგნებს — წიგნებს, ყვავილებს, ცხოველებს და ა.შ. იგი შეიძლება იყოს უფრო მრავალფეროვანიც, მაგალითად, კონფერენცია, „მოსავლის დღესასწაული“ და ა.შ.

მიზნობრივი ჯგუფები წარმოადგენენ სადისკუსიო ან პრაქტიკულ რგოლს, რომელიც კონსულტირების პროგრამებზე, სტრატეგიაზე, ტაქტიკაზე და ა.შ. მუშაობს.

სადისკუსიო ჯგუფებს აქვთ მუდმივი შემადგენლობა 5-30 მონაწილემდე. მათი ძირითადი მიზანია გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალური და კოლექტიური პროცესის განხილვა და სტიმულირება გლეხებში.

ჯგუფში დისკუსია მიმდინარეობს კონსულტანტის (ექსპერტის) ხელმძღვანელობით, რაც ინფორმაციის დაჯგუფების შესაძლებლობას იძლევა. პრობლემის ჯგუფური განხილვა იძლევა საშუალებას, ახლებურად შეფასდეს პრობლემის არსი, მისი სტრუქტურა და რეალიზაციის ალგორითმი სხვა მონაწილეთა აზრის და გამოცდილების გაზიარების გზით. დისკუსიის პროცესში აუცილებელია დისკუსიის ფორმატის ხშირი ტრანსფორმაცია, ჯგუფის მონაწილეთა მოქმედებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური და კოლექტიური გადაწყვეტილების დაბალანსირებული შესაძლებლობის შექმნის მიზნით, სადისკუსიო ჯგუფი პერსპექტივაში უნდა გარდაიქმნას საკონსულტაციო ჯგუფად კონსულტირების სტრატეგიის და პროგრამების საკითხებში.

კონსულტირება სტრატეგიის და პროგრამების საკითხებში (ე.წ. „ირლანდიური მეთოდი“) ეხება მსგავსი პრობლემების მქონე გლეხთა ჯგუფებს. ამ მეთოდის საფუძველს წარმოადგენს საკონსულტაციო პროგრამა, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

I ეტაპი. სიტუაციის (პრობლემის) ანალიზი.

I ნაბიჯი — პრობლემის ფორმულირება;

II ნაბიჯი — პრობლემის წარმოქმნის მიზეზების ანალიზი.

ამ ეტაპზე გროვდება და ანალიზი უკეთდება ინფორმაციას, რომელიც ეხება კონკრეტული საწარმოო და სამეურნეო ფაქტორების გავლენას როგორც მეურნეობაზე, ასევე გლეხის ოჯახის, გარემოცვის ცხოვრების პირობებსა და მეწარმეობის სტილზე. ანალიზის საფუძველზე ხორციელდება პრობლემების იდენტიფიცირება და განაწილება მნიშვნელობის და მიზეზების მიხედვით.

II ეტაპი. მიზნის ფორმულირება.

I ნაბიჯი — ძირითადი მიზნის ფორმულირება;

II ნაბიჯი — ინსტრუმენტალური მიზნების განსაზღვრა;

III ნაბიჯი — პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული ვარიანტების განსაზღვრა და განაწილება;

IV ნაბიჯი — ოპტიმალური გადაწყვეტილების არჩევა.

ამ ეტაპზე ჩვენ ვაყალიბებთ მთავარ მიზანს შემდეგი კითხვების მეშვეობით: რომელ პარტნიორებთან ერთად? რა შედეგს მივიღებთ? როდის?

ინსტრუმენტალური მიზნები ემსახურებიან პრობლემის წარმომქმნელი

მიზეზების გადაჭრას. მნიშვნელოვანია ალტერნატიული ვარიანტების დამუშავება და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.

III ეტაპი. მოქმედების გეგმის დამუშავება და რეალიზაცია.

I ნაბიჯი — მოქმედების წლიური გეგმის შექმნა;

II ნაბიჯი — წლიური გეგმის განხორციელება.

გეგმის სეგმენტებში გამოიყენება ის საკონსულტაციო მეთოდები, რომლებიც ოპტიმალურია მიზნის მისაღწევად. გეგმა ელასტიურია, რაც სწრაფი მანევრირების საშუალებას იძლევა.

IV ეტაპი. პროგრამის შესრულების ხარისხის და მოცულობის შეფასება.

პროგრამის შესრულება და შეფასება ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში საკონტროლო მაჩვენებლების და ინდიკატორების მეშვეობით. პროგრამის შუალედური შეფასებების დროს შესაძლებელია მისი კორექტირება, ხოლო პროგრამა წარმოადგენს სამომავლო წლიური გეგმის საფუძველს.

4.3 ინდივიდუალური კონსულტირება

ინდივიდუალური კონსულტირება გლეხის და კონსულტანტის უშუალო, პირდაპირ დიალოგს გულისხმობს, რაც ყველაზე ეფექტური, მაგრამ ძვირადღირებული ფორმაა.

ინდივიდუალურმა კონსულტირებამ, ჩატარების ადგილიდან გამომდინარე, შეიძლება მიიღოს სამუშაო ვიზიტის ფორმა (კონსულტანტი ჩადის გლეხთან მეურნეობაში), ან კონსულტაციის სახე (გლეხი მიდის კონსულტანტთან ოფისში, ურეკავს მას, ან ხვდება გამოყენებაზე და ა.შ.). განსხვავება იმაშია, რომ მეურნეობაში ჩასვლის შემთხვევაში კონსულტანტი ადგილზე ანალიზებს სიტუაციას და რეალური სიტუაციის საფუძველზე გასცემს რეკომენდაციებს. მეორე მხრივ, როდესაც გლეხი მიდის კონსულტანტთან ოფისში, კონსულტანტი ვითარებას ეცნობა გლეხის სიტყვებიდან, რამაც შეიძლება გაართულოს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება.

როგორც წესი, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული კონსულტაციები, უმჯობესია, ჩატარდეს მეურნეობაში, ხოლო სამართლებრივი და ეკონომიკური ხასიათის კონსულტაციები — კონსულტანტის ოფისში, სადაც შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა და ინფორმაციული ბაზაა.

არსებობს ანდივიდუალური კონსულტირების რამდენიმე მოდელი:

- სიტუაციის ანალიზი-რეკომენდაცია;
- ინფორმაციის გავრცელება;
- პრობლემის ერთობლივი გადაჭრა.

მოდელი - სიტუაციის ანალიზი—რეკომენდაცია ძირითადად ტექნიკური კონსულტირების სფეროში ხორციელდება. ამ შემთხვევაში კონსულტანტი ტექნიკური გადაწყვეტილებების მიღების შესაბამის არსენალს ფლობს და კონკრეტული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე იძლევა ეფექტურ რეკომენდაციებს.

მაგალითად, კონსულტანტი საკვები ბაზის ანალიზის საფუძველზე პროდუქციის სასურველი რაოდენობისა და ხარისხის მიღების მიზნით, იძლევა საკვები რაციონის შესაბამის დოზას კონკრეტული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯგუფისათვის. ამ შემთხვევაში გლეხის როლი შეზღუდულია და შემოიფარგლება საკვები ბაზის ნიმუშების მიწოდებით და რეკომენდაციების ზუსტი შესრულებით. ეს მოდელი არ ემსახურება რთული ამოცანების გადაჭრას და არ აღრმავებს გლეხის ცოდნის დონეს.

მოდელი — ინფორმაციის გავრცელება გამოიყენება წარმატებული გლეხებისათვის, რომლებსაც აქვთ გამოცდილება და უნარი, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების პირობებში თვითონ გადაწყვიტონ ტექნიკური და ტექნოლოგიური პრობლემები. ამ შემთხვევაში კონსულტანტი მხოლოდ ავრცელებს ინფორმაციას და შესაბამის კომენტარებს, რომლებიც შეაგროვა სხვადასხვა წყაროებიდან გლეხებისათვის გასაგებ ენაზე.

მოდელი — ერთობლივი გადაჭრა გამოიყენება რთული სამეურნეო სიტუაციის პირობებში. ამ შემთხვევაში კონსულტანტი მონაწილეობას იღებს პრობლემის ყველა ეტაპის რეალიზაციაში ანალიზიდან დაწყებული ალტერნატიული სცენარების შეფასებით და ოპტიმალური სამოქმედო გეგმებით დამთავრებული. გლეხი კონსულტანტთან ერთად მონაწილეობს დისკუსიაში, ინფორმაციის მოძიება-გავრცელებაში, ალტერნატიული სცენარების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. აღნიშნული მოდელი მკვეთრად ზრდის გლეხის და კონსულტანტის პროფესიულ დონეს, მაგრამ ძალზე შრომატევადი და ძვირია.

5. კონსულტირების განვითარების პერსპექტივები სოფლად

გლობალიზაციის პროცესის გავრცელება და სოფლის მდგრადი განვითარება წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ორ საპირისპირო მიმართულებას, რომელთა შეჯახებაც გარდაუვალია უახლოეს მომავალში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის ზრდა, მატერიალურ-პროდუქციული ტექნოლოგიების დანერგვა, ეფექტური ტექნიკური უზრუნველყოფა შეამცირებს მუშახელის მოთხოვნილებას სოფლად. უნდა ვივარაუდოთ, რომ გაიზრდება მოთხოვნილება სპეციალურ მომსახურებაზე, მათ შორის კონსულტირებაზე, რაც ამ სფეროში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა.

კონსულტირება გლეხებისათვის

გლეხთა კონსულტირებამ უნდა უპასუხოს დროის მოთხოვნებს, რაც განპირობებული იქნება როგორც საწარმოო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების ცვლილებით, ასევე სოფლად მეურნეობების დივერსიფიკაციის პროცესებით. ეს განაპირობებს შემდეგი მიმართულების სპეციალიზებული საკონსულტაციო მომსახურების შექმნის აუცილებლობას:

- სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და მართვა. კონსულტირება, რომელიც ეხება მეურნეობების ეკონომიკურ განვითარებას, ინვესტიციების დაგეგმვას, გარე წყაროებიდან თანხების მოზიდვას, ახალი მიმართულებების ძიებას, მეურნეობების დივერსიფიცირებას და ახალი შემოსავლების წყაროების გამონახვას;
- სტანდარტიზაცია (პრინციპი Cross-Compliance) სოფლის მეურნეობაში კონსულტირება, რომელიც ეხება წარმოება პროდუქციის ხარისხის სტანდარტირებას, ცხოველთა ჯანმრთელობას, ცხოველთა ჰიგიენას, გარემოს დაცვას, და შრომის უსაფრთხოებას;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტექნიკა, ტექნოლოგია, და ბაზრები
კონსულტირება, რომელიც ითვალისწინებს წარმოების ტექნოლოგიების ოპტიმიზაციას და რაციონალიზაციას, მეწარმეობის

მოწინავე პრაქტიკის დანერგვას, მაღალხარისხიანი პროდუქციის მდგრად წარმოებას, პორიზონტალურ (გადამუშავება, ვაჭრობა) და ვერტიკალურ (მწარმოებელთა ჯგუფები და ასოციაციები) კოოპერირებას.

კონსულტირების ჩამოთვლილი მიმართულებები მოიცავენ სამ, პრინციპულად განსხვავებული ეკონომიკური პოტენციალის მქონე მეურნეობათა ჯგუფებს:

- ეკონომიკურად სუსტი მცირე მეურნეობები.
კონსულტირების ამოცანებია:
 - დახმარება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში;
 - დახმარება მეურნეობის დივერსიფიკაციასა და ახალი შემოსავლის წყაროების მოძიებაში;
 - არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მხარდაჭერა;
 - ახალგაზრდა გლეხების მხარდაჭერა;
 - სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
- ეკონომიკურად სტაბილური (საშუალო) მეურნეობები.
კონსულტირების ამოცანებია:
 - დახმარება სტაბილური შემოსავლის შენარჩუნებაში;
 - დახმარება განვითარების (სპეციალიზაციის) მიმართულების შერჩევაში;
 - ინვესტიციების რეალიზაციაში მხარდაჭერა;
 - მხარდაჭერა საბაზრო ურთიერთობებში-პორიზონტალური (გადამუშავება, ვაჭრობა) და ვერტიკალური (მწარმოებელთა ჯგუფები და ასოციაციები) კოოპერირება.
- მრავალდარგობრივი ეკონომიკურად ძლიერი მეურნეობები.
კონსულტირების ამოცანებია:
 - დახმარება განვითარების პრიორიტეტების შერჩევაში;
 - ინვესტიციების რეალიზაციის მხარდაჭერა;
 - სამარკეტინგო მხარდაჭერა (გადამუშავება, ვაჭრობა);
 - წარმოების ფინანსებისა და ბუკალტერიის აუდიტი;
 - დამხმარება მეურნეობის მართვაში.

სოფლის მკვიდრთა კონსულტირება

მოძვეალში კონსულტირების ეს მიმართულება მოიცავს:

➤ სასოფლო ტერიტორიების განვითარება.

კონსულტირება, რომელიც ეხება სასოფლო ტერიტორიებს, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას, ლოკალური სტრატეგიების და განვითარების პროგრამების შემუშავებას, გარე სახსრების მოძიებას და LEADER პროგრამის მხარდაჭერას.

➤ მეწარმეობის განვითარება სოფლად

კონსულტირება მოიცავს მეწარმეობის განვითარების შემდეგ საკითხებს:

- დახმარება ფირმის დაფუძნებაში;
- დახმარება განვითარების პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრასა და პროგრამის დამუშავებაში;
- ინვესტიციების რეალიზაციის მხარდაჭერა;
- მარკეტინგული მხარდაჭერა;
- მომსახურების და პროდუქციის რეალიზაცია;
- დახმარება ფირმის მართვაში.

➤ საოჯახო მეურნეობის განვითარება

სოფლის მცხოვრებთა სოციალური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი კონსულტირება. კონსულტაციები საოჯახო მეურნეობის, მ.შ. აგროტურიზმი, მართვაში.

ასეთი სპეციალიზირებული მომსახურების განსახორციელებლად აუცილებელია კარგად ორგანიზებული, გამოცდილი, განათლებული კადრებით დაკომპლექტებული, ტექნიკურად კარგად აღჭურვილი საკონსულტაციო ფირმის არსებობა.

6. სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების ორგანიზაცია და მართვა

მსოფლიოსა და ევროპაში კონსულტირების ორგანიზაცია საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. დღეისათვის არსებობს კონსულტირების ორგანიზაციის ორი ძირითადი მოდელი:

- საზოგადოებრივი კონსულტირება, რომელიც იყოფა სახელმწიფო, კოპერატიული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ორგანიზებულ კონსულტირებად;
- კომერციული კონსულტირება, რომელსაც სპეციალური ორგანიზაციები, კოლსანტინგური ფირმები და გადამამუშავებელი საწარმოები ახორციელებენ.

კონსულტირების ევოლუცია განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობს საზოგადოებრივიდან — კომერციული კონსულტირების მიმართულებით, შუალედური ფორმების შენარჩუნებით.

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამეცნიერო დაწესებულებებს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ა.შ.შ. და ირლანდიაში, სადაც კონსულტაციის სპეციალიზირებული სამსახურები უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებთან ფუნქციონირებენ. სხვა ქვეყნებში, მაგალითად, პოლონეთში, მეცნიერება ქმნის ახალ ტექნოლოგიებს და კონსულტანტების პროფესიულ მომზადებაში იღებს მონაწილეობას.

იმ ქვეყნებში, სადაც რეფორმები დაჩქარებულ (თითქმის რევოლუციურ) ტემპებში ხორციელდებოდა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სახელმწიფო საკონსულტაციო სამსახურები, რომლებიც მხარს უჭერდნენ სოფლად სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას და პარალელურად კონსულტაციებს უწევდნენ გლეხებს.

2004 წელს მიღებული კანონი „სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების დაწესებულებების შესახებ“, მოქმედებს პოლონეთში. კონსულტირების ასეთი მოდელი წარმატებით შეიძლება განხორციელდეს საქართველოში, ისევე როგორც უკრაინაში, მოლდავეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციაში.

საზოგადოებრივი კონსულტირება ორგანიზებულია საქმიანობის კონკრეტული მიმართულებების მიხედვით და ეს ის სფეროა, სადაც სახელმწიფოსა და გლეხის ინტერესების გადაკვეთა შესაძლებელია. ეს მიზნები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. საკონსულტაციო ორგანოების ამოცანაა, ამ ინტერესთა დაპირისპირების პირობებში მოიძებნოს გონიერი, ეფექტური კომპრომისი სახელმწიფოსა და გლეხის მიზნების მაქსიმალური რეალიზაციისათვის.

II

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა

ბოგუსლავ რონჟევსკი

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა

ზოგადი დებულებები

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა წარმოადგენს სამეცნიერო დისციპლინას, რომელიც სახალხო მეურნეობის აგრარულ სექტორში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს იკვლევს. მისი ძირითადი მიზანია მაქსიმალური ფინანსური შედეგების მიღწევა, შესაბამისი გზების ძიება და სოფლის მეურნეობაში სხვა დარგების შესაძლებლობების ინტეგრაცია საწარმოო ერთეულის ეფექტურობის ზრდის მიზნით.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საგანს წარმოადგენს რესურსების ეკონომიური გამოყენების მეთოდები, რომლებსაც ფლობენ მეურნეობები და იყენებენ კონკრეტული საწარმოო ამოცანების რეალიზაციისა და მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად. იგი ცდილობს პასუხი გასცეს სამ ძირითად შეკითხვას:

1. რა ვაწარმოოთ?
2. რამდენი ვაწარმოოთ?
3. როგორ ვაწარმოოთ?

პირველი ორი შეკითხვა ყველაზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან, მოიცავს პროდუქციაზე მოთხოვნილების შეფასებას.

დღეს აღარ არის საკმარისი მხოლოდ პროდუქციის წარმოება, არამედ აუცილებელია ისეთი ასორტიმენტის შეთავაზება, რომელზედაც საბაზრო სივრცეში არის მოთხოვნა. ეჭვგარეშეა, მეურნეობის არსებობისათვის აუცილებელია კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება. ეს მარტივი დებულება კარგად ესმით იმ ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც ცდილობენ, საბაზრო მექანიზმებში ჩარევით იმპორტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისაგან დაიცვან შიდა ბაზარი და მეწარმე.

პასუხი კითხვაზე: „როგორ ვაწარმოოთ?“ გულისხმობს ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას და ისეთი საწარმოო საშუალებების შერჩევას, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან, გამოყენებულ იქნას წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ერთერთი კანონი: ან მაქსიმალური შედეგი, ან მინიმალური დანახარჯი. ორივე ეს კანონი გამოიყენება ე.წ. „ოპტიმალური გადაწყვეტილების“ ძიებაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი რესურსებია: მიწა, კაპიტალი და შრომითი რესურსები.

მიწის რესურსი წარმოადგენს წარმოების საფუძველს, რომლის გამოყენების ეფექტურობა უკავშირდება ნიადაგის ხარისხს, კლიმატურ პირობებს და განლაგებას. მიწის რესურსი რაციონალური გამოყენების შემთხვევაში არა თუ არ იფიტება, არამედ დამუშავების კულტურის ზრდასთან ერთად იზრდება მისი საწარმოო ღირებულება.

შრომითი რესურსი შედგება როგორც ფიზიკური სამუშაო ძალის მოცულობისაგან, ასევე მისი ინტელექტუალური შესაძლებლობებისაგან. სამუშაო ძალის ხარისხი განაპირობებს საწარმოო პროცესების ორგანიზაციის უნარს.

კაპიტალის რესურსი მოიცავს ინვესტიციური, საბრუნავი და ფულადი მასის საერთო რაოდენობას, რაც ამ სხვადასხვა სარესურსო ჯგუფის ეფექტურ შერწყმას გულისხმობს.

ძირითადი ფაქტორების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში

ტრადიციულად გამოყოფენ წარმოების სამ ძირითად ფაქტორს: მიწა, შრომითი რესურსები, კაპიტალი. ეკონომისტების ნაწილი თვლის, რომ წარმოების ამ სამ ფაქტორს აკონტროლებს მეოთხე — წარმოების ორგანიზაცია (მართვის ხელოვნება).

მიწა (ნიადაგი) წარმოადგენს გარემოს ნაწილს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის არის აუცილებელი. წარმოების თვალსაზრისით მიწას დამუშავების გარეშე არანაირი ეკონომიკური ღირებულება არ გააჩნია. სწორად ორგანიზებული სამუშაო პროცესი

განაპირობებს მიწის ღირებულებას, რასაც ნიადაგის დამუშავების კულტურა ეწოდება.

ნიადაგის (მიწის) ხარისხს განაპირობებს:

- მინერალური ნივთიერებების შემადგენლობა (მინ. და ორგან. ნივთიერება);
- კვებითი ღირებულება (ფიზიკური, ქიმიური და ორგანული მარეკენებლების კომპლექსი, რაც უზრუნველყოფს მცენარის განვითარების ოპტიმალურ პირობებს);
- მოსავლიანობა.

ნიადაგის შეფასების ბევრი მეთოდი არსებობს. ამიტომ მოვიყვანოთ კლასიფიკაციას, რომელიც გამოიყენება პოლონეთში:

ნიადაგის კლასიფიკაციის მარეკენებლები და ნიადაგის გაანგარიშების ინდექსები 1 პირობით 3ა-ზე

საერ- გულების კლასები	ნიადაგის კლასიფიკაციის მარეკენებელი (ვერსია)		საერგულების გაანგარიშების მარეკენებელი 1 პირ 3ა (სტატისტ. შო სამმართ)	
	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	გ. გოჯალია (G. Gojaly)	სახნავი	მუდმივი მწვანე ნარგავი
I	3,0	1,80	1,75	1,55
II	2,6	1,60	1,60	1,30
IIIა	2,3	1,25	1,45	-
III	2,2	1,20	-	1,10
IIIბ	2,1	1,15	1,25	-
IVა	1,8	1,05	1,00	-
IV	1,7	1,00	-	0,70
IVბ	1,6	0,95	0,75	-
V	1,3	0,80	0,45	0,35
VI	1,0	0,50	0,15	0,15

შრომა წარმოადგენს აუცილებელ პირობას, რომლის მეშვეობით მიწის რესურსი და კაპიტალი ერთიანდება საწარმოო შექანიზმში. შრომის ხარისხის მაჩვენებელია მისი წარმადობა, რომელიც განიხილება ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სიბრტყეში.

შრომის ტექნიკური წარმადობა წარმოადგენს ნატურალურ ერთეულებში გამოხატულ შესრულებული შრომის რაოდენობის შეფარდებას ერთ ან კოლექტივის მიერ დახარჯულ ძალისხმევასთან (დროსთან). იგი გამოითვლება ფორმულით:

$$Twp = \frac{P}{t}$$

Twp — შრომის ტექნიკური წარმადობა;

p — შესრულებული შრომა ნატურალურ ერთეულებში (ჰექტარი, ტონა, ლიტრი და ა.შ.);

t — დახარჯული (დრო) ძალისხმევა (საათი, დღე და ა.შ.).

შრომის ეკონომიკური წარმადობა არის ერთი ან ადამიანთა ჯგუფის მიერ დროის განსაზღვრულ ერთეულში შექმნილი პროდუქციის ღირებულება. იგი გამოითვლება ფორმულით:

$$Ewp = \frac{W}{t}$$

Ewp — შრომის ეკონომიკური წარმადობა;

w — პროდუქციის ღირებულება ფულის ერთეულში (საერთო, საბოლოო, სუფთა);

t — დახარჯული დრო (საათი, დღე და ა.შ.).

შრომის სოციალური წარმადობა წარმოადგენს პროდუქციის ღირებულების შეფარდებას ამ საწარმოო პროცესში დროის გარკვეულ მონაკვეთში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობასთან, გამოითვლება ფორმულით:

$$Swp = \frac{W}{Z}$$

Swp — შრომის სოციალური წარმადობა;

W — პროდუქციის ღირებულება ფულის ერთეულში (საერთო, საბოლოო, სუფთა);

Z — ადამიანთა რაოდენობა, რომელიც მონაწილეობს ამ საწარმოო პროცესში დროის ერთეულში.

კაპიტალი წარმოადგენს ძირითადი ფონდების და ბრუნვაში მყოფი საწარმოო რესურსების ეთიანობას, რომლებიც აუცილებელია ნიადაგის საწარმოო პოტენციალის რეალიზაციისათვის.

ძირითადი ფონდების შემადგენლობაში შედის მრავალჯერადი გამოყენების შემდეგი ელემენტები:

- შენობა-ნაგებობები;
- მელიორაციული ინფრასტრუქტურა;
- მანქანები და სას/სამ. ტექნიკა;
- ბაღი, ტყე და ა.შ.;
- ცხოველთა სანაშენო ჯოგები.

საბრუნავი საშუალებები მოიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც ძირითადად ერთი წლის განმავლობაში გამოიყენება:

- მოზარდი საქონელი;
- მარაგი — (საკვები, სათესლე მარცვალი, სასუქი, მცენარეთა მოვლა-მოყვანის საშუალებები, საწვავი, შხა პროდუქტები);
- ინვენტარი (წვრილმანი ინსტრუმენტები, სათადარიგო ნაწილები, შესაფუთი მასალა);
- დაუსრულებული წარმოება (წარმოების პროცესში მყოფი პროდუქცია);
- ფულადი სახსრები;
- საკრედიტო სახსრები.

ძირითადი ფონდები გამოყენების პროცესში განიცდიან ტექნიკურ და მორალურ ცვეთას. ძირითადი ფონდების ღირებულება განაპირობებს პროდუქციის თვითღირებულებას.

ძირითადი ფონდების ღირებულების პერიოდულ შემცირებას ამორტიზაციას უწოდებენ.

საამორტიზაციო გადასახადი წარმოადგენს ერთეულს, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად შემცირდა ძირითადი ფონდების ღირებულება დროის მონაკვეთში (მაგ. წელიწადში) შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$Sa = \frac{100}{T}$$

Sa — ამორტიზაციის დონე %-ში;

T — სამეწარმოო საშუალებების გამოყენების პერიოდი (წლებში).

პოლონეთის ფინანსთა მინისტრის 1995 წ. 20 იანვრის განკარგულების თანახმად დაფიქსირებულია მატერიალური საკუთრებისა და ძირითადი ფონდების ამორტიზაციის განაკვეთები.

ამორტიზაციის განაკვეთები

ჩამონათვალი	ამორტიზაციის დონე %
საცხოვრებელი შენობები	1,5
სხვა შენობები	2,5
ნაგებობები	4,0
სამელორაციო ნაგებობები	2,5
ელექტრო და შიდა წვის ძრავები	10-12,5
ტრაქტორები, სატვირთო მანქანები, მისაბმელი საშუალებები	12,5-14,0

ყოველწლიური საამორტიზაციო გადასახადების გამოსათვლელად შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ფორმულა:

$$Am = \frac{Wp}{T}$$

Am — წლიური საამორტიზაციო გადასახადი;

Wp — ძირითადი ფონდების საწყისი ღირებულება;

T — ძირითადი ფონდების გამოყენების პერიოდი (წლებში).

ძირითადი ფონდების მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად გამოვიყენება ფორმულა:

$$Wh = Wp - (Am * t)$$

Wh — ძირითადი ფონდების მიმდინარე ღირებულება;

Wp — ძირითადი ფონდების საწყისი ღირებულება;

Am — ყოველწლიური საამორტიზაციო გადასახადის რაოდენობა;

t — ძირითადი ფონდების გამოყენების ვადა (წლებში).

თუ წარმოების ლიკვიდაციისათვის ძირითადი ფონდები ინარჩუნებენ ნარჩენ ღირებულებას (საშენი მასალა, ჯართი და ა.შ.) ამორტიზაცია, გამოითვლება ე.წ. საბოლოო ღირებულების გათვალისწინებით:

$$Am = \frac{Wp - Wk}{T}$$

- Am** — საამორტიზაციო წლიური გადასახადი;
Wp — ძირითადი ფონდების საწყისი ღირებულება;
Wk — ძირითადი ფონდების საბოლოო ღირებულება;
T — ძირითადი ფონდების გამოყენების პერიოდი (წლებში).

ძირითადი ფონდების მიმდინარე ღირებულებას განაპირობებს არა მხოლოდ მათი გამოყენების პერიოდი, არამედ ჩატარებული კაპიტალური რემონტიც (ძირითადი ფონდების საწყისი ღირებულების 30-70%).

კაპიტალური რემონტი ზრდის მიმდინარე ღირებულებას და წლიური საამორტიზაციო გადასახადის რაოდენობას:

$$Am = \frac{Wb + R}{T}$$

- Am** — საამორტიზაციო წლიური გადასახადი;
Wb — ძირითადი ფონდების მიმდინარე ღირებულება;
R — კაპიტალური რემონტის ღირებულება;
T — ძირითადი ფონდების გამოყენების პერიოდი (წლიური).

დღეისათვის, მაღალი საამორტიზაციო გადასახადების ფონზე, ძირითადი ფონდების მიმდინარე და საბაზრო ღირებულებების სინქრონიზაციისათვის ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში გამოიყენება ღირებულების შემცირების მეთოდი.

მეთოდის აზრი მდგომარეობს შემდეგში, მიმდინარე ღირებულების განსაზღვრისას ძირითადი ფონდების ამორტიზაცია არ მიიღება მხედველობაში. ასეთ შემთხვევაში საამორტიზაციო გადასახადი ყოველწლიურად მცირდება, ხოლო ძირითადი ფონდები ექსპლუატაციის პირველ წლებში კარგავენ თავიანთი ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს.

წარმოების ფაქტორების ეკონომია

მრავალი ქვეყნის აგრარული პოლიტიკა მიმართულია კვების პროდუქტებზე შედარებით დაბალი ფასებისა და სამრეწველო პროდუქციაზე მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნებისაკენ, რათა შიდა ბაზარი დაცული იყოს იმპორტირებული პროდუქციის კონკურენციისაგან. ასეთი ქმედება გლახსა და მეწარმეს აიძულებს, ეძებოს წარმოების იაფი მეთოდები ან სტრუქტურები, რომლებიც დამატებით შემოსავალს განაპირობებენ. ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება შესაძლებელია წარმოების დანახარჯების ეკონომიის ან/და საწარმოო პროდუქტების ეკონომიის ხარჯზე. წარმოების პროცესში შესაძლებელია საქონლის ერთი ჯგუფის მეორეთი ჩანაცვლება.

ხარჯების ჩანაცვლება უნდა განხორციელდეს შემოსავლების შენარჩუნების ფონზე ეკონომიის კონკრეტული წყაროების გამოვლენით, რაც წარმოების თვითღირებულების სტრუქტურის ოპტიმიზაციის საშუალებას იძლევა. აღნიშნული მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ოპტიმიზაციური გათვლების დროს.

წარმოების ძირითადი კატეგორიები

საწარმოო პროცესის საფუძველს ბუნებრივი და საწარმოო-ტექნიკური საშუალებების ეფექტური გამოყენება წარმოადგენს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და მეურნეობებში ხორციელდება. საბაზრო მეურნეობის ყველა სუბიექტში წარმოებაში შეიძლება გამოიყოს კატეგორიები, რომელთა შორის ძირითადია: საერთო წარმოება, საბოლოო წარმოება, სასაქონლო და სუფთა წარმოება.

საერთო სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარმოადგენს მეცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის მთლიან ჯამს და გამოიხატება ნატურალური ან ღირებულების (Pg) ერთეულებში.

ფინალური ანუ ჯამური წარმოება (Pk) გამოითვლება საერთო წარმოებიდან „შიდა ბრუნვის“ გამოკლებით. „შიდა ბრუნვა“ წარმოადგენს საკვებს, სათესლე მასალას, ნამჯას და ა.შ. შესაბამისად, ჯამური ანუ ფინალური წარმოება არ შეიცავს წარმოების თვითღირებულებას.

$$Pk = Pg - Ow$$

Pk — ჯამური წარმოება;

Pg — საერთო წარმოება;

Ow — შიდა ბრუნვა.

საბოლოო წარმოების (PKn) ფასს აკლდება საწარმოო პროცესში გამოყენებული სას.სამ, პროდუქციის ღირებულება, ასეთ პროდუქტებს (სათესლე ფონდი, კომბინირებული საკვები, პირუტყვი) სერიოზული პროდუქტები ეწოდება.

$$PKn = Pk - S$$

PKn — საბოლოო წარმოება;

Pk — ჯამური ანუ ფინალური წარმოება;

S — ნედლეული.

PK-ს ღირებულება ხშირად გამოიყენება, როგორც მიწის პროდუქტიულობის მაჩვენებელი.

სუფთა წარმოება (Pc) განისაზღვრება, როგორც სახალხო მეურნეობაში (ქვეყნის შიდა პროდუქტი PKB), ისე კონკრეტულ სოფლის მეურნეობაში შექმნილი პროდუქციის რაოდენობით. სუფთა წარმოება აღინიშნება მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლით და წარმოადგენს ფინანსური წარმოებიდან მატერიალური დანახარჯების სხვაობას.

$$Pc = PKn - Nm$$

Pc — სუფთა წარმოება;

PKn — ფინალური წარმოება;

Nm — მატერიალური დანახარჯი.

თუ მატერიალურ დანახარჯში არ გაეითვალისწინებთ საამორტიზაციო ხარჯებს, მივიღებთ საერთო სუფთა წარმოებას (Pcb).

$$Pcb = Pc + A$$

Pcb — საერთო სუფთა წარმოება;

Pc — სუფთა წარმოება;

A — ამორტიზაცია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენს სასაქონლო წარმოება (Pt), ანუ ევროკავშირში რეალიზებული პროდუქცია. დამოკიდებულება ფინალურ და სასაქონლო წარმოებას

შორის წარმოადგენს სასაქონლო წარმოების, პროდუქციის მარაგის ზრდის, ნატურალური მოხმარების ჯამს:

$$Pk=Pt +(Sn \pm \Delta z \pm \Delta s)$$

- Pk — ფინალური წარმოება;
- Pt — სასაქონლო წარმოება;
- Sn — ნატურალური მოხმარება;
- Δz — მარაგის ზრდა;
- Δs — ჯოგის ზრდა.

სასაქონლო წარმოება (Ptn) წარმოადგენს სასაქონლო წარმოებისა და საწარმოო პროცესისათვის შესყიდული ნედლეულის ღირებულებას შორის სხვაობას:

$$Ptn=Pt-S$$

- Ptn - სასაქონლო წარმოების ზრდა;
- Pt - სასაქონლო წარმოება;
- S - ნედლეული.

სოფლის მეურნეობის გაძღოლის მიმართულებები, დარგები და ფორმები

სოფლის მეურნეობაში მიწის სავარგულებთან სიახლოვის მიხედვით გამოყოფენ ოთხ ძირითად მიმართულებას:

- მემცენარეობა;
- მეცხოველეობა;
- სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა;
- მომსახურება.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მეურნეობებმა ოთხივე მიმართულება გამოიყენონ. არსებობს მეურნეობები, რომლებიც მხოლოდ ერთი მიმართულებით (მაგ., მემცენარეობა) ვითარდებიან. მეურნეობების უმრავლესობას აქვთ მხოლოდ ორი მიმართულება: მემცენარეობა და მეცხოველეობა. ჯამში შეიძლება დავასკვნათ, რომ მიმართულება შედგება წარმოების რამდენიმე ფორმისაგან, რომლებსაც საბოლოო პროდუქტის წარმოების პროცესში მსგავსი ბუნებრივ-ეკონომიკური

მახასიათებლები გააჩნიათ. წარმოების ფორმა შედგება, მაგალითად, მცენარეთა კომპლექსისაგან, რომლებსაც ერთნაირი პარამეტრების ნიადაგი სჭირდება ან ცხოველთა ჯგუფისაგან, რომლებიც განეკუთვნებიან ერთ სახეობას (ძროხა, ღორი, ცხვარი, ცხენი და ა.შ.). ეს შეიძლება იყოს გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც გამოიყენებს ერთი ჯგუფის პროდუქტებს (ხორცი, სპირტის წარმოება, ხილის გადამამუშავება) ან ეწევა გარკვეული ტიპის მომსახურებას (საველე მომსახურება, ხეების ამოძირკვა, ტექნიკის რემონტი და ა.შ.). მიმართულება შეიძლება შეფასდეს მოქმედების მიხედვითაც, მაგალითად, მემცენარეობაში (რძე, ხბო, ხარი).

თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოიყენება მაღალი წარმადობის მქონე გადაწყვეტილებების ძიება პროდუქტის ხარისხის შენარჩუნების წინაპირობით. იმ შემთხვევაში, თუ ჭარბი პროდუქცია ფიქსირდება, სეარგულების ნაწილი გადადის სარეზერვო რეჟიმში, რაც დადებითად აისახება ეკონომიის პრინციპებზე და გარემოს დაცვაზე.

წარმოების ინტენსიფიკაცია განიხილება, როგორც სამუშაო დროის და საწყისი მასალების ზრდის პროცესი პროდუქციის ერთეულთან შეფარდებაში. წარმოების რაციონალური ორგანიზაციის პირობებში მეურნეობა ცდილობს შექმნას სპეციალიზირებული მიმართულება იმ შემთხვევაში, თუ გააჩნია სტაბილური სარეალიზაციო სივრცე. წარმოების მასშტაბების ზრდასთან ერთად, აღინიშნება ფასების შემცირება, ერთეული პროდუქციის წარმოებაზე, რაც საბოლოოდ ამცირებს ერთეული პროდუქციის ფასს. დიდი მასშტაბები ძვირადღირებული ტექნიკის ეფექტურად გამოყენების, პროდუქციის ხარისხისა და შრომისნაყოფიერების ზრდის საშუალებას იძლევა.

წარმოების თვითღირებულება

წარმოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, როდესაც მას მოგება მოაქვს. და თუ აუცილებელი დანახარჯების და საოჯახო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ მიმართული იქნება ინვესტირებაზე. წარმოების განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საწარმოო პროცესების მოდერნიზაცია. შრომის და მატერიალური დანახარჯების ღირებულება გამოიხატება პირობით ერთეულებში — მოტოსაათი, კილოგრამი, ლიტრი და ა.შ საყურადღებოა, რომ ფულად ერთეულში გამოხატული საწარმოო დანახარჯები წარ-

მოადგენს წარმოების თეითლირებულების განსაზღვრის საშუალებას. მაგრამ, არსებობს სხვა დანახარჯებიც, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება საბოლოო პროდუქტის წარმოებას — გადასახადები, კრედიტის პროცენტი, იჯარა და ა.შ.

წარმოადგენთ იმ ძირითადი დანახარჯების ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება გამოვეყოთ წარმოების პროცესში და რომლებიც გამოიყენება წარმოების რენტაბელობის განსაზღვრისას:

თეითლირებულება (სრული) დანახარჯი, რომელიც ეხება მთლიანად მეურნეობას ან მის ცალკეულ ელემენტებს;

პროდუქციის ერთეულის ღირებულება (საშუალო) — დანახარჯი, რომელიც ეხება კონკრეტული პროდუქციის შექმნას, შეფარდებულს შექმნილი პროდუქციის პირობით ერთეულთან;

თანმხლები ხარჯები — დანახარჯი, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს რომელიმე კონკრეტულ პროდუქტს და განეკუთვნება მთლიან მეურნეობას;

პირდაპირი ხარჯები — დანახარჯი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კონკრეტული პროდუქციის წარმოების ღირებულებას;

მუდმივი ხარჯები — დანახარჯი, რომლის მოცულობაც არ უკავშირდება წარმოების მასშტაბებს და სტრუქტურას;

ცვალებადი ხარჯები — დანახარჯი, რომელიც იცვლება წარმოების მოცულობასთან ერთად.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების რენტაბელობის გაანგარიშება

საინვესტიციო და სამეურნეო გადაწყვეტილებების საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური გაანგარიშება, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა, რეალურად შეფასდეს მოგების მიღების შესაძლებლობა და განისაზღვროს წარმოების განვითარების მიმართულებები, სამეურნეო საქმიანობის არახელსაყრელი ან ფორს-მაჟორული ვითარების პირობებში შემუშავდეს მისი გადარჩენის სტრატეგია. სტაროე პოლეს სოფლის მეურნეობის განვითარების საკონსულტაციო რეგიონალური ცენტრი (სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრის სტაროე

პოლეს განყოფილება) უკვე 17 წელია, ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი მიმართულებების თვითღირებულების გათვლას, მეწარმეების საქმიანობის შანსების და საფრთხეების შეფასებას.

ცალკეული მეურნეობის რენტაბელობის გათვლა ხორციელდება საწარმოო პროდუქციის განსხვავებული რაოდენობიდან გამომდინარე. ასეთი გათვლა ეყრდნობა აგროქიმიის, მემცენარეობის, მეცხოველეობისა და ეკონომიკის სპეციალისტების კონსულტაციებს.

საწარმოო საშუალებების ღირებულების შესახებ ინფორმაციების თავმოყრა ხდება ოქტომბერში, ხოლო მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქციის ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი საბაზრო ფასებით. მათი შეფარდება წარმოადგენს თვითღირებულების საფუძველს. ყველა ხარჯი ჯამდება სამ ჯგუფად: პირდაპირი, დამატებითი და საერთო, რომელიც უკავშირდება ძირითადი ფონდების (მიწა, შენობა, ტექნიკა) მომსახურებას. აღნიშნული ჯამი საშუალებას იძლევა, განისაზღვროს შემოსავლის კატეგორიები:

- პირდაპირი შემოსავალი არის სხვაობა პროდუქციის საერთო ღირებულებასა და საწარმოო დანახარჯს შორის, რაც საუკეთესო არგუმენტია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად;
- სასოფლო-სამეურნეო შემოსავალი, სხვაობა წარმოების ფასს და ყველა დანახარჯს შორის.

აღნიშნული გათვლები ჯამში აღირიცხება ფულად ერთეულში და წარმოადგენს შემოსავლის შეფასების და პროგნოზირების საშუალებას.

რენტაბელობის განსაზღვრის დროს, შემოსავლიანობის ამ კრიტერიუმების გარდა მხედველობაში მიიღება სას.სამ.შემოსავალი, რომელიც განსხვავდება მისი სამოდულო მაჩვენებლებისაგან (ამორტიზაციის ხარჯების აღრიცხვიანობით)

ეს კატეგორიები მნიშვნელოვნად პასუხობენ ფულად ერთეულში გამოხატულ მოგების ჯამს.

**პროგრამული ინსტრუმენტების გამოყენება
მეურნეობის განვითარებაში
— ბიზნეს-გეგმა**

ზოგადი დახასიათება

მეურნეობის განვითარების პროგრამა (ბიზნეს-გეგმა) წარმოადგენს დოკუმენტაციის, ეკონომიკური ანალიზის და მოქმედების გეგმების ერთიანობას, რომელშიც ფირმის რეალური სიტუაციიდან და მწარმოებლურობიდან გამომდინარე, ყალიბდება სამომავლო საქმიანობის მიმართულება და ალგორითმი. მეურნეობის განვითარების პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს აქტუალურ ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებს, ახალი თანამშრომლების მოზიდვის საშუალებებს და ბაზრის მოცულობას. ბიზნეს-გეგმაში აუცილებელი ელემენტებია: წარმოების აღწერა, გასული საქმიანობის ანალიზი (შემოსავლის წყაროები, საკადრო პოტენციალი), ძირითადი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გამოყენება (ხარისხზე ბაზრის მოთხოვნები), შემოსავლების და ხარჯის ბალანსი, წარმოების ქონების აღწერა, ინდიკატორები და მაჩვენებლები, საქმიანობის რისკი.

წარმოების აღწერა

აღწერაში აუცილებელია, წარმოადგენილი იყოს მეურნეობის მდებარეობა, საქმიანობის მიმართულებები, იურიდიული სტატუსი, წესდება, სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და ა.შ.

წინამორბედი საქმიანობის ანალიზი

ეკონომიკური სუბიექტების განვითარების დაგეგმარება ეფუძნება სარწმუნო ანალიტიკური მასალების შესწავლას იმ მიზნით, რომ დადგინდეს მეურნეობაში მიმდინარე ცვლილებების მიზეზები.

საბაზრო კონკურენციის პირობებში მკვეთრად იზრდება ხარისხიანი ანალიზის მნიშვნელობა და შესაძლებლობები. ეკონომიკური ანალიზი, როგორც მეთოდი, ეფუძნება სიტუაციას შემადგენელ ელემენტებად დაყოფის საფუძველზე, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას და ზოგადი დასკვნების ჩამოყალიბებას. ეკონომიკურ ანალიზში

აუცილებელია, შეფასდეს წარმოების შემდეგი ელემენტები: რენტაბელობა, საფინანსო-ქონებრივი სიტუაცია, პროდუქტის გავრცელების საბაზრო შესაძლებლობები, არსებული და მომავალი კონკურენტების განვითარების პერსპექტივები.

ზოგადად, რენტაბელობა მიუთითებს, მეურნეობა მომგებიანია თუ წამგებიანი. მოგება დაკავშირებულია კონკრეტული ფინანსური შედეგების მიღებასთან, მაშინ, როდესაც წაგება მის საპირისპირო ხარისხს წარმოადგენს. წაგებას ადგილი აქვს წარმოების საქმიანობის უარყოფითი ბალანსის დროს. რენტაბელობა იანგარიშება საქონლისა და მომსახურების შემოსავლის ბალანსიდან, მატერიალური რესურსების ღირებულების გაზრდისაგან, ხოლო მეორეს მხრივ – ამ შემოსავლების მისაღებად გაწეული ხარჯებისა და მატერიალური მარაგის შესაძლო შემცირებისაგან. მოგების მიღების საფასურს შეიძლება მივაკუთვნოთ საბანკო ოპერაციების ჩატარების ღირებულება (კრედიტებისა და სესხების პროცენტები), გადასახადები (დღგ-ს სხვაობა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, აქციზები).

შემოსავლიდან პროდუქციის მისაღებად გაწეული დანახარჯების გამოკლების შემდეგ რჩება მოგება. სუფთა მოგების მისაღებად აუცილებელია საშემოსავლო გადასახადების გათვალისწინება. წარმოებაში შექმნილი სიტუაციის ფინანსურ-ქონებრივი ანალიზი მდგომარეობს ქონებრივი ბალანსის აქტივებისა და პასივების აღწერაში. აქტივების ღირებულება და სტრუქტურა აღწერს წარმოების მდგომარეობასა და მის კონდიციას, რაც მოგების მიღების პირობას წარმოადგენს. მოგების მიღებაში მატერიალური ობიექტების მონაწილეობა არაერთგვაროვანია. მნიშვნელოვნად მეტია საბრუნავი საშუალებების წილი, ვინაიდან ისინი ტექნოლოგიურ პროცესებში უშუალო მონაწილობას იღებენ.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითად ფონდებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იღებენ უშუალო მონაწილეობას ტექნოლოგიურ პროცესებში. საუკეთესო გადაწყვეტილებაა, როდესაც წარმოება, ძირითადი ფონდების შემცირებასთან ერთად, ესწრაფვის საბრუნავი საშუალებებისა და ფონდების მაქსიმალურად გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში, რაც უფრო მეტი საშუალებების დაბანდება ხდება საბრუნავ ფონდებში, მით უფრო ადვილია მათი ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში.

ძირითადი ფონდების შეფასების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას მათი ამორტიზაცია, თანამედროვე საწარმოო პროცესებისადმი შეთანაწყობა, შესაძლებელი უნდა იყოს მათი შეცვლა და მოდერნიზაცია. ამგვარად, ძირითადი ფონდების შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამოდგება შემდგომ საქმიანობაში არსებული საქონელი, ნედლეული, პროდუქტი. ნედლეულისა და მზა პროდუქციის არსებული მარაგი, არსებითად, წარმოადგენს გაყინულ ფინანსურ სახსრებს, რომლებიც საუკეთესო საბრუნავი საშუალებაა.

ასეთი ბალანსის მეორე მხარე არის წარმოების პასივი, რომელიც ასახავს აქტივების წარმოშობისა და დაფინანსების წყაროებს. აქტივებისა და პასივების ღირებულება შეიძლება ტოლი იყოს, ამასთან, პასივების სტრუქტურა მიუთითებს ორგანიზაციის საწარმოო პროცესების სპეციფიკაზე. პასივებს მიეკუთვნება საკუთარ და ნასესხებ (კრედიტები, სესხები, ვალდებულებები) კაპიტალებს შორის თანაფარდობა. გარედან მოზიდული კაპიტალის მნიშვნელოვანი წილი იწვევს დამატებით ხარჯებს (კრედიტებისა და სესხების პროცენტები), რაც ამცირებს წარმოების კონკურენტუნარიანობას და ზღუდავს დამოუკიდებლობას. თანამედროვე წარმოებაში (მეურნეობაში) ნებისმიერი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს მის მიერ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე პოტენციური მომხმარებლის მოთხოვნის დონე. მიიღველისა და მომხმარებლის მოთხოვნის დონე პარალელურად და მომსახურებაზე, აისახება საბაზრო მექანიზმის ძირითად კანონზე. ამა თუ იმ საქონლის წარმოების ფაქტი არაფერზე არ მეტყველებს, ვინაიდან წარმოებული, მაგრამ გაუყიდელი საქონელი მხოლოდ გასაყვლია, რომელსაც არავითარი შემოსავალი არ მოაქვს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შემთხვევაში მნიშვნელოვანია ე.წ. „ვერტიკალური ინტეგრაცია“ წარმოებული საქონლის შემსყიდველებთან ან გადამამუშავებლებთან, ვინაიდან სწორედ ასეთ ფორმებს აქვთ უშუალო კავშირი ბაზართან. სუბიექტი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს საბაზრო თამაშებში, სისტემატურად ატარებს ბაზრის კვლევას, რომელმაც უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

1. როგორია კლიენტთა აქტუალური და სამომავლო მოთხოვნა?
2. დამატებით, რომელი ბაზრების მომსახურება შეიძლება?
3. რა თვისებებით ხასიათდებიან საქონლის მომხმარებლები?

4. რით განსხვავდება მოცემული წარმოების პროდუქტი კონკურენტების პროდუქტისაგან?

5. როგორია მარკეტინგის ეფექტურობა?

ფერმერები, ბაზარზე თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად უნდა გაერთიანდნენ ე.წ. „მწარმოებელთა ჯგუფებში“, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ მსხვილ შემსყიდველებს. მომავალში. ასეთ ჯგუფებს შანსი აქვთ, უშუალო მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო ბირჟებში.

ინიციატივის აღწერა

საწარმოს გასული სიტუაციის დეტალური აღწერა და ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს მეურნეობის ძლიერი და სუსტი მხარეები, საფრთხეები და განვითარების პერსპექტივა, რის საფუძველზეც ფასდება აუცილებელი რეფორმების შინაარსი და სტრუქტურა დასახული მიზნის მისაღწევად. აღნიშნული რეფორმების მიზანია, მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს ბაზრის მოთხოვნები მისაღები ფასის ჩარჩოში, რაც დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი გეგმაში.

თუ ზემოთ მოცემულ კითხვებზე დადებითი პასუხი არსებობს, შეგვიძლია მოვახდინოთ აუცილებელი ინვესტიციების შეფასება ახალი საწარმოო ბაზის შესაქმნელად და საჭირო მანქანა-დანადგარების შესაძენად. ინვესტიციების დაგეგმვის დროს უნდა გვახსოვდეს ინვესტორის რკინის კანონი: ძირითად ფონდებზე მაქსიმალურად იქნას შემცირებული ხარჯები. აუცილებელი საინვესტიციო ღონისძიებების შეფარდება რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსურ საშუალებებთან ძალზე მნიშვნელოვანია ინვესტორისათვის. ინვესტიციების დასაბუთებისთანავე საჭიროა მისი დაფინანსების წყაროს განსაზღვრა. ინიციატივის სრული დამოუკიდებლობა იძლევა საკუთარი თანხების გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ, ყველა ინვესტორს როდი შეუძლია ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ამასთან დაკავშირებით, ინვესტორმა კარგად უნდა გააანალიზოს კრედიტისა და სესხის გამოყენების შესაძლებლობა. აუცილებელია საკრედიტო ბაზრის სწორი შეფასება იაფი კრედიტის მოძიების მიზნით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ინვესტიციის რისკს და ზრდის მის კონკურენტუნარიანობას.

საინვესტიციო წყაროების შეფასებისას უნდა განისაზღვროს ფულადი

რესურსის გამოყენების ეფექტურობა, კრედიტის ჯამი, საპროცენტო მომსახურების პერიოდი და მისი შეფასება ძირითად კლიენტთან.

ძირითადი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი მიმართულებებია: მემცენარეობა და მეცხოველეობა. ორივე შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს მაღალი სამეურნეო მაჩვენებლების საფუძველზე კულტურის ან ჯიშის შერჩევა. მემცენარეობასთან მიმართებაში აღნიშნული გამოიხატება თესვბრუნვის დაგეგმვისა და სათესლე მასალის გამოყენებაში, მაგალითად, ერთი ან ორი წლის განმავლობაში (არა უმეტეს 3 წ). ბაზარზე არსებული ახალი ჯიშები ორიენტირებულია მაღალ პროდუქტიულობაზე, მაგრამ დროის შეზღუდულ მონაკვეთში აგრონომიული ნორმები უნდა ეყრდნობოდეს მოცემულ კლიმატურ პირობებს, მათ შორის, სასუქის შერჩევის და გამოყენების თვალსაზრისით, რაც დღეისათვის აქტუალურია გარემოსდაცვითი კუთხით.

მცენარეთა დაცვა განიხილება, როგორც აუცილებელი პროცედურა, სადაც ადამიანის მონაწილეობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე სხვა ტექნოლოგიურ პროცესებში. მემცენარეობაში ხარჯების მნიშვნელოვან ელემენტს მოსავლის აღებაზე გაწეული დანახარჯი წარმოადგენს. წარმოების ყველა ეტაპზე აუცილებელია პროდუქციის ხარისხის მაქსიმალური დაცვა ისევე, როგორც ტექნიკური საშუალებების მომზადება და მოსავლის აღების ვადების ზუსტი განსაზღვრა.

მეცხოველეობაში, ისევე როგორც მემცენარეობაში, მნიშვნელოვანი ფაქტორია საქონლის ჯიშის შერჩევა, რაც ერთგვაროვანი და მაღალხარისხიანი პროდუქციის შექმნის წინაპირობაა. მეცხოველეობაში ხარჯების ძირითად ნაწილს კვებაზე და შენახვაზე გამოყოფილი რესურსი შეადგენს, რაც ამ კომპონენტის სწორი ორგანიზების და მართვის აუცილებლობაზე მიუთითებს.

ბაზრის აღწერა

როგორც აღვნიშნეთ, აზრი აქვს მხოლოდ იმ წარმოებას, რომელიც პროდუქციის რეალიზაციას ახდენს. სოფლის მეწარმე, პრინციპში, ვალდებულია, უშუალოდ იყოს დაკავშირებული გადამამუშავებელ

და სადისტრიბუციო ფორმებთან, იმის მიუხედავად, რომ გლეხის გაველნა ბაზარზე შეზღუდულია. სადისტრიბუციო ფორმები თავის ინტერესებს გლეხის ინტერესებთან თანხვედრის შემთხვევაში, კლიენტების მოთხოვნილებების ანალიზს ახორციელებენ და გაველნას ახდენენ როგორც ბაზრის რელევანტობაზე, ასევე კონკურენტების შესაძლებლობებზე. თავის მხრივ, გლეხი, გარდა იმისა, რომ უშუალო ზეგაველნას ვერ ახდენს ბაზარზე, კარგად უნდა ერკვეოდეს საბაზრო სიტუაციაში და იმ სუბიექტების მოქმედებაში, რომლებზეც თავისი პროდუქციის რეალიზაციას ახდენს. აუცილებელია ურთიერთობა სანდო პარტნიორებთან გრძელვადიანი პერსპექტივის ფარგლებში იმ ფონზე, როდესაც გლეხი საკუთარი პროდუქციის მაღალი ხარისხით მონაწილეობს საერთო ინტერესების ფორმირებაში.

შემოსავლების და დანახარჯების ბალანსი

აღნიშნული ბალანსი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოსალოდნელი ფინანსური შემოსავლების შეფასება, კრედიტების რეალიზაცია, ძირითადი ფონდების ეფექტურობა, რაც კონტრაქტის დადების მომენტში ფიქსირდება.

დანახარჯები გამოითვლება ანალოგიური მეთოდით, იმ განსხვავებით, რომ დამატებით ფასდება პროდუქტის ტრანსპორტირების და მომხმარებლის არაკეთილსინდისიერად განხორციელებული გადახდის ხარჯები. დანახარჯებს საწარმოო ხარჯების ფონზე კრედიტების მომსახურების ხარჯებიც ემატება.

საკრედიტო ხაზის გამოყენების შემთხვევაში ის გადასახადები, რომელიც ხმარდება კრედიტის ძირის დაფარვას ისევე, როგორც საშემოსავლო გადასახადი, არ აღირიცხება, როგორც ხარჯი. საშემოსავლო გადასახადი, დასახელებიდან გამომდინარე, მიღებული შემოსავლის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც გამოითვლება სუფთა შემოსავლიდან.

ჯამური ბალანსი

ეს ბალანსი იძლევა წარმოების რეალურ სურათს, ხოლო მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები (მოგება და ჯამური მოგება) – რენტაბელობის შედარებითი თვითღირებულებისა და საოპერაციო მოგების გათვლის

საშუალებებს. მოგების გათვლის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება წარმოებული პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავალი და მზა პროდუქციის მარაგის ზრდა, დანახარჯების შემთხვევაში-მოგების მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები, კრედიტების მომსახურება, წარმოებული პროდუქციის მარაგების შემცირება.

საშემოსავლო გადასახადები არ განეკუთვნება დანახარჯებს. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, საშემოსავლო გადასახადი არის მიღებული შემოსავლის მოცულობიდან წარმოებული, რომელიც წარმოიქმნება პროდუქციის რეალიზაციით მიღებული საერთო თანხიდან ამ პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული თანხების გამოკლებით.

წარმოების (შეურნეობის) ქონებრივი ბალანსი

შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა ყველა რესურსებთან მიმართებაში, რომელიც წარმოებს ფინანსური ბალანსის პრინციპების მსგავსად, უნდა განხორციელდეს საინვესტიციო პროექტის ან ამოცანის მიღწევის მომენტამდე. ქონებრივი ბალანსი წარმოადგენს მნიშვნელოვან მაჩვენებელს, ვინაიდან, ბიზნეს-გეგმის რეალიზაციის პროცესში იძლევა საშუალებას, შეფასდეს ძირითადი ფონდების, ბრუნვაში მყოფი სახსრების, საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობა. ოპტიმალურ შემთხვევაში საკუთარი კაპიტალის მონაწილეობა საინვესტიციო პროექტში უნდა აღემატებოდეს 50%-ს იმ პირობით, რომ საწარმომ მიაღწიოს დაგეგმილ მიზნებს, რაც საკუთარი კაპიტალის ზრდის ტოლფასია ოპერატიულ განკარგულებაში არსებული თანხების გაზრდის გზით და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებით.

ბრუნვის აღრიცხვა

აღნიშნული აღრიცხვა უნდა განხორციელდეს არანაკლებ კვარტალში ერთხელ იმისათვის, რომ შეფასდეს საწარმოს ფინანსური კონდიცია შესაბამისი რეაგირებისათვის. კერძოდ, გადაიდოს კრედიტის მომსახურება, გამოინახოს ახალი საკრედიტო ხაზი, ან ამოქმედდეს საქმიანობის ახალი მიმართულება.

ბრუნვის აღრიცხვა საშუალებას იძლევა, შეეფასოს პარტნიორებზე გაცემული თანხები, საკუთარი ვალდებულებები და შემოსავლების და

ხარჯების სტრუქტურა. იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლებს გამოაკლებთ გადასახადების სხვაობას წლის დასაწყისში და ბოლოში და იგივე ოპერაციას ჩაეატარებთ ხარჯებთან მიმართებაში, მივიღებთ წლიურ ბრუნვას.

მაჩვენებელთა ანალიზი

ბიზნეს-გეგმის მიმართულებებიდან გამომდინარე, ზემოთმოყვანილი სააღრიცხვო ოპერაციების საფუძველსა და დადებით ინდიკატორებზე ყურადღების გამახვილებით შესაძლებელია, შემუშავდეს მაჩვენებლების სპეციალიზებული ანალიზი.

რისკების ტესტი

ყველა საწარმოს გააჩნია რისკების სხვადასხვა დონე და, შესაბამისად, სიტუაციის განვითარების სცენარების შექმნის მეშვეობით შესაძლებელია ამა თუ იმ რისკის წარმოქმნასა და გავრცელებაზე გავლენის საეარაუდო შეფასება შემდეგი დებულების მიხედვით:

1. პროდუქციის რეალიზაციის როგორმა კლებამ (%) შეიძლება აბსოლუტურად (ნულამდე) შეამციროს ფინანსური მაჩვენებლები;
2. წარმოების ღირებულების როგორმა ზრდამ (%) შეიძლება აბსოლუტურად შეამციროს (ნულამდე) ფინანსური მაჩვენებლები;
3. შზა პროდუქტის გაყიდვის როგორმა კლებამ (%) შეიძლება აბსოლუტურად შეამციროს (ნულამდე) ფინანსური მაჩვენებლები.

აღნიშნული საფრთხეების გააზრება და ანალიზი სასარგებლოა წარმოების რეფორმისათვის, ეს ცვლილებები უმჯობესია, განხორციელდეს ფინანსური მაჩვენებლების გაუარესების შემთხვევაში, რათა შეწყდეს, ან შეიცვალოს პროდუქციის წარმოება არსებული ასორტიმენტის მიხედვით.

დასკვნა

მეურნეობის ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიები და ინდიკატორები ეფუძნებიან წარმოების ფინანსურ შედეგებს, ანუ მოგებას და სუფთა მოგებას. დღეისათვის პოლონეთში სტანდარტული სოფლის საწარმოები განთავისუფლებული არიან საშემოსავლო გადასახადიდან და, შესაბამისად, მოგება უდრის სუფთა მოგებას.

ანალოგიური ვითარებაა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაშიც იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში საკუთარი შრომა არ განიხილება, როგორც დანახარჯი და შემოსავალი წარმოადგენს ინდივიდუალური მოქმედების შედეგს.

მარჩინ გრენდა

სასოფლო-სამეურნეო კულტურების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

აღრიცხვა სოფლის მეურნეობაში

აღრიცხვა პოლონეთში 1989 წლის შემდეგ

სამეცნიერო ჩანაწერების წარმოება პოლონეთში დაფიქსირებულია XI საუკუნეში, მაგრამ სისტემატური აღრიცხვის დასაწყისად ითვლება 1926 წელი, როდესაც პულავის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის (PINGW) ბაზაზე შეიქმნა მცირე მეურნეობების ეკონომიკის განყოფილება. ამ დაწესებულებამ დაამკვიდრა უნიფიცირებული ჩანაწერების თავმოყრა მონაცემების სახით. აღნიშნულ საქმიანობას ინსტიტუტი ახორციელებდა 1950 წელს, როდესაც ამ ამოცანის შესრულება გადაეცა ვარშავის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ინსტიტუტს (IER). დღეისათვის IER-თან ერთად კვლევებს, სააღრიცხვო ოპერაციებს ატარებს ვარშავის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის და სასურსათო მეურნეობის ინსტიტუტი (IERIGZPIB).

1989 წლამდე აღრიცხვიანობის კვლევის შედეგები გამოიყენებოდა მართვის ცენტრების მიერ, რომლებიც სწავლობდნენ კვლევის შედეგებს, ანგარიშებს, ექსპერტების დასკვნებს და, მოგვიანებით, ელექტრონულ მონაცემთა ბაზებს ადმინისტრაციის დონეზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. 1989 წლიდან პოლონეთში ეკონომიკური ფორმაციის ცვლილებამ მკვეთრად გაზარდა სხვადასხვა დაწესებულებების, კერძო ორგანიზაციების და ექსპერტების ინტერესი ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ, მათ შორის, აგრარულ სექტორში. ამავედროულად, სახელმწიფოს სუბსიდიების საკრედიტო პოლიტიკა მოითხოვდა აღრიცხვის სისტემის ფუნქციონირებას იმ მეურნეობებში, რომლებმაც კრედიტი აიღეს. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების აღრიცხვის უნიფიცირებული სისტემა, რომელშიც მონაწილეობდა არა მხოლოდ IERIGZPIB, არამედ სააღრიცხვო ბიუროების მთელი ქსელი ცალკეული მეურნეობების მიხედვით. ამ სისტემამ ფუნქციონირება შეწყვიტა 2004 წელს, პოლონეთის ევროკავშირში შესვლისთანავე, რაც უკავშირდებოდა

არადოქტაციური აგრარული სექტორის არსებობის მოთხოვნას. ევროკავშირში პოლონეთის ყოფნა მოითხოვს ახალი სააღრიცხვო სისტემის დანერგვას — FADN. FADN — სოფლის მეურნეობაში მონაცემთა შეგროვების და გამოყენების სისტემის პოლონური დასახელებაა და იგი ერთიანი აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბებას ემსახურება. ამ სისტემაში განთავსებული მონაცემები ემსახურება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განსაზღვრას. პოლონეთში პროგრამამ გამოცდა 2003 წელს გაიარა, ხოლო 2004 წლიდან მისი რეალიზება ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისად ხორციელდება.

FADN-ის ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები

FADN — ინგლ. Farm Accountancy Data Network — წარმოადგენს ერთიანი ევროპული აგრარული პოლიტიკის ფორმირების და მართვის მიზნით ევროკავშირის მიერ შექმნილ ინსტრუმენტს. ამ ინსტრუმენტის გამოყენების საფუძველს წარმოადგენს მეურნეობების შემოსავლების შესახებ სააღრიცხვო მონაცემთა შეგროვება, მათი ანალიზი ერთიანი ევრო-აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ფონზე და მოსალოდნელი ცვლილებების შეფასება ერთიანი პოლიტიკის ჩარჩოში. FADN-ის პოლონურმა ნაწილმა, რომელიც სავალდებულოა ყველა ევროკავშირის წევრი ქვეყნისათვის, საერთო ბაზაში უნდა წარადგინოს სააღრიცხვო მონაცემები, რაც პოლონეთის და ევროკავშირის კანონით არის განსაზღვრული. შეიძლება გამოიყოს FADN-ის 5 მიზანი:

1. სისტემა უნდა ემსახურობდეს პოლონეთის ადმინისტრაციას;
2. სააღრიცხვო მონაცემები უნდა გადაეცეს ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკის კომისიას;
3. მათ საფუძველზე შემუშავებული ნაციონალური აგრარული პროგრამები მხარდაჭერილი უნდა იყოს ევროკავშირის სხვა ქვეყნების მიერ;
4. მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს გლეხთა გაერთიანებებისათვის;
5. მონაცემები გამოყენებული უნდა იყოს გლეხების მიერ სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის შეფასებისას. ამავდროულად, სააღრიცხვო მონაცემები სამეცნიერო ცენტრებისათვის მნიშვნელოვან კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ ახალი კი-

პოთენციალის და ემპირიული შეფასებების შექმნის თვალსაზრისით. ამ კუთხით აღნიშნული წარმოდგენს საკონსულტაციო საქმიანობისათვის განსაკუთრებულ ინტერესს. FADN-ის ძირითად პროდუქტს მეურნეობის ინდივიდუალური პასპორტი წარმოადგენს, რომელსაც გლეხი იღებს ყოველწლიურად, თუ მისი მეურნეობა ჩართულია ამ სისტემაში.

FADN-ის ინდივიდუალური ანგარიში მეურნეობის მდგომარეობის შესახებ და FADN-ის შედარებითი ანგარიში

სისტემის მიერ მონაცემების მიღების, მრავალჯერადი გადამოწმების და დამუშავების საფუძველზე, გლეხს გადაეცემა დასკვნა მიმდინარე წელს მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. ამ დოკუმენტში ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით წარმოდგენილია საქმურნეო საქმიანობის შედეგები, რაც სამომავლო გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია. ამ ანგარიშში საქმიანობის სრული ანალიზი საფინანსო სიტუაციების მიხედვით მოცემულია ფინანსური საქმიანობის გაზრდის ან შემცირების პრინციპები და საფუძველი. ანალიზის ანგარიშის გამოყენება მკვეთრად ზრდის გლეხის საქმიანობის პროფესიულ დონეს და ახლო მომავალში ბანკები FADN-ის დოკუმენტაციას საკრედიტო პოლიტიკაში გამოიყენებენ. გლეხი, რომელიც ჩართულია FADN-ის სისტემაში, ინდივიდუალურ ანგარიშებთან ერთად იწყებს ანალოგიურ მეურნეობებთან მისი მეურნეობის შედარებას. ზოგადად, მეურნეობები შერჩეულია და დაყოფილია სამ ჯგუფად:

I - საუკეთესო შედეგების მქონე მეურნეობები (25%);

II - საშუალო მონაცემების მეურნეობები (50%)

III - ყველაზე უარესი (25%).

ამის საფუძველზე გლეხი რეალურად აფასებს საკუთარი საქმიანობის შედეგებს და პერსპექტივას. საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, პერსპექტიულია მხოლოდ ის მეურნეობები, რომლებიც სწრაფად და ეფექტურად შეაფასებენ საკუთარ საწარმოო პოტენციალს, შეიმუშავენ მართვის ეფექტურ სტრუქტურას, სწრაფად გათვლიან წარმოების მეთოდიკას და კონკურენტუნარიანობას. სისტემა წარმოადგენს ამის საფუძველს და იძლევა შესაძლებლობას, ჩამოყალიბდეს სამეურნეო საქმიანობის თანამედროვე უნარ-ჩვევები.

სებასტიან ზვიეჟი

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პოპორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

I. ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია

ვეროკაეშირის წამყვან ქვეყნებში ტრადიციულად არსებობენ ფერმერების გაერთიანებები, რომელთა მეშვეობით მეწარმე ამცირებს საწარმოო დანახარჯებს და უზრუნველყოფს მეურნეობისათვის დამატებით შემოსავალსა და განვითარების შესაძლებლობას. ამ სახელმწიფოებში ფუნქციონირებს დარგობრივი ასოციაციები, რომლებიც აერთიანებენ გლეხებს, გადამამუშავებელ და სარეალიზაციო რგოლებს. გაერთიანების ძირითადი მიზანია მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სეგმენტის მოპოვება და რეალიზაცია. ვეროკაეშირში აღნიშნული ასოციაციების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები წარმოდგენილია განკარგულებაში #952/97. იმ ქვეყნების სამეურნეო გამოცდილების ანალიზი, სადაც ეფექტურად ფუნქციონირებს სასურსათო პროდუქციის ბაზარი, გვიჩვენებს, რომ მეწარმეთა ჯგუფები წარმოადგენენ სასურსათო ბაზრის სტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტს და აქტიურად მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის რესტრუქტურის პროცესში. ასეთი დარგობრივი ჯგუფების არსებობა ხელს უწყობს წარმოების დაგეგმვას და შესაბამის მოქმედებას ბაზრის მოთხოვნილებების ჩარჩოში პროდუქციის ასორტიმენტის, რაოდენობის და ხარისხის თვალსაზრისით. მეწარმეთა ჯგუფების მონაწილეობით ყალიბდება საბაზრო ურთიერთობები მეწარმეს, გადამამუშავებელ და სარეალიზაციო რგოლებს შორის, რაც მიწოდების, მოთხოვნის და სტაბილური ფასების შესაბამისობებს განაპირობებს.

სასოფლო-სამეურნეო ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება უკავშირდება ე.წ. ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ინტეგრაციას.

ვერტიკალური ინტეგრაცია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცალკეული ეკონომიკური ელემენტების ურთიერთობას. იგი ეფუძნება ყიდვა-გაყიდვის გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმებას

მეწარმესა (სადაც აღწერილია გაყიდვების მოცულობა და სხვა პარამეტრები) და მომხმარებელს (გადამამუშავებელი, საბითუმო და საცალო საწყობი) შორის. ვერტიკალური ინტეგრაცია ხელს უწყობს ბაზრის სტაბილურობას და ამცირებს გაყიდვებთან (რეალიზაციასთან) დაკავშირებულ ხარჯებს (ინფორმაციის შეგროვება, ტრანსპორტის ორგანიზაცია, მოლაპარაკების პროცესის უზრუნველყოფა და ა.შ.).

ჰორიზონტალური ინტეგრაცია წარმოადგენს ურთიერთობებს აგრომეწარმეთა შორის. ეს, პირველ რიგში, იმ მეწარმეებს ეხება, რომლებიც დაქსაქსვის შემთხვევაში დაკარგავენ თავიანთ პოზიციებს ბაზარზე.

გლეხების მიერ სხვადასხვა სახის ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა წარმოადგენს აუცილებელ პირობას თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარზე საკუთარი ინტერესების რეალიზაციისათვის, რაც პოზიტიურ გავლენას ახდენს ბაზრის ორგანიზაციაზე და ფუნქციონირებაზე.

მეწარმეთა ფორმალური ჯგუფების მუშაობაში გლეხების მონაწილეობა დადებით ზეგავლენას ახდენს სასურსათო ბაზრის ორგანიზებასა და მუშაობაზე.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია შემდეგი დებულებები:

- წარმოების დაგეგმარება და მორგება ბაზრის მოთხოვნილებაზე პროდუქციის ასორტიმენტის, რაოდენობის და ხარისხის მიხედვით;
- ნედლეულზე მოთხოვნილების კონცენტრაცია;
- ბაზარზე მოთხოვნილების და ფასების სტაბილიზაცია მეწარმეთა, გადამამუშავებელ და სარეალიზაციო სექტორებს შორის ჰორიზონტალური ინტეგრაციული კავშირის შექმნის გზით;
- სოფლის პოზიტიური გარდაქმნა (ახალი სამუშაო ადგილები, სოფლის რეკონსტრუქცია და მრავალფუნქციონალური განვითარება);
- პროდუქციისათვის სარეალიზაციო შეფუთვის გაუმჯობესება, რაც ანონიმურობის დაძლევის და მეწარმის დადებითი იმიჯის შექმნის წინაპირობაა.

ჰორიზონტალური კოოპერაცია წარმოადგენს საკვანძო ფაქტორს სოფლის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რაც ხარ-

ჯების ოპტიმიზაციის, ხელშეკრულებების ეფექტურობის და სახელმწიფოსაგან ფინანსურ-სამართლებრივი მხარდაჭერის საფუძველია. ამ თვალსაზრისით, კორიზონტალური ინტეგრაცია პირველი ნაბიჯია საწარმოო წინადადებების კონცენტრაციისათვის და წარმოადგენს აუცილებელ პირობას ვერტიკალური ინტეგრაციისათვის.

III

სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები

ვრესლავ მარეკ ჰუმენცკი ვაცლავ კასპშიოვსკი

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

მარცვლეულის წარმოების ტექნოლოგია და ბაზარი

I. მარცვლეულის ბაზრის ფუნქციონირება ევროკავშირის პირობებში

2004 წლიდან, პოლონეთის ევროკავშირში შესვლის მომენტიდან, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარი ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისად ფუნქციონირებს.

მოსავლის აღების მომენტიდან მეწარმეს შეუძლია, მარცვლეული თავისუფალ ბაზარზე გაყიდოს. ამ პერიოდში არ გამოიყენება შესყიდვის მინიმალური ფასები, რომლებიც შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოების მიერ ადრე დაწესებულ ფასებს. მარცვლეულის ხარისხისადმი მოთხოვნებს განსაზღვრავს მყიდველი. იგი იღებს გადაწყვეტილებას შესყიდვის ვადებისა და მოცულობის შესახებ.

პოლონეთში მარცვლეულის ბაზრის სახელმწიფო რეგულირება (ისევე, როგორც ერთ ზონაში მყოფი ევროკავშირის სხვა ქვეყნებში) იწყება 1 ნოემბრიდან და შემდეგი წლის 31 მაისამდე გრძელდება. ამ მექანიზმის ამოცანაა, ევროკავშირის პირობებში შეინარჩუნოს ფასების დადგენილი დონე იმ ვითარებაში, როდესაც მიწოდება აღემატება მოთხოვნას. სახელმწიფო შესყიდვებს ექვემდებარება მარცვლეულის შემდეგი სახეობები: ხორბალი, ქერი და სიმინდი. შესყიდვის ფასი ერთია ყველა სახეობისათვის და ბოლო პერიოდში შეადგინა 101,31 €/ტ.

სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში იყიდება ის პროდუქცია, რომელიც აკმაყოფილებს ევროკომისიის დადგენილებით განსაზღვრულ ხარისხის მინიმალურ მოთხოვნას. მოთხოვნები წარმოდგენილია ცხრილში №1.

მარცვლის ფაქტიური ხარისხიდან გამომდინარე, პროდუქციის ფასი იმის მიხედვით იცვლება, თუ რამდენად შეესაბამება იგი ხარისხის მოთხოვნებს.

მარცვლეულის შესყიდვა ევროკავშირის თანხებით ხდება და შესყიდვის მომენტიდან იგი წარმოადგენს ევროკავშირის საკუთრებას. იმ სიტუაციაში, როდესაც მარცვლის საბაზრო ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდება და ბაზარს დესტაბილიზაციის საფრთხე დაემუქრება,

ევროკავშირის წევრ ქვეყანას აქვს უფლება, ევროკომისიის თანხმობის შემდეგ, სახელმწიფო ფონდიდან გამოიტანოს მარცვლეული შიდა ბაზარზე ღია კონკურსის წესით გასაყიდად.

ცხრილი №1

მარცვლეულზე ხარისხის მინიმალური მოთხოვნა
(ევროკომისიის დადგენილება)

ხარისხის მონაცემები	ზორბალი	ქერი	სიმინდი
მაქსიმალური ტენიანობა	14.5 %	14.5 %	14.5 %
ნარევის მაქსიმალური შემადგელობა	12.0 %	12.0 %	12.0 %
მათ შორის: — დაზიანებული მარცვ. — დანაგვიანებული მარცვ.	5.0 % 7.0 %	5.0 % 12.0 %	10.0% 5.0%
— ტექნიკურად დაზიანებული მარცვალი — სხვა დანაგვიანება	0.5 % 3.0 %	3.0 % 3.0 %	3.0 % 3.0 %
მათ შორის: — სარეველას თესლი — სხვა	0.10 % 0.05 %	0.10 % —	0.10% —
სიმკვრივის მინიმალური ნორმა კგ/100ლ.	73	62	—
ცილის მინ. შემცველობა	10.5 %	—	—
ცვენადობის მინიმალური ნორმა წმ-ში.	220	—	—
Zeleny-s მინიმალური მაჩვენებელი კუბ.სმ-ში	22-30 მაჩვენებლის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ტესტი წებოვანას შემცველობაზე	—	—

II. საშემოდგომო ხორბლის წარმოების ტექნოლოგია

მარცვლეულებიდან ხორბალი ყველაზე მნიშვნელოვან და ღირებულ ნედლეულს წარმოადგენს. იგი პურის, მაკარონის, ფაფის და შაქრის წარმოებაში გამოიყენება. მარცვალი, ისევე, როგორც ქაჭო, ამინოჰაფეების, ჟელატინის და ვიტამინების დიდი რაოდენობით შემცველობის გამო, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისათვის მნიშვნელოვან და ღირებულ საკვებს წარმოადგენს.

საშემოდგომო ხორბლის პოტენციალური მოსავლიანობა ძალზე მაღალია, რისთვისაც საჭიროა თანამედროვე აგროტექნიკური ტექნოლოგიების გამოყენება სასუქების, თესვის ნორმების, მოსავლის მოვლის, ნიადაგის ხარისხის, მორწყვის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ტექნოლოგიების მიუხედავად, შესაბამისი პროცედურების თანმიმდევრობის ან მოცულობის არასაკმარისი რეალიზაცია მკვეთრად ამცირებს ხორბლის მოსავალს. აგროტექნოლოგიის ჯამურმა შედეგმა, სწორი რეალიზაციის პირობებში, სოკოს საწინააღმდეგო ღონისძიებების გარეშეც მოსავალი საშუალოდ 0,8-1,2 ტ/ჰა-მდე უნდა გაზარდოს.

თესვბრუნვა

საშემოდგომო ხორბალი, ნიადაგის თესვისათვის მომზადების თვალსაზრისით, ყველაზე მგრძობიარე კულტურაა. როგორც წინამორბედი კულტურა, კარგ შედეგს იძლევა პარკოსნები, საშემოდგომო რაფსი, მრავალწლიანი იონჯა და სიმინდი.

არ არის მიზანშეწონილი ხორბლის დათესვა სხვა მარცვლეულის ადების შემდეგ, რადგან იგი მოსავლის 10-15%-ით შემცირებას იწვევს. ძირითად პრობლემად რჩება ფესვთა სისტემის დაავადებები (*seudocercospora herpotrichoides*) და (*Gaeumannomyces graminis*) ისევე, როგორც *Fusarium*-ის მრავალი სახეობა. სტატისტიკა ადასტურებს, რომ ფესვთა სისტემის 1%-ით დაზიანება მოსავალს 0,6%-ით ამცირებს, ხოლო *Pseudocercospora herpotrichoides*-ით 1% დაზიანების შემთხვევაში, ასევე იკარგება საშემოდგომო ხორბლის მოსავლის 0,6%. მარცვლეული კულტურებიდან, ხორბალთან თესვბრუნვაში, მხოლოდ შერიის გამოყენებაა გამართლებული.

საველე სამუშაოები

საშემოდგომო ხორბლის თესვისათვის ნიადაგის მომზადების მთავარი მიზანია მინერალური ბალანსის, ნიადაგის ტენიანობის, სარეველასთან

ბრძოლის და ნიადაგის ზედაპირის გასწორების უზრუნველყოფა, რაც სწრაფი და თანაბარი ჯეჯილის განვითარებული ფესვთა სისტემის, ძლიერი მცენარის წინაპირობაა. მექანიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ზრდის მოსამზადებელი სამუშაოების ხარისხს, ამარტივებს ჩასატარებელ ოპერაციებს, ასწორებს ნიადაგის ზედაპირს და უზრუნველყოფს ზუსტ და თანასწორ თესვას.

მინერალური სასუქები

ნიადაგის მუქეიანობა პოტენციური მოსავლიანობის შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს. PH-ს ოპტიმალური მონაცემია 6,2, დასაშვები — 6,0-7,0, რაც ნიადაგის მომზადებით მიიღწევა. კირი გამოიყენება, როგორც ნიადაგის ადრეული მომზადებისათვის, ასევე უშუალოდ საშემოდგომო ხორბლის თესვის წინ. სასუქის დოზირება უკავშირდება ნიადაგის PH-ს და მერყეობს 2 ტ/ჰა მსუბუქი და 4ტ/ჰა მძიმე ნიადაგის პირობებში. მაგნიუმის დეფიციტის პირობებში გამოიყენება მისი ნარევი კირთან იგივე დოზით.

ფოსფორის და კალიუმის სასუქის გამოყენება ინდივიდუალურად დგინდება ნიადაგის ცალკეული ტიპისათვის. იმ ნიადაგში, რომელიც გამოიყენება საშემოდგომო ხორბლისათვის, კალიუმის და ფოსფორის შემცველობა საშუალო დონეზე უნდა იყოს, საორიენტაციო დოზები შეადგენენ 40-90 კგ /ჰა P_2O_5 და 60-100 კგ/ჰა k_2O .

აზოტის სასუქის გამოყენება პირდაპირ კავშირშია სათეს კულტურასთან. აზოტის სასუქის სრული საგაზაფხულო ნორმა ხორბლისათვის შეადგენს 120-140 კგ/ჰა, ხოლო საფურავე ხორბლისათვის — მხოლოდ 100-120 კგ/ჰა. ხორბლისათვის აზოტის ძირითად წყაროს გაზაფხულზე შეტანილი სასუქი წარმოადგენს და ეს პროცედურა უზრუნველყოფს კულტურის საწარმოო პოტენციალის ზრდას. აზოტის სასუქის მეორე დოზა გამოიყენება თავთავის ჩამოყალიბების პერიოდში. აზოტის სასუქის მესამე დოზა შეაქვთ ხორბლის ყვავილობის შემდეგ, რაც ზრდის ცილის რაოდენობას მარცვალში და მარცვლის მასას. მესამე ციკლის გამოყენება მიზანშეწონილია, თუ მოსალოდნელი მოსავალი აღემატება 50 ც/ჰა.

თესვა

თესვის ოპტიმალური პერიოდია 20-30 სექტემბერი — 5 ოქტომბერი. 15 ოქტომბრის შემდეგ დათესილი ხორბლის ფესვთა სისტემა ვერ ასწრებს

მომკლავრებას, რაც მნიშვნელოვან დანაკარგებს იწვევს თესვის ნორმა დამოკიდებულია ნიადაგის ხარისხსა და თესვის პერიოდზე. მაღალი ხარისხის ნიადაგებზე თესვის ნორმა შეადგენს 4,5-5,0 მლნ. მარცვალს/ჰა-ზე. შედარებით სუსტ ნიადაგებზე - 5,0 -5,5 მლნ. მარცვალს/ჰა-ზე. გვიანი თესვის შემთხვევაში ნორმა უნდა გაიზარდოს 10%-ით.

თესვის ნორმის გათვლა შესაძლებელია შემდეგი ფორმულით:

თესვის ნორმა კგ/ჰა = თესვის რეკომენდირებული რაოდენობა (ცალ.) X 1000 მარცვლის წონაზე გრ : 10 000 X აღმოცენების ნორმა %.

ქიმიური დამუშავება

თესვის წინ სათესლე მასალის დამუშავება მოსავლიანობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, რისი მეშვეობითაც ინფექციების, სხვა დაავადებების და პათოლოგიების ლიკვიდაცია მიიღწევა. დამუშავებელი მარცვლის გამოყენება მკვეთრად ზრდის სოკოვანი დაავადებების გავრცელების რისკს, რაც იწვევს მოსავლიანობის შემცირებას, ან მთლიან განადგურებას. თესლის დამუშავება საშუალებას იძლევა, მინიმუმამდე დავიყვანოთ ისეთი დაავადებების გავრცელება, როგორცაა, მაგალითად, *Tilletiasp*, *Ustilagosp*, *Fusarium nivale*.

ხორბლის დათესვასა და აღმოცენებას შორის ხანგრძლივი პერიოდის გამო, მას უჭირს სარეველებთან ბრძოლა. ამიტომ ნიადაგის მექანიკური დამუშავების გარდა გამოიყენება ჰერბიციდები. ჰერბიციდების გამოყენება აუცილებელი ხდება დასარეველიანების ზღვრული დონის გადაჭარბების შემთხვევაში.

საშემოდგომო ხორბლისათვის ჰერბიციდების გამოყენების ნორმები

სარეველა	სარეველას რაოდენობა მ ²
ცოცხბალახა	20-25
შერიუკა	5-10
გვირილისებური	5-8
ღიღილო	1-3
მინდვრის ნარი	1-2
მინდვრის ნემსა	2-3
წითელი წალიკა	1-2
თავკისბარდა	1-2

საშემოდგომო ხორბლის განვითარების პირველ ეტაპზე ძირითად პრობლემას მცენარის ღერძის გატეხვა წარმოადგენს. ასეთი პათოლოგიები იმ ნიადაგებზე ვითარდება, სადაც ხორბლის თესვას წინ უძღოდა სხვა მარცვლეულის თესვა.

საშემოდგომო ხორბლის ფორმირების პროცესში მეორე კრიტიკული ეტაპია თავთავის ჩამოყალიბება, რადგან იგი მანებლების და სხვა დაავადებების სამიზნე ხდება. სტანდარტული პროფილაქტიკა გულისხმობს ხორბლის ორჯერად დამუშავებას კრიტიკული პერიოდების მიხედვით. პირველ შემთხვევაში დამუშავება ხდება აღმოცენების დროს (ფკვილის ჩრჩილის წინააღმდეგ), მეორეჯერ - კომპლექსური დამუშავება - თავთავის მწიფობის დროს. აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება ხორბლის გამაძლიერებელი პრეპარატები.

ჰანა კალკოვსკა

სასოფლო-სამეურნეო კონსუტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

რაფსის წარმოების ტექნოლოგია და გაზარი

საშემოდგომო რაფსის თესლი წარმოადგენს მცენარეული და ტექნიკური ზეთების ნედლეულს და მაღალი ცილის შემცველ საკვებს ცხოველებისათვის.

ზოგიერთი ატმოსფერული მოვლენების მიმართ რაფსის განსაკუთრებული მგრძობიარობა წარმოადგენს ამ კულტურის პოტენციალური მოსავლიანობის შემზღვეველ ფაქტორს. იმისათვის, რომ რაფსმა კარგად გაუძლოს ზამთარს, „მოსვენების“ წინ მას უნდა ჰქონდეს მიწიდან ოდნავ ამოწვერილი (3-4 სმ) 8-9 ფოთოლი, ღეროს სიმსხო კი 0,5სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

თესვის ნორმების დარღვევა ან აზოტის დიდი რაოდენობა იწვევს რაფსის ვადაზე ადრე აღმოცენებას და მცენარე დაბალი ტემპერატურის და ზამთრის ქარის მანევ ზეგავლენის ქვეშ იმყოფება.

ბუნებრივ პირობებთან ერთად რაფსის მოსავლიანობა უკავშირდება გამოყენებულ აგროტექნოლოგიებს, კერძოდ, ნიადაგის მოშადებას, თესვბრუნვას, სასუქის გამოყენებას და თესვის ვადებს.

რაფსს უხდება მშრალი ნიადაგი, ჰუმუსის ღრმა ფენით (PH6-ზე მაღალი) და პირიქით, არ უხდება ნოტიო და მჟავიანი ნიადაგები, მშრალი კვიშები, ტორფიანი ნიადაგი, რომლებზეც რაფსი, უბრალოდ, იღუპება.

რაფსის დათესვამდე კარგია, გამოყენებულ იქნას იონჯა, მარცვლეული, ადრეული კარტოფილი და საშემოდგომო და საგაზაფხულო ქერი. მნიშვნელოვანია სწორი აგროტექნიკა და მოსავლის მოვლა. თესვის სიღრმე უნდა შეადგენდეს 20-22 სმ. რეკომენდირებულია სავარგულების ადრეული მოხვნა, რათა მიწამ სათანადოდ დასვენება შესძლოს.

თესვის წინ აუცილებელია ნიადაგის ზედაპირის გასწორება და ბოლქვების დაშლა, რათა უზრუნველყოფილი იყოს თესლის და ჯეჯილის თანაბარი განვითარება და აღმოცენება.

კალიუმის და ფოსფორის სასუქი ნიადაგში შეტანილი უნდა იქნეს მოსამზადებელ პერიოდში, ღობირება ნიადაგში მინერალური ელემენტების შემცველობას უკავშირდება:

ნიადაგში მინერალური ელემენტების შემცველობა

ნიადაგის ხარისხი	ფოსფორი კგ/ჰა P_2O_5	კალიუმი კგ/ჰა K_2O
დაბალი და ძალზე დაბალი	90-135	150-180
საშუალო	50-65	120-140
მაღალი და ძალიან მაღალი	30-50	50-80

შემოდგომაზე შეაქვთ სასუქების ღობა 30-40 კგ/ჰა, რაც პირველი ფოთლების სრულყოფილ განვითარებას უზრუნველყოფს. აზოტის ძირითადი რაოდენობა შეაქვთ გაზაფხულზე (160-200 კგ/ჰა) ორი შეტანით — პირველი (2/3) — სელიტრის სახით — ვეგეტაციის დასაწყისში და მეორე ნაწილი — 7-14 დღის შემდეგ. კირის შეტანა ხდება რაფსის წინამორბედი კულტურის დროს, ან რაფსის დასათესად ნიადაგის მომზადების პერიოდში (ღობა — 3 ტ/ჰა). მცენარის სწორი ფორმირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თესვის ვადას და სიხშირეს. რაფსის თესვის ოპტიმალური ვადებია აგვისტოს შუა პერიოდი და მხოლოდ 5-10 დღეს შეადგენს. ვადაზე ადრე დათესილი რაფსი ვერ უძლებს ზამთარს, ხოლო გვიან დათესილი — ვერ ასწრებს ფესვების სისტემის განვითარებას.

ხშირ აგროტექნიკურ შეცდომას რაფსის თესვის სიხშირე წარმოადგენს, რაც წერილი და მაღალი მცენარის განვითარებას უწყობს ხელს. ამ შემთხვევაში მცენარე ვერ უძლებს დაბალ ტემპერატურებს და ქარს.

თესვის ნორმა, ნიადაგის დამუშავების ხარისხიდან გამომდინარე — 3,4-4,5 კგ/ჰა-ზე 30-40 სმ რიგებს შორის ინტერვალით მექანიკური დამუშავების დროს და 15-18 სმ ინტერვალით — სარეველას წინააღმდეგ ქიმიური დამუშავების შემთხვევაში. თესვის ოპტიმალური სიღრმე 2 სმ შეადგენს.

A და B ხარისხის რაფსის თესვის ნორმები და მოსავლიანობა

მარცვლის რაოდენობა 1 მ ²	თესლის მასა (კგ/ჰა)	ნაზამთრი % A ც/ჰა	მარცვლის მოსავლიანობა			
			A		B	
			ც/ჰა	%	ც/ჰა	%
90	4	80	31,3	100	35,0	100
180	8	72	30,2	96	31,7	90
360	16	61	28,5	91	30,3	86

რაფსის რენტაბელური მოსავლის მიღების აუცილებელი წინაპირობაა ხარისხიანი და სათანადოდ დამუშავებული სათესლე მასალის გამოყენება, დამაკმაყოფილებელი მოსავლის მიღებისათვის მ²-ზე არანაკლებ 50-ზე მეტი ჯანმრთელი მცენარე უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ მცენარის რაოდენობა 25-35-ია, მაგრამ კარგად განვითარებული და თანაბრად განაწილებულია, შესაძლებელია კარგი მოსავლის მიღება. თუ მ²-ზე 20 ნორმალურ მცენარეზე ნაკლებია, ნათესი უნდა გადაიხნას.

იმ შემთხვევაში, თუ ნათესი არ დამუშავდება სარეველას წინააღმდეგ, მოსავალი 20-25%-ით, ხოლო ზოგჯერ — 40%-ით შემცირდება. პერბიციდების გამოყენება შემოდგომაზე უფრო ეფექტურია, ვიდრე გაზაფხულზე, ვინაიდან წინასწარ სპობს სარეველას გაერცელების შესაძლებლობას.

მკვებლებისაგან რაფსის მოსავლის დანაკარგები შეიძლება შეადგენდეს 15-50%-ს, ზოგჯერ კი — 80%-საც კი.

რაფსისათვის საშიში დაავადებებია: ფომოზი, სკლეროტინოზი, რუხი აბი, თესლის დაზიანება. დაავადებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია თესლის დამუშავება, ოთხწლიანი თესვბრუნვის გამოყენება, აგროტექნოლოგიების დაცვა. რაფსის მოსავლის აღება წარმოებს ორფაზიანი მეთოდით, ანუ იმ მომენტში, როდესაც ისინი ბრინჯაოსფერს მიიღებენ და მათი ქერქი იხსნება. კომბაინით მოსავლის აღება (ერთფაზიანი რეჟიმი) იწყება მაშინ, როდესაც თესლი იწყებს გამკვრივებას და მუქდება. მოსავლის აღების ვადების დაცვა მაღალი ხარისხის მოსავლის მიღების გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

მცენარეთა ბაზრის რეგულირების პრინციპები რაფსის, სიმინდის, მზუსუშხირის, სოიოს კულტურების მიმართ საერთოა ევროკავშირში.

1993-1994 წლებიდან ევროკავშირის ბაზარი ტექნიკური კულტურების მიხედვით (მათ შორის რაფსის) არ რეგულირდება, რაც იწვევს რაფსის ფასების არასტაბილურობას. ფასი რეგულირდება მიწოდებისა და მოთხოვნილების მიხედვით. ამის მიუხედავად, რაფსის მწარმოებელთა მხარდაჭერისათვის, სათესი ფართობების მიხედვით, გამოიყენება პირდაპირი დოტაციები.

პოლონეთში რაფსის ძირითადი მწარმოებელია ფერმერი, ხოლო გადამუშავებას ახორციელებს შვიდი საწარმო, თუმცა ნედლეულის შესყიდვაში ზოგჯერ მონაწილეობენ შუამავალი ორგანიზაციებიც. მწარმეები, რომელთაც თავიანთი საშრობები გააჩნიათ, რაფსის პროდუქციას, ძირითადად, გაზაფხულზე ყიდიან.

ბიოსაწვავი

ბიოსაწვავის მისაღებად რაფსის ნედლეულად გამოყენება მწარმოებლებს განვითარების დამატებით შესაძლებლობას აძლევს. ბაზრის მოთხოვნილება იზრდება სატრანსპორტო სექტორის განვითარებასთან ერთად, რომელიც მნიშვნელოვნად აბინძურებს გარემოს CO₂-ით, მძიმე მეტალების და ნავთობპროდუქტების გამოწვევით. ევროკავშირის ღირექტივის თანახმად, ევროკავშირის ქვეყნებში 2010 წლისათვის საწვავში ბიოლოგიური კომპონენტების რაოდენობა უნდა შეადგენდეს 5,75%-ს. ევროკავშირში ბიოსაწვავის წარმოება ეფუძნება რაფსიდან მიღებული მეთილის შენაერთების (დიზელის ძრავისათვის) და ეთანოლის (ბენზინის ძრავებისათვის) გამოყენებას.

ჰანა კალკოვსკა

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

შაქრის ჭარხლის წარმოების ტექნოლოგია და ბაზარი

მემკენარეობაში, შაქრის ჭარხალი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურაა და მისი წარმოება აგროტექნიკის, სავარგულის, სათესლე მასალის მომზადების და მოსავლის აღების სწორი ორგანიზების კუთხით, შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს.

შაქრის ჭარხლის წერტილოვანი თესვისათვის გამოიყენება საუკეთესო ნიადაგები, სადაც პროდუქტიული ზედაპირის სიღრმე შეადგენს 30-40 სმ. შაქრის ჭარხალს არ უხდება ტენიანი, ტორფიანი, ქვიანი და დატბორილი ნიადაგები. სავარგული გაწმენდილი უნდა იყოს მრავალწლიანი სარეველებისაგან, დაავადების კერებისაგან და მავნებლებისაგან. ჭარხლის განლაგების საუკეთესო ვარიანტია ის სავარგულები, სადაც მანამდე დათესილი იყო პარკოსნები, მარცვალი, კარტოფილი ან მათი შერეული ნათესები. ერთი და იგივე ფართობზე შაქრის ჭარხლის მოყვანა შესაძლებელია ოთხ წელიწადში ერთხელ.

ნიადაგის სწორი და ეფექტური მომზადება გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მაღალი მოსავლის მისაღებად. ამ პერიოდში აუცილებელია განადგურდეს რაც შეიძლება მეტი სარეველა, განსაკუთრებით — მრავალწლიანი, რომლებიც უფრო რეზისტენტულები არიან ქიმიური მოქმედების მიმართ.

პარკოსნების ან მარცვლეულის აღებისთანავე აუცილებელია მოიხსნას ნიადაგი და ჩატარდეს სარეველების საწინააღმდეგო ღონისძიებები მოხვნის სიღრმით 15 სმ-დე. აუცილებელია, ნაკელი, ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქი მიწით დაიფაროს. სავარგულის მომზადების ბოლო ოპერაციაა ზამთრის მოხვნა 30 სმ. სიღრმეზე, რაც ხელს შეუწყობს ფესვთა სისტემის განვითარებას და მცენარის გამოზამთრებას.

შაქრის ჭარხალი ვერ იტანს მჟავე ნიადაგს და რეკომენდირებული PH 6,6-7,2 შეადგენს, რაც შაქრის ჭარხლის დათესვამდე ერთი ან ორი წლით ადრე უნდა იყოს უზრუნველყოფილი. საშუალო მჟავეიანობის

ნიადაგში შეაქვთ კირი დოზით 1,5-2 ტ/ჰა CaO ხოლო მძიმე ნიადაგში — 3ტ/ჰა CaO.

ნაკელი დოზით 30-40 ცტ/ჰა ფოსფორიან და კალიუმიან სასუქთან ერთად მაღალ შედეგს იძლევა. ნაკელის შეტანა გაზაფხულზე აკრძალულია.

კალიუმ-ფოსფორის სასუქები ნიადაგში შეტანილ უნდა იქნას ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში მიკროელემენტების კონცენტრაცია და შემოდგომაზე შეტანილი ორგანული სასუქის გათვალისწინებით. კალიუმ-ფოსფორის სასუქის გამოყენება გაზაფხულზე სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსაკალს, რადგან ამცირებს სრულყოფილად განვითარებული მცენარეების რაოდენობას.

ფოსფორის და კალიუმის დოზირება შაქრის ჭარხლის წარმოებისათვის K_2O , P_2O_5 1კგ/ჰა

ელემენტების რაოდენობის შეფასება ნიადაგში	ნიადაგი		P_2O_5
	საშუალო	მძიმე	
	K_2O		
დაბალი	150-200*	100-150*	100-120*
საშუალო	100-150	70-100	80-100
მაღალი	50-100	50-75	60-80
ძალიან მაღალი	50-მდე	50-მდე	40-60

* ნიადაგში ნაკელის კარგეჭე, ან 50 ტ/ჰა მოსალოდნელი მაღალი მოსავლის შესახებ.

ნიადაგი უნდა მომზადდეს ისე, რომ 2-3 სმ სიღრმეზე დათესილი თესლი აღმოჩნდეს ტენიან ნიადაგში და კარგად იყოს დაფარული. შესაბამისად მომზადებული ნიადაგის ზედაპირი (სწორი, ბოლქვების გარეშე) იძლევა წერტილოვანი თესვის საშუალებას (18 სმ ინტერვალით).

ნიადაგის მომზადების პროცესში დამახასიათებელ შეცდომებს წარმოადგენს ნიადაგის ღრმა მოხვნა, ბოლქვების დატოვება და ნიადაგის ზედაპირის დაზიანება.

აზოტის სასუქის გამოყენება მოითხოვს განსაკუთრებულ სიზუსტეს, ვინაიდან, დაბალი დოზა დაასუსტებს მცენარეს, ხოლო ზედმეტი — შეამცირებს მცენარეების რაოდენობას, ჭარხლის ზარისხს და ფოთ ლევის საკვებ ღირებულებას. აზოტის სასუქის რეკომენდირებული დოზა შე-

ადგენს 60-159 კგ/ჰა. თუ დოზა შეადგენს 90 კგ/ჰა, მეწარმეს შეუძლია სასუქი შეიტანოს დათესვამდე 7 დღით ადრე, როდესაც ღარიბ ნიადაგებში დოზა შეადგენს 120-150 გ/ჰა, 80-90 კგ/ჰა შეტანილი უნდა იყოს თესვის წინ, ხოლო დანარჩენი 40-60 კგ/ჰა — მეორე-მეოთხე ფოთლის წარმოქმნის დროს.

კულტურის და ნიადაგის მოშაადების ხარისხის მიხედვით გამოიყენება სხვადასხვა თესვის ტექნოლოგიები.

თესვის ტექნოლოგიები

საეფლე პირობები	აღმოცენება %	თესვის მანძილი სმ-ში	თესვის ერთეული 1 ჰა*
სუსტი	80	6 - 9	4.0 - 2.5
საშუალო	81 - 85	9.1 - 12.0	2.5 - 2.0
კარგი	86 - 90	12.1 - 15.0	2.0 - 1.5
ძალიან კარგი	90-ზე მეტი	15.1 - 18.0	1.5 - 1.2

* თესვის ერთეული = 100. 000 ჭარხლის თესვს.

თესვის მანძილი რეკომენდირებულია არა უმეტეს 15-18 სმ და ნორმალური მაჩვენებელია 80-95 ათასი მცენარე 1 ჰა-ზე.

თესვის ვადები, რაც უზრუნველყოფს მცენარის ხარისხს და რაოდენობას, განისაზღვრება კლიმატური პირობებით, ტენიანობით და ნიადაგის ტემპერატურით.

სასურველია ადრეული თესვა, როცა ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა შეადგენს 5-6°C, ხოლო ტენი უზრუნველყოფს ნორმალურ აღმოცენებას. ეს ოპერაცია უნდა ჩატარდეს რამდენიმე დღეში ნორმალური ნიადაგის შემთხვევაში — 2-2,5 სმ სიღრმეზე, ხოლო დაბალი ხარისხის ნიადაგში — 3 სმ სიღრმეზე. რიგებს შორის მანძილი შეადგენს 45 სმ, რაც მიიღწევა მექანიზირებული თესვით.

ქიმიური საშუალებების გამოყენება არ წარმოადგენს პანაცეას სარეველასთან, დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის პროცესში. აუცილებელია მექანიკური აგროტექნიკური მოქმედების და ქიმიური საშუალებების ეფექტური შერწყმა, რაც აგრონომიული პრაქტიკით მიიღწევა. მოსავლის აღება უნდა დაიწყოს ვეგეტაციიდან 170-180 დღის

შემდეგ. ვეგეტაციის პროცესის ხანგრძლივობა ზრდის მოსავალს და მის ტექნოლოგიურ ღირებულებას 10%-ით აუმჯობესებს.

ევროკავშირის ქვეყნებში შაქრის ჭარხალი ძირითადი ნედლეულია შაქრის წარმოებაში. მსოფლიოში მიღებული შაქრის 26% მოდის ჭარხალზე, ხოლო 74% — შაქრის ლერწამზე. ევროკავშირის სივრცეში შაქრის ბაზარი რეგულირდება საკანონმდებლო აქტებით, რომელთა ძირითადი მიზანია მეწარმისათვის შემოსავლის უზრუნველყოფა და გადამამუშავებელი მრეწველობის გარანტირებული განვითარება. ბაზრის რეგულირების ძირითადი მეთოდებია: კვოტების სისტემა და შესყიდვის მინიმალური ფასების დაწესება, რაც მოთხოვნის და მიწოდების ბალანსით განისაზღვრება. შაქრის ბაზრის რეგულირების სისტემა ფუნქციონირებს 1968 წლიდან. მაგრამ 2006 წლის 1 ივლისიდან ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედებს თამაშის ახალი წესები. ევროკავშირის ყველა ქვეყანაში კვოტების, ფასების და სახელმწიფო შესყიდვების შემცირებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შაქრის ჭარხლის წარმოების შემცირება 36%-ით. ევროკომისია სთავაზობს მეწარმეს, ნებაყოფლობით შეამციროს შაქრის ჭარხლის წარმოება და იყენებს კომპენსაციების სისტემას სპეციალური ფონდიდან.



ასაღები ხორბალი



იანინას და ბოგდან მუზიკოს საოჯახო მეურნეობა სტარო კოსტელნიცაში
(მოდერნიზებული ვეროკაუშირის თანხებით)



შაქრის ჭარხალი



რაფსის სფერული

ვანდა ბარანსკა, ზ. მარჩინიაკი

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (მრკ) მოვლა- შენახვის ტექნოლოგია და რძის ბაზარი (საძოვრების გამოყენების გათვალისწინებით)

მესაქონლეობაში წარმატებას სამი ფაქტორი განაპირობებს: გენეტიკა, მოვლა-შენახვის პირობები და მეპატრონე. კარგი გენეტიკური მასალა უზრუნველყოფს მაღალ წველადობას და ცოცხალი წონის სათანადო ნორმატივებს. შესაბამისი მოვლა-შენახვის პირობები გენეტიკური პოტენციალის გამოვლინების საფუძველია, ხოლო მეპატრონის (მეწარმის) შესაბამისი ცოდნა ხელს უწყობს წარმოების ოპტიმალური ბალანსის შერჩევას. რძის მწარმოებლებმა, რომლებიც ცდილობენ, შექმნან ოპტიმალური საწარმოო ბაზა, უნდა დანერგონ შერეული (კომბინირებული) ჯიშების გამოყენება (პოლშტენო-ფრიზის საფუძველზე). კვლევებმა აჩვენა, რომ ამ ჯიშის გენეტიკური პოტენციალი ძალზე მაღალია და ადგილობრივი ჯიშის პოტენციალსაც კი აღემატება. ევროკავშირში ძირითად ჯიშად მიჩნეულია შავ-თეთრი საქონელი (პოლშტენო-ფრიზი 87,5-100%) ცოცხალი წონით 600-700 კგ და წველადობით 6-10 ათ.კგ რძე წელიწადში. მერძეული ნახირის შენახვა უნდა შეესაბამებოდეს ლოკალურ მოთხოვნილებას რძეზე და გადამამუშავებელი სექტორის მიერ რძის შესყიდვის პოტენციალს. მეხორცული (მრკ) მესაქონლეობის განვითარება ეფუძნება კლიმატურ პირობებს და ხორცზე არსებულ მოთხოვნილებას. იმ მეურნეობებმა, რომლებსაც საკმარისად გააჩნიათ საძოვარი, უნდა შეინარჩუნონ სწორი ბალანსი მერძეულ და მეხორცეულ მიმართულებებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ მერძეული მიმართულება იქნება ნაკლებად ეფექტური, საწარმოო უპირატესობა ენიჭება მეხორცულ ჯიშებს. საწარმოო ეფექტი ამ შემთხვევაში იზომება ხბოების ცოცხალი წონით და რაოდენობით. ხარისხიანი ხორცის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალიზირებული ჯიშების გამოყენებით. ის საწარმოები, რომლებიც

ხორციის შესყიდვით არიან დაკავებული, უპირატესობას ანიჭებენ „ლიმუზინის“ და „შეროლეს“ ჯიშებს.

სწორი კვება — საქონლის ჯანმრთელობის საწინდარს, საწარმოო შედეგის და ბიზნესის რენტაბელობის საფუძველს წარმოადგენს. დანახარჯების სტრუქტურაში საკვები ბაზა 50%-ზე მეტს შეადგენს. საწარმოო დანახარჯების შემცირება პირდაპირ უკავშირდება კვების სწორ ორგანიზაციას, ანუ ხარისხიანი და დაბალანსებული (მინერალური და ორგანული) საკვები რაციონის გამოყენებას.

მრპ-ის საკვები ბაზის დაგეგმარების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას:

1. საქონლის ცოცხალი მასის საშუალო წლიური ნამატი.
2. საკვებზე წლიური მოთხოვნილება.
 - საკვების რეზერვები და დანაკარგები შენახვის პროცესში.
 - კვების სისტემა და მწარმოებლობა.
3. საკუთარი საკვების წარმოების საშუალება.
 - საკვები კულტურებისათვის სავარგულების მოცულობა.
 - მარცვლეულის და პარკოსნების სავარგულების ფართობი.
4. საკვების შენახვის და კონსერვაციის შესაძლებლობა.
5. საკუთარი საკვები ბაზის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აუცილებელი რაოდენობის საკვების შესყიდვის დაგეგმარება.

საკვები ბაზის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს საკუთარ მეურნეობაში მიღებული საკვები, ძირითადად, სიმინდი და თივა. საზაფხულო კვების ყველაზე იაფი და ძირითადი ფორმაა საძოვარი, რაც სავარგულის ყველაზე ეფექტური გამოყენების საშუალებაა.

კვების საძოვრული სისტემა არ გულისხმობს თიბეასა და საკვების ტრანსპორტირებას, რაც მკვეთრად ამცირებს კვების დანახარჯებს. ნორჩი ბალახი და მცენარეულობა დიდი რაოდენობით ცილებსა და ბოჭკოებს შეიცავს. აუცილებელია, ერთის მხრივ, ცილების მაღალი შემცველობისა და, მეორე მხრივ, მინერალების მაღალი შემცველობის მქონე საკვების კომბინირება. კარგ საძოვარზე დღეში 18 კგ-მდე რძის მიღება შეიძლება. კომბინირებული საკვების დამატება რაციონში დადებით შედეგს იძლევა მწვანე საკვების ფონზე, დღიურად 60-70 კგ წველადობისას 1 კგ კომბინირებული საკვების დამატების დროს წველადობა 2,5 კგ-ით იზრდება.

საკვები კულტურების აღების ოპტიმალური ვადაა მათი ყვავილობის პერიოდი, რაც განაპირობებს თივის მაღალ კვებით თვისებებს. კარგი

თივის გამოყენების შემთხვევაში, კომბინირებული საკვები წარმოადგენს საკვები რაციონის დანამატს. ჯიშისანი საქონელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მაღალი ხარისხის საკვებით, რაც მისი გენეტიკური პოტენციალის გამოვლენის საშუალებაა. შეწარმემ უნდა უზრუნველყოს:

- საკუთარი საკვები ბაზის მაღალი ხარისხი;
- კვების რაციონის დაბალანსება მინერალებითა და ცილებით;
- მინერალური დანამატების გამოყენება;
- წყალთან და საკვებთან საქონლის მუდმივი კონტაქტი;
- კვების სისტემის სრულყოფა TMR (total mixed zation) და lub PMR (portio mixed zation) სისტემების გამოყენებით.

რაც უფრო მაღალ საწარმოო შედეგს ელოდება შეწარმე, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საკვები ბაზის ორგანიზებას და პირუტყვის შენახვის პირობებს. მეხორცეული მიმართულების საწარმოო ეფექტურობა ასევე ეფუძნება ჯიშის შერჩევას, მოვლა-შენახვის პირობებს და კვების სისტემას. შედეგის 70%-ს სწორი კვება განაპირობებს, რაც მაღალი ხარისხის საკვები ბაზის შექმნას უკავშირდება.

მერძეული მიმართულების მეურნეობის ძირითადი ამოცანაა, აწარმოოს დიდი რაოდენობის ხარისხიანი რძე. დაბალი ხარისხის რძის მიღება უკავშირდება ცუდ ბუნებრივ პირობებს და უხარისხო კვებას.

იმისათვის, რომ რძემ შეინარჩუნოს ნატურალური თვისებები, აუცილებელია ჰიგიენის ძირითადი პრინციპების დაცვა, კერძოდ:

- წველის წინ ხელების სისუფთავე (ბინძური ხელები ბაქტერიების წყაროა);
- რძის პირველი ორი-სამი ჩამონაწველის მოშორება ძირითადი ნაწველიდან;
- ცურის ანთების (მასტიტის) ადრეული დიაგნოსტიკისათვის, რძის ხარისხის კონტროლი TOK — სისტემით;
- ცურის დაბანა წველის წინ, სპეციალური სადუზინფექციო საშუალების შემცველი ერთჯერადი ხელსახოცით;
- ცურის მასაჟი — ცურის სწრაფი განთავისუფლების მიზნით;
- დაუშვებელია ცარიელი ცურის წველა, რაც მექანიკურად აზიანებს ცურს და იწვევს მასტიტს;
- წველის შემდგომ ცურის დუზინფექცია (წველის შემდეგ ცურის არხები 30 წუთის განმავლობაში ღიაა, რაც მიკრობების შეღწევის წინაპირობაა);
- რძის გაფილტვრა ერთჯერად ფილტრებში;

- რძის გაცივება წველის დამთავრებისთანავე (თუ რძის ტემპერატურა არ დაიწევს 4°C -მდე, იწყება ბაქტერიების გამრავლება. 25°C შემთხვევაში რძის ბაქტერიები ორმაგდებიან ყოველ 15 წუთში);

წველის ჰიგიენის გარდა აუცილებელია:

- საქონლის ვეტერინარული პროფილაქტიკა;
- მწველავის ჯანმრთელობა;
- სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა;
- საწველი აპარატების დეზინფექცია;
- წველისა და რძის გაცივებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობებისა და სათავსოების სისუფთავე;
- ვენტილაცია, განათება და ტემპერატურული რეჟიმი;
- საქონლის სისუფთავე;
- სადგომის, დერეფნებისა და არხების სისუფთავე;
- საკვების და ნაკვლის ტრანსპორტირების სისუფთავე;
- წველის ტექნიკური საშუალებების პერიოდული დათვალიერება და პროფილაქტიკა;
- საქონლის მაღალი ხარისხის საკვებით უზრუნველყოფა.

აღნიშნული პირობების დაცვა განაპირობებს მაღალი ხარისხის რძის მიღებას. ჯანმრთელი ძროხის 1 მლ რძე მოწველის შემდეგ 1000—10.000 ბაქტერიას შეიცავს „ექსტრა“ კლასის რძეში ბაქტერიების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10.000-ს, სომატიური უჯრედების რაოდენობა ასევე არ უნდა აღემატებოდეს 10.0000. ძროხის ასაკთან ერთად რძეში იზრდება სომატიური უჯრედების რაოდენობა. 10 წლის ასაკის ძროხაში ასეთი უჯრედების რაოდენობამ შეიძლება 200.000-ს გადააჭარბოს. „ექსტრა“ კლასის რძეში სომატიური უჯრედების რაოდენობამ 400.000-ს არ უნდა გადააჭარბოს.

რძის და მისი პროდუქტების ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოებაზე პასუხს აგებს მეწარმე და გადამამუშავებელი სტრუქტურა. ნორმატიულმა აქტებმა უნდა უზრუნველყონ:

- რძის მაღალი ხარისხი;
- პროდუქციის უსაფრთხოება;
- პროდუქციის რენტაბელობა და კონკურენტუნარიანობა;
- გარემოს დაცვა;
- საქონლის ჯანმრთელობა.

ევროკავშირის მოთხოვნების მიხედვით, რძის სარეალიზაციოდ ყველა მეურნეობისათვის სავალდებულოა რძის წარმოების და გადამამუშავების პროცესის დოკუმენტირება ანუ სანიტარულ-ვეტერინარული ატესტაცია.

რძის პოლონური სტანდარტი „ექსტრა“ ანუ არა უმეტესი 10.0000 ბაქტერია და 400.000 სომატური უჯრედი, შეესაბამება ევროკავშირის რძის ხარისხობრივ პარამეტრებს.

რძის ბაზრის მართვის ძირითადი ინსტრუმენტია რძის ქვოტები, რომელიც ევროკავშირში 1984 წლიდან ფუნქციონირებს, ხოლო პოლონეთში — 2004 წლიდან. ლიმიტების შემოღება გულისხმობს რძის რაოდენობის პროგნოზირებას, რაც უზრუნველყოფს წარმოების რენტაბელობას. ევროკავშირის ყველა ქვეყანას აქვს საერთო ქვოტა, რომელიც შემდგომში ნაწილდება ცალკეულ მეწარმეებზე. აღნიშნული ქვოტა განაპირობებს მეწარმის მიერ მიღებული რძის რაოდენობას შესაბამისი ხარისხის დაცვის პირობებში (ცხიმინობა). ეს ქვოტა შესაძლებელია მეწარმემ გაყიდოს, რისთვისაც დაწესებულია ვაჭრობის პერიოდი (1 აპრილიდან — შემდეგი კალენდარული წლის 31 მარტამდე). ქვოტების სისტემა ვრცელდება მხოლოდ ძროხის რძის მწარმოებლებზე. ასეთი სისტემა დაწესებულია ჭარბწარმოებისა და ბაზრის დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად.

რძის ქვოტა წარმოადგენს ვაჭრობის საგანს, იგი შეიძლება გაიყიდოს, გაიცეს იჯარით, გადავიდეს მემკვიდრეობით ან მოხდეს მისი განუქება.

ვლოდზიმეშ სავირსკი

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

მელორეობის ზოგიერთი საკითხი

ლორების წარმოება ევროკავშირსა და პოლონეთში

ევროკავშირში ღორის სულადობა 250 მლნ. ღორს შეადგენს, ყველაზე მსხვილი მწარმოებლები არიან: გერმანია, ესპანეთი, პოლონეთი, დანია და პოლანდია. 2007 წ. ივლისისათვის პოლონეთში ღორის საეარაუდო სულადობა შეადგენდა 17-17,5 მლნ, რაც ბევრად ნაკლებია 2006 წელთან შედარებით (დაახლ. 20 მლნ.), ამის მიზეზია წარმოების რენტაბელობის დონის დაცემა, რაც გამოწვეულია საკვებზე, წარმოების საშუალებებზე, მარცვლეულზე ფასების ზრდით და პროდუქციის შესასყიდი ფასების შემცირებით. 2006/07 წლებში ღორის ხორცის შესყიდვის ფასები პოლონეთში ყველაზე დაბალი იყო ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

ღორის ხორცის ბაზარი

ევროკავშირში ღორის ხორცის ბაზარი სხვადასხვა ჯიშის ღორებს მოიცავს. ბაზრის სუბიექტს წარმოადგენენ: ღორის ხორცი, საწარმოო ნარჩენები, ცხიმები, შებოლილი, გადამამუშავებული და დაკონსერვებული ხორცი. ღორის ხორცის შიდა ბაზრის მხარდაჭერა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ფასების მუდმივ მონიტორინგი — დაბალმა ფასებმა შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს ჩარევა;
- დოტაციების სისტემა იმ კერძო მეურნეობებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ ღორის ხორცის შენახვა, რაც ხელს უწყობს ღორის ხორცის მარაგის შექმნას. რათა მიწოდებამ არ გადააჭარბოს მოთხოვნას. შენახული ხორცი ევროკავშირში უნდა იყოს წარმოებული.

ხორცის საგარეო ბაზრის რეგულირების მიზანია ევროკავშირის ბაზრის სტაბილურობა, დაცვა იმპორტისაგან და ექსპორტის სტიმულირება, ამისათვის ახორციელებენ შემდეგ ღონისძიებებს:

- იმპორტის საბაჟო შეზღუდვა;
- ექსპორტის მხარდაჭერა-პროდუქტი იყიდება შესასყიდზე დაბალ ფასად, განსხვავება იფარება ევროკავშირის ბიუჯეტიდან.

წარმოების საფუძვლები

პოლონეთში წარმოებისათვის ღორების შენახვის სტრუქტურა ძალზე არასახარბიელოა. სულადობის 55% კონცენტრირებულია მცირე მეურნეობებში (50 სული), მხოლოდ შესყიდული პროდუქტის 7% იწარმოება იმ მეურნეობებში, სადაც 100-ზე მეტი ღორია. ბოლო პერიოდამდე მეურნეობის რენტაბელობას უზრუნველყოფდა 30 დედა ღორის შენახვა, 600-ზე მეტი გოჭისა და კერატის გაყიდვა. დღეისათვის რენტაბელობის ზღვარია 50-ზე მეტი დედა ღორი.

კატეგორია	განზომ.	რაოდენობა
კერატის წონამატი	გრ	780-820
105 კგ-ანი კერატის ასაკი	დღე	168-175
ასხლეტის ვადა	დღე	21-35
გოჭების ცალკე ყოფნის ვადა	დღე	50-55
მაკეობის ხანგრძლივობა	დღე	90
ნაყარის რაოდენობა	ცალი	11
სიკვდილიანობა: გოჭები კერატი ნეზვი	%	6-7 2-2,5 1
განაყოფიერება	%	100
ეფექტურობა	-	85
საკვების მოხმარება დედაღორი გოჭი ნეზვი კერატი	კგ/ცალი	100 5 55 225

ღორის ჯიშები

პოლონეთში ჭარბობს 2 მაღალმწარმოებელი ჯიში

- პოლონური თეთრი ნიჩაბყურა — იგი საერთო სულადობის 54,1%-ია. გამოყვანილია სახორცე ჯიშის გერმანულ ნიჩაბყურასთან შეჯვარების გზით. (დამატებითი ჯიში — შვედური ლანდრასი).
- პოლონური დიდი თეთრი — საერთო რაოდენობის 33,2% — გამოყვანილია გერმანული მახვილყურასა და თეთრი ინგლისური ჯიშების შეჯვარებით.

მწარმოებლები წარმოდგენილია შემდეგი ჯიშებით:

- ღუროცი — 3,8%;
- პეტრაინი — 2,8%;
- ჰემპშირი — 1,1%;
- ხაზი 990 — 3,6 % (შერეული პოლონური).

შეჯვარება

შეჯვარება ორი მნიშვნელოვანი მახასიათებლით ხასიათდება. პირველ რიგში, ეს არის კერატების წარმოების მეთოდი, რომლის დროსაც კვლავწარმოებისათვის არ შეიძლება შერეული ჯიშის დატოვება, მეორე მხრივ, პეტეროზისის შედეგად შთამომავლობა მშობლებთან შედარებით უკეთესი საწარმოო მახასიათებლებით გამოირჩევა.

სასაქონლო წარმოება, ჯიშისაგან გამომდინარე, გულისხმობს შეჯვარების სხვადასხვა დონეს, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს აღვნიშნავთ:

- ორი ჯიშის 1-ფაზიანი ჩვეულებრივი შეჯვარება:

$$A\sigma \times B\varphi$$

სადაც A მდედრის ერთ-ერთი ჯიშია, ხოლო B - მამრის;

- სამი ჯიშის 2-ფაზიანი ჩვეულებრივი შეჯვარება:

$$A\varphi \times B\sigma$$


↓

$$F1\varphi \times C\sigma$$

სადაც A და B მდედრების პოლონური ჯიშებია, ხოლო C — მამრის (მეტწილად — 999);

- 4 ჯიშის 2-ფაზიანი ჩვეულებრივი შეჯვარება:

პირველ ეტაპზე მიიღება გოჭები, რომელთა გამოყენება მეორე ფაზაში ხდება.



სადაც A და B მდედრის ჯიშებია, ხოლო C და D — მამრის.

მწარმოებლები F₁ დედალს დაამოუკიდებლად აწარმოებენ, ხოლო ამ სქემის არასაკმარისი კომპონენტების შესყიდვას სანაშენე მეურნეობებში ახდენენ.

ჩვეულებრივ გამოიყენება შემდეგი სქემა:

პეტრაინი X 990, დუროცი X პეტრაინი ან ჰემპშირი X პეტრაინი.

ღორების რაციონალური კვება

რაციონალური კვების წინაპირობას წარმოადგენს ღორების უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის ბალანსირებული საკვებით ასაკის, წონის, ფიზიოლოგიური მდგომარეობის და დანიშნულების გათვალისწინებით. პოლონეთის მეცნიერებთა აკადემიის მიერ 1993 წელს შემუშავდა კვების შესაბამისი რაციონები და დღეისათვის გრძელდება მუშაობა ახალი ნორმატივების დასახვეწად.

კვების ენერგეტიკული ღირებულება

ღორების მოთხოვნილება საკვების ენერგეტიკულ შემცველობაზე გამოიხატება მეტაბოლური ენერჯის (EM) მიხედვით მეგაჯოულებში (MJ). 1 MJ=239 კილოკალორიას. მეტაბოლური ენერჯია ეს არის ბრუტო-ენერჯია, ანუ საკვების გადამუშავების შედეგად მიღებულ სითბოს გამოკლებული გამოყოფილი გაზების, შარდის და ნაკვლის ენერჯია. საკვების EM წარმოადგენს საკვების რაციონში შეტანილი კომპონენტების ჯამურ ენერგეტიკულ ღირებულებას იმ პირობით, რომ მარცვლეული არ შეადგენს 33%-ზე მეტს.

ცილები

ღორების მოთხოვნილება ცილებზე გამოიხატება ჩვეულებრივ ცილაში (BS), BS — ეს არის საკვების ცილოვანი კომპონენტის საერთო ღირებულება, შემცირებული ნაკელთან ერთად გამოყოფილ ცილების რაოდენობით. ცილაში არსებული 20 ამინომჟავიდან ღორებს აუცილებლად ესაჭიროებათ 10. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ 4 ამინომჟავას (ლიზინი, მეტონინი, ტრიპტოფანი, ტრეონინი) ნაკლებობა კომბინირებულ საკვებში კომპენსირებული უნდა იქნეს მინერალური დანამატებით.

კვების რეგლამენტი განაწილებულია ჯგუფების მიხედვით: გოჭები, ზრდასრული ღორი, ნეზვი და კერატი. დიფერენცირება ხდება იმის მიხედვითაც, თუ რომელი ჯგუფი იმყოფება სუქებაზე (700-800 გრ/დღე) და წარმოების სხვადასხვა ფაზაში მყოფი დედა ღორების მიხედვით.

ღორის ძირითადი საკვები

მარცვლეული

მარცვლეული წარმოადგენს მაღალენერგეტიკულ საკვებს (ასეთი საკვები ღორებისათვის უზრუნველყოფს ენერჯის 85%-ს), რომელსაც ღორი ინტენსიურად ითვისებს. ასეთ საკვებში ჩვეულებრივი ცილის რაოდენობა დაბალია (10-14%), რაც მარცვლეულის სახეობაზე, სასუქის გამოყენების და დამუშავების ტექნოლოგიაზე არის დამოკიდებული.

მოსავლიანობისა და ენერგეტიკული ღირებულების თვალსაზრისით ეკონომიკურად ხელსაყრელია საკვებად ხორბლის გამოყენება. სიმინდის გამოყენება შეზღუდულია ცილის დაბალი შემცველობისა და ამინომჟავების არახელსაყრელი ბალანსის გამო.

რაფსი, ბარდა, ლობიო

საკვებ რაციონში ხშირად იყენებენ ბარდასა და ლობიოს, ვინაიდან ისინი ცილისა და სასარგებლო მინერალების მაღალი შემცველობით ხასიათდებიან. მაგრამ ეს კულტურები ერთმანეთისაგან ენერგეტიკული პოტენციალით და ცილის შემცველობით განსხვავდებიან. პარკოსნების უპირატესობა გამოიხატება მათი სტაბილური მოსავლიანობითა და კლიმატური პირობების მიმართ გამძლეობის უნარით. ამავედროულად, პარკოსნების საკვები ღირებულება შეზღუდულია ამინომჟავებით: (მეთიონინი და ცისტინი). ლიზინის შემცველობა საკმაოდ მაღალია — 5-7 გრ.100 გრ. ცილაზე. პარკოსნების თესვებში არსებული ცილა კარგ

დანამატს წარმოადგენს მარცვლეულის შემადგენლობაში არსებულ ცილებში და შესანიშნავად აესებს რაფსისაგან მიღებულ კომპონენტები.

პარკოსნებს ახასიათებს სხვადასხვა მინერალების შემადგენლობა, ხშირად ისინი შეიცავენ არასასურველ ამინომჟავებს, რომლებიც ართულებენ მონელების პროცესს, ხოლო დიდი რაოდენობით, შეიძლება ავნონ ღორის ჯანმრთელობას.

კვების კომპლექსები: რაფსი, სოია

რაფსის კომპლექსი ენერგიის და ცილის დეფიციტის შევსებასათვის შესანიშნავი საშუალებაა, განსაკუთრებით პარკოსნების ბაზაზე შედგენილი რაციონის პირობებში. ამავდროულად, ზოგიერთი ორგანული ნერთების (მჟავა) და მცენარეული უჯრედანას შემცველობა, ცხოველის ასაკისა და ფიზიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ზღუდავს ამ კომპლექსების ფართო გამოყენებას.

სოიოს კომპლექსი წარმოადგენს საკვები რაციონის ყველაზე ყუათიან კომპონენტს. ისინი მდიდარია ამინომჟავებით (განსაკუთრებით ლიზინი) და ვიტამინებით. უჯრედანას მცირე შემცველობა განაპირობებს საკვების მეტაბოლურ ენერგიაში გადამუშავების მაღალ დონეს. სოიოს კომპლექსებს საკვებ დანამატად ხშირად იყენებენ მსხვილი მწარმოებლები.

საკვები და საწარმოო საკვები დანამატები

სრულლუფიანი ნარევი საკვები ძირითადად გამოიყენება მცირე მეურნეობებში, სადაც მუშაკთა რაოდენობა შეზღუდულია და არ გააჩნიათ საფურაჟე მარცვლის მარაგი.

მეურნეობები, რომლებსაც ესპრობლემები არაწუხებთ, ტექნოლოგიური ჯგუფების მიხედვით, გამოიყენებენ ცილოვან კონცენტრატებს 30-45%-მდე ცილის შემცველობით ან სუპერკონცენტრატებს, რომლებსაც ემატებათ მცენარეული ცილა.

საკვები ნარევი ვიტამინებს, მინერალურ შენაერთებს და ამინომჟავებს ისეთ პროპორციებში შეიცავს, რომ დაკმაყოფილდეს ცალკეული ტექნოლოგიური ჯგუფის მოთხოვნილებები ასაკის, დანიშნულების და ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით. რეკომენდებულია 4% და მეტი სუპერკონცენტრატების გამოყენება, რაც განაპირობებს წარმატებულ წარმოებას.

ცხოველის შენახვა

მაღალი საწარმოო შედეგისა და ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევის აუცილებელ პირობას ოპტიმალური ტექნოლოგიისა და შენახვის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ღორის არაბაგური (თავისუფალი) შენახვის სისტემა პოლონეთში მარგინალური მოკლენაა, ვინაიდან უმრავლეს შემთხვევაში ღორები იმყოფებიან საცეცხლიზირებულ ნაგებობებში. გამოიყენება წარმოების ორი მეთოდი:

- უსაფენო შენახვის მეთოდი გამოიყენება იმ მეურნეობებში, სადაც შეზღუდულია მუშახელის რაოდენობა და არ არის საფენი მასალის (მაგალითად, ნამჯის) აუცილებელი მარაგი. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ბაგის მაღალი ღირებულება საფენ ვარიანტთან შედარებით. აუცილებელია, მოშზადღეს დიდი აუზი ნაკელისათვის, რაც ბევრი მეურნეობისათვის სერიოზულ ფინანსურ პრობლემას წარმოადგენს. არ შეიძლება სასუქად მიღებული ნაკელის დიდი რაოდენობით გამოყენება, ვინაიდან იგი უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის სტრუქტურაზე. შენახვის ეს მეთოდი უარესია, ვიდრე საფენიანი შენახვის მეთოდი.
- საფენიანი ვარიანტი — ტრადიციული სისტემაა, რომელიც საფენად ნამჯის სქელი ფენის გამოყენებას გულისხმობს. თანამედროვე მექანიზაციის დონე ამცირებს დანახარჯებს ამ სისტემის მომსახურების თვალსაზრისით. ნათესების სტრუქტურაში აუცილებელია გაითვალისწინებულ იქნეს მეურნეობის მოთხოვნა მარცვლეულზე. შესაბამისი ხარისხის ნამჯის მიღება სერიოზული პრობლემაა ნებისმიერი მეურნისათვის. ასეთი სისტემა მოითხოვს ორგანული წარმოშობის ნარჩენების შენახვის ინფრასტრუქტურის განვითარებას. თუმცა უსაფენო მეთოდთან შედარებით, ეს უფრო იაფია და ადვილი. საფენიანი მეთოდის დროს ღორი უფრო თავისუფლად გადაადგილდება. ამიტომაც, უკეთესია უსაფენო მეთოდთან შედარებით.

ასეთი სისტემების დადებითი და უარყოფითი მხარეების ბალანსირებისათვის გამოიყენება დამატებითი მეთოდები, რომლებიც ითვალისწინებენ ასეთი წარმოების გავლენას გარემოზე, ღორის მდგომარეობასა და მეწარმის მოლოდინზე.



ჩემპიონატი კატეგორიაში „მერძეული მეცხოველეობა“
მეცხოველეობის რეგიონალური გამოფენა სტაროე პოლეში



მეზორცეული საქონლის ნახირო
მეცხოველეობის რეგიონალური გამოფენა სტაროე პოლეში



სათიბი



გოჭები — მეცხოველეობის რეგიონალური გამოფენა სტაროე პოლეში

ჩესლაჲ მარეკ ჰუმენციკი

ზბიგნეჲ მარჩინიაკი

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროჲ პოლეს განყოფილება

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბაკლოლის მოწინავე პრაქტიკა

90-იანს წლებიდან ევროკავშირი ცდილობს, სოფლის მეურნეობაში მდგრადი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სასარგებლოდ უარი თქვას ტიპური ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რათა სრულად იქნეს გათვალისწინებული გარემოს დაცვის მოთხოვნილებები, ვინაიდან, გარემოს დაბინძურების ძირითად წყაროდ რჩება სოფლის მეურნეობა. დამაბინძურებელი ფაქტორებია: სასუქის არასწორი გამოყენება, ორგანიული ნარჩენები, მაღალკონცენტრირებული აზოტის სასუქები და ა.შ. ამ მიზეზით 1991 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა დირექტივა #291/676/EEC, რომელმაც „აზოტის დირექტივის“ სახელი მიიღო. მისი ძირითადი მიზნებია:

- სოფლის მეურნეობაში ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაცვა აზოტის ნაერთებით დანაგვიანებისაგან;
- სასძელი წყლის ხარისხის შენარჩუნება;
- წყალსაცავების დაცვა ეტროფიკაციისაგან (წყალში მიკროორგანიზმების გამრავლება), რამაც უნდა შეინარჩუნოს ბალანსი ფლორას და ფაუნას შორის.

აზოტის ნაერთები საშიშია ადამიანებისა და ცხოველებისათვის, ზღერული მაჩვენებელია 50 მგგ:NON-NO₃ მ³ წყალში და ნატურალურ რეზერვუარებში, ხოლო სასძელ წყალში დასაშვები ნორმაა 10 მგ/დმ³. დირექტივის დანერგვის ძირითად მიმართულებას აზოტის ნაერთების გავრცელების იდენტიფიცირება და მონიტორინგი წარმოადგენს. წყლის ხარისხის მუდმივი კვლევა იძლევა განსაკუთრებული ტერიტორიების დადგენის საშუალებას, სადაც შემდგომში ხორციელდება დაბინძურების საწინააღმდეგო სპეციალური პროგრამები.

ამისათვის ევროკავშირი ყველა ქვეყანას სთავაზობს, დაამუშაოს და დანერგოს სოფლის მეურნეობის მოწინავე პრაქტიკის კოდექსი,

როგორც დაბინძურებასთან ბრძოლის საშუალება. აღნიშნული კოდექსი წარმოადგენს განსაკუთრებული ანთროპოლოგიური ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე პროფილაქტიკური საქმიანობის საფუძველს, ხოლო გლეხებისათვის — გარემოსთან ურთიერთობის ეთიკურ კოდექსს. კოდექსი აერცელებს ინფორმაციას აგროტექნიკური ზეგავლენის შედეგების შესახებ და გლეხს მიუთითებს გარემოზე ნეგატიური ზეგავლენის შემცირების აუცილებლობაზე.

პოლონეთში აღნიშნული კოდექსი მეცნიერთა ჯგუფის მიერ ევროკავშირში შესვლამდე შემუშავდა, ხოლო ბოლო რედაქცია მიღებულია 2002 წელს. კოდექსი დაყოფილია თავებად და სასუქების ნაწილში აღწერილია ღოზების, დასახელებების, გამოსაყენებელი ტექნოლოგიების რეკომენდაციები, ვინაიდან ეს ნაერთები განსაკუთრებულად განიცდიან ბუნებაში მიგრაციას. პოლონეთში აკრძალულია სასუქების გამოყენება დეკემბრის დასაწყისიდან თებერვლის ბოლომდე. ცვალებადი ამინდის პირობებში მაღალია მიწის ზედაპირის გაყინვის საფრთხე და თოვლის საფარის დამატების ფონზე მიგრაციის ხარისხი მკვეთრად იზრდება. აკრძალულია თხევადი აზოტის სასუქის გამოყენება იმ მცენარეეებში, რომლებიც ადამიანის მიერ ვეგეტაციის მთელ პერიოდში გამოიყენება. კოდექსი ინფორმაციას იძლევა ფერდობზე არსებულ ნიადაგებში სასუქების შეტანის მეთოდებზე. ნატურალური და აზოტის სასუქის გამოყენება აკრძალულია ფერდობებზე კუთხით 10% (6° C), თუ ფართობი არ არის დაფარული მცენარეული საფარით. სასუქი ელემენტების მიგრაციის უნარიდან გამომდინარე, დაუშვებელია მისი გამოყენება გაყინულ, სველ ან თოვლით დაფარულ ფართობებზე, საშემოდგომო კულტურების სასუქით კონტროლირებადი უზრუნველყოფის გარდა. კოდექსი იძლევა სასუქის შენახვის და გამოყენების რეკომენდაციებს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ემიჯნება წყლის არტერიებს, წყალსაცავებს და დაცულ ტერიტორიებს. მინერალური სასუქი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას წყალსაცავებისა და სასმელი წყლის წყაროებიდან 20 მეტრზე ახლო მანძილზე. ამ შემთხვევაში ხორციელდება სასუქის ხელით შეტანა. აკრძალულია ამ ტერიტორიებთან სასუქის შეტანაზე გამოყენებული ტექნიკის რეცხვა და საქონლის დაწყურება.

ცალკე პუნქტადაა გამოყოფილი მოთხოვნები ორგანული სასუქების სათავსებთან დაკავშირებით. სათავსმა უნდა უზრუნველყოს მეურნეობის მიერ წარმოებული ყველასახის სასუქის 6 თვის განმავლობაში შენახვა. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს 3,5 მ³ სათავსი 1

პირობითი ერთეული პირუტყვისაგან მიღებული ნაკელისათვის. თხევადი ნაკელის შესანახად – არანაკლებ 2,5 მ³ მოცულობის პერმეტიულ ტარას მოითხოვს.

საკვების (სილოსის) შენახვასთან დაკავშირებით კოდექსი იძლევა რეკომენდაციას, გამოყენებულ იქნას სპეციალიზირებული მოედნები და სასილოსე ორმოები, რომლებიც, ტექნოლოგიის თანახმად, აღჭურვილი უნდა იყოს თხევადი მასისაგან განსათავისუფლებელი სისტემით 0.2 მ³ ერთ ტონა სილოსზე.

კოდექსი განსაკუთრებით განიხილავს გლეხის მოქმედებას ნიადაგში ნაკელის შეტანის დროს. მათი სასარგებლო თვისებებიდან გამომდინარე, მკაფიოდ არის დადგენილი შესატანი ნაკელის დოზები და სახეობები. პოლონეთის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე დადგენილია, რომ მინერალური სასუქის წლიური ნორმა არ უნდა აღემატებოდეს 170 კგ სუფთა მინერალი ერთ ჰა ფართობზე, ეს ნიშნავს, რომ ერთ ჰექტარზე შეტანილ იქნას მაქსიმუმ 35-40 ტ. ნაკელი ან 45 მ³ თხევადი სახით ნაკელი. მინერალური სასუქი უნდა დაიფაროს მიწით ან მოიხნას შეტანის შემდეგ არა უგვიანეს ერთი დღისა. აზოტოვანი სასუქის გამოყენება რეკომენდირებულია საერთო დოზის რამდენიმე ნაწილად გამოყენების მეთოდით, მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც მცენარეს ამის მაქსიმალური მოთხოვნილება აქვს.

კოდექსი იძლევა რეკომენდაციას ნიადაგის ტიპების გამოყენებაზე ნიადაგში არსებული წყლის მიხედვით და გლეხს ნათესების ოპტიმალური სტრუქტურის სქემას სთავაზობს. თესვბრუნვის ორგანიზებისას მნიშვნელოვანია (ზამთრის პერიოდშიც) დაუმუშავებელი (დასვენებული) მიწის ფართობის შენარჩუნება. მიღებულია, რომ მდელის პირობებში „მწვანე ნარგავი“ უნდა შეადგენდეს საერთო სავარგულის 60%-ს, ხოლო ეროზირებული რაიონების პირობებში – 75%-ს.

ევროკავშირის საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ფორმირების პროცესში 2000 წლიდან საკანონმდებლო სივრცეში დაკვიდრდა ცნება „სოფლის მეურნეობის წარმოების ჩვეულებრივი პრაქტიკა“, რაც ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში საკუთარი სტანდარტების შექმნას ავალდებულებდა. პოლონეთში ეს პროცესი ევროკავშირში შესვლამდე დამთავრდა და სოფლის ტერიტორიების განვითარების პროგრამის ნაწილია. ამ დოკუმენტის ძირითადი ნაწილი კანონების და ნორმატიული აქტების სახით არეგულირებს გა-

რემოს დაცვის, ჩამონადენი წყლების და მეურნეობაში საერთო წესრიგის საკითხებს, კერძოდ:

- სასუქების შენახვა-გამოყენებას;
- ნაწრეტი წყლების მეურნეობაში გამოყენებას;
- მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენებას;
- სათიბ-საძოვრების გამოყენებას;
- მეურნეობაში სისუფთავის დაცვას;
- ბუნებრივი კომპლექსების დაცვას;
- ნიადაგის და წყლის რესურსების დაცვას.

სასუქების შენახვა-გამოყენების სფეროში ეს დოკუმენტი 2011 წლიდან ყველა მეურნეობას ავალდებულებს, სასუქი შეინახოს მხოლოდ სამეურნეო ნაგებობებში, ხოლო ორგანული სასუქი — სპეციალიზირებულ საწყობში ან ტარაში, სადაც ხარისხიანი შენახვის ვადა, სასუქის აუცილებელი რაოდენობის მაქსიმალური წლიური დოზა უცვლელი რჩება და შეადგენს 170 კგ/1 ჰა, ანუ სასოფლო-სამეურნეო ცხოველების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2 ერთეულს ერთ ჰექტარ სავარგულზე.

მინერალები და ორგანული სასუქის გამოყენების პერიოდი განისაზღვრება 1 მარტიდან 30 ნოემბრამდე.

ჩამონადენი წყლის ტექნოლოგიების აღწერა მიუთითებს იმ აუცილებელ პირობებზე, რომლებიც მეურნეობამ უნდა დაიცავს ამ წყლის სასუქად გამოყენების შემთხვევაში.

მცენარეთა ქიმიური დაცვის პროცესში მეურნეობა ვალდებულია, აწარმოოს ჩანაწერები როგორც შექნილი პესტიციდების, ასევე მათი გამოყენების ტექნოლოგიური რეჟიმის შესახებ. ყველა ოპერაცია უნდა განხორციელდეს სპეციალური ტექნიკის გამოყენებით და სპეციალურად მოწაადებული პერსონალის მიერ. გლეხი ვალდებულია, დაიცავს აგროქიმიის საკარანტინო ვადები და ტექნიკური პირობები. აღნიშნული დოკუმენტი უკრძალავს სათიბ-საძოვარზე, ჭაობში და გამოყენებულ ტერიტორიებზე ბალახის და ბუჩქების დაწვას. საძოვარზე დაცული უნდა იყოს სულადობის ნორმატივი. დოკუმენტი განსაზღვრავს ეროზიასთან ბრძოლის და წყლის რესურსების დაცვის ტექნოლოგიებს. გლეხს ევალება საყოფაცხოვრებო საკანალიზაციო სისტემის სწორი ორგანიზაცია და მეურნეობაში სისუფთავის დაცვა.

მდგრადი სოფლის მეურნეობა

მდგრადი სოფლის მეურნეობა წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის ისეთ სისტემას, სადაც ერთი მეურნეობის ყველა საწარმო ელემენტი მოქცეულია ერთიან კომპლექსში, რაც გულისხმობს გარემოსდაცვითი და მაქსიმალურად რენტაბელური მეთოდების გამოყენებას შესაბამისი მოსავლიანობის და შემოსავლის ფონზე. გლეხს უნდა აწეობდეს მდგრადი სოფლის მეურნეობის პროგრამაში მონაწილეობა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების გათვალისწინებით შემუშავებული ჰქონდეს სამეწარმეო საქმიანობის სპეციალური გეგმა. გლეხი ვალდებულია, დაიცვას მოწინავე სოფლის მეურნეობის პრაქტიკის პრინციპები, კერძოდ:

1. მცენარეთა სწორი შერჩევა და თესვბრუნვის ორგანიზაცია:
 - როგორც მინიმუმი, გამოიყენება სამი კულტურის ბრუნვა;
 - ყოველი კულტურა შეიძლება გამოყენებული იქნას მოცემულ ფართობზე ზედიზედ მხოლოდ ორჯერ;
 - თესვის საერთო სტრუქტურაში მარცვლეულის გამოყენება — მთლიანი ნათესი ფართობის არაუმეტეს 66%.
2. სასუქის გამოყენების ისეთი ყოველწლიური გეგმის შემუშავება, რომელიც ეყრდნობა ნიადაგის მინერალური და აზოტის ბალანსის ანალიზის შედეგებს.
3. ნაწრეტი წყლის სასუქად გამოყენების აკრძალვა;
4. აზოტოვანი სასუქების მაქსიმალური წლიური დოზა — 150 კგ/ჰა, საძოვრებისათვის — 120 კგ/ჰა-მდე;
5. სასოფლო-სამეურნეო ცხოველების (საქონელი, ცხვარი, თხა, ცხენი) რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1,5 პირობით ერთეულს ერთ ჰექტარზე (საძოვარი და სახნავე);
6. მეურნეობის ტერიტორიაზე გარეული ლანდშაფტის, ბუნებრივი წყალსაცავების, ტბების, ჭაობების, ტყეების და ა.შ. დაცვა.

იონანა კრულიკოვსკა-პოიავა

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა

პოლონეთის ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობას დიდი ტრადიციები იმ პერიოდიდან აქვს, როდესაც გრაფმა სტანისლავ კარლოვსკიმ სოფელ შელევეოში ბიოდინამიკური მეთოდი დანერგა, მაგრამ მხოლოდ 1989 წელს შეიქმნა პროდუქტების ეკოლოგიური მეთოდებით მწარმოებელთა პოლონური ასოციაცია. ამავე პერიოდში შემუშავდა ეკოლოგიური მეწარმეობის პირველი კრიტერიუმები და ნორმატივები. მნიშვნელოვანი როლი ეკოლოგიური მეწარმეობის განვითარებაში შეიტანა სოფლის ტერიტორიების განვითარების პროგრამის დანერგვამ იმ ნაწილში, რომელიც ეკოლოგიური სოფლის მეურნეობებს ეხებოდა (კოდი SO₂).

მეურნეობის გარდაქმნა

მეურნეობა წარმოების ეკოლოგიურ პრინციპებზე ორი წლის განმავლობაში (ბაღების გარდა, სადაც ეს პერიოდი 3 წელია) გადადის. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად მცირდება მოსავლიანობა, რაც საწარმოო ტექნოლოგიების გამოყენებაზე უარით აიხსნება იმ პირობებში, როდესაც ახალი საწარმოო პრინციპები ჯერ არ ფუნქციონირებს. აღნიშნული პრინციპები ყალიბდება თესვებრუნვის ოპტიმალური სისტემის შერჩევით და ბიოლოგიურად აქტიური ნიადაგის ტექნოლოგიების გამოყენებით.

წარმოების ჰარმონიზაცია

ეკოლოგიურ მეურნეობაში აუცილებელ მიმართულებას წარმოადგენს მეცხოველეობა, რომლის სტრუქტურაც საკვები ბაზის რესურსებით და ნაკელის აუცილებელი რაოდენობით განისაზღვრება. ოპტიმალური სულადობა — 0,8-1,0 ერთ ჰექტარ სახნავ ფართობზე.

მემცენარეობა

მცენარეთა წარმოება უნდა ხორციელდებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით და ბუნებრივი საწარმოო პოტენციალის

მაქსიმალური გამოყენებით. ნიადაგის მაღალსაწარმოო მდგომარეობაში შენარჩუნების ძირითადი პრინციპებია:

- ოპტიმალურმა თესვბრუნვამ უნდა უზრუნველყოს:
 - 1) ნიადაგის დაავადებების და მავნებლების რაოდენობის მაქსიმალური შემცირება;
 - 2) სარეველების აღმოცენების შეზღუდვა;
 - 3) მოსავლიანობის სტაბილურობა;
 - 4) თესვბრუნვის ყველა ელემენტის შეზღუდვა.
- საკუთარ მეურნეობებში მიღებული ორგანული სასუქის გამოყენება;
- არასაწარმოო (ქიმიური) გზით მიღებული მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება;
- ეკოლოგიურ მეურნეობაში მიღებული სათესი მასალის გამოყენება;
- დაავადებების მიმართ მცენარეთა ბუნებრივი მდგრადობის შესაძლებლობების გამოყენება მცენარეთა სახეობების მიხედვით;
- კომპისტების და მცენარეული სასუქის გამოყენება.

სრულიად აკრძალულია სინთეტიკური სუბსტანციების, საწარმოო გზით მიღებული სასუქის, პესტიციდების, გენმოდიფიცირებული მცენარეების და ცხოველების გამოყენება.

ჯიშის შერჩევა

მაღალი შედეგების მიღება შეუძლებელია ხარისხიანი საკვების გარეშე. ასეთ მეურნეობაში გამოიყენება საკუთარი (აბორიგენული) საქონელი (ცხოველები), რომლებიც უკეთესად არიან ადაპტირებული ლოკალურ პირობებთან, იტანენ შედარებით უხარისხო საკვებს და მეტი იმუნიტეტი გააჩნიათ დაავადებების მიმართ.

მერძეული მიმართულების მეურნეობა

მერძეული ეკოლოგიური მიმართულების მეურნეობა რენტაბელურად ითვლება, თუ სულადობა შეადგენს 15-30 ძროხას საშუალო წველადობით 5000-6000ლ. წელიწადში. დატვირთვა ფართობზე — 1,0-1,2 სული ერთ ჰექტარზე, ისევე, როგორც ნებისმიერ მეურნეობაში, ხორციელდება

საწარმოო პერიოდების კვლევა. დაავადებების პროფილაქტიკის და მკურნალობის პროცესში გამოიყენება ნატურალური წარმოშობის (მცენარეული) პრეპარატები იმ შემთხვევაში, თუ არ არის მოსალოდნელი ლეტალური შედეგი.

ეკოლოგიური მეურნეობის მექანიზაცია

სხვა მეურნეობისაგან განსხვავებით სასოფლო-სამეურნეო მანქანები შეირჩევა იმ პრინციპით, რათა მინიმალურმა რაოდენობამ სრულად უზრუნველყოს აუცილებელი აგროტექნიკური საშუალებების და სასუქის შესატანი აგრეგატების ეფექტური ფუნქციონირება. მიზანშეწონილია მცირე სიმძლავრის ტრაქტორის შეძენა, რომელიც მოემსახურება მეურნეობას და გამოიყენებს ყველა აუცილებელ მექანიკურ აგრეგატს.

მარია სავირსკა

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

გარემოს დაცვა სოფლის ტერიტორიაზე

1. შესავალი

გარემოს ისეთი რესურსების რაციონალური გამოყენება, როგორცაა ნიადაგი, წყალი და ჰაერი, კაცობრიობის მნიშვნელოვან მოვალეობას წარმოადგენს. სოფლის მკვიდრნი, ისევე, როგორც ქალაქის მოსახლეობა, ბუნებრივი რესურსების არარაციონალური მოხმარებით ხელს უწყობს გარემოს დეგრადაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს პოლონეთში, ისევე როგორც მსოფლიოში, იზრდება ინტერესი იმ ტერიტორიების მიმართ, რომლებიც ქალაქების ინფრასტრუქტურებისაგან მოშორებით არის განლაგებული. სოფლის ტერიტორიებზე ფუნქციონირებენ სხვადასხვა მიმართულების საწარმოები, რომლებიც განსხვავებულად მოქმედებენ გარემოზე, მათ შორის ის დასახლებები, რომლებიც შექმნილი ადამიანების მიერ შენდება ქალაქების სიახლოვეს.

პოლონეთში სოფლის ტერიტორიები ძირითადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის გამოიყენება და, შესაბამისად, მათი ეკოლოგიური უსაფრთხოება დიდწილად გლეხების ეკლდებულებას წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის ნეგატიური ზეგავლენა გარემოზე, ხშირ შემთხვევაში, განპირობებულია გლეხის ამ დარგში არასაკმარისი ინფორმირებულობით, რაც ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებაში გამოიხატება, კერძოდ: მინერალური და ორგანული სასუქის და პესტიციდების უკონტროლო გამოყენება, სათიბ-საძოვრების არარაციონალური ექსპლუატაცია, მნიშვნელოვანი ბუნებრივი ობიექტების ლიკვიდაცია და ა.შ.

სასუქების და პესტიციდების სწორი გამოყენება და ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვა სოფლის ყველა მოსახლისათვის მნიშვნელოვან და ღირებულ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

2. მეცხოველეობის გავლენა გარემოზე

ყველა სხვა საფრთხესთან ერთად, მეცხოველეობა წარმოადგენს გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა მეურნეობაში არ არის დანერგილი ნაკელის შეგროვების, შენახვის და გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიები. ასეთი მეურნეობა დაბინძურების კერას წარმოადგენს და მისი ნეგატიური გავლენა გარემოზე მკვეთრად იზრდება ზედაპირული წყლების, ორგანული სასუქების უსისტემო გამოყენების და არასწორად დაბალანსებული საკვების გამოყენების პირობებში, რაც ნარჩენებში აზოტის და ფოსფორის ჭარბი შემადგენლობით აიხსნება.

3. ნიადაგის და წყლის დაბინძურება

ორგანული ნაერთები სასუქის სახით მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ ელემენტს წარმოადგენენ სოფლის მეურნეობაში, ამავდროულად, მათი არადოზირებული, უსისტემო გამოყენება, აუცილებელი აგროტექნიკური ოპერაციების არასრულად ჩატარება, შენახვის და ტრანსპორტირების შესაბამისი პირობების დარღვევა წარმოადგენს გარემოს დაბინძურების ძირითად ფაქტორს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. დღეს ბევრ მეურნეობას არ გააჩნია სასუქის შენახვის შესაბამისი პირობები, რაც, სასუქის სამეურნეო ღირებულების შემცირებასთან ერთად, ნიადაგის წყლების დაბინძურების ძირითად წყაროდ განიხილება. ამ შემთხვევებში სასუქის სამეურნეო ღირებულების დანაკარგი შეადგენს: აზოტი — 20-30%, ფოსფორი 10-12%.

წყლის დაბინძურების თვალსაზრისით ძირითად ფაქტორს აზოტის სასუქი წარმოადგენს. ჰერმეტიული სასაწყობე სათავსოების არარსებობის პირობებში ნატურალური სასუქი წვიმის და ნიადაგის წყალთან ერთად მნიშვნელოვნად აბინძურებს გარემოს.

აზოტის კონცენტრაცია $10 \text{ მგ}(\text{N}-\text{NO}_3)$ ერთ ლიტრზე დასაღვეად გამოუსადეგარს ხდის წყალს.

4. ორგანული ნარჩენების ტარის მოცულობა

ორგანული სასუქი ინახება სპეციალურ საცავში, რომელიც პასუხობს შემდეგ მოთხოვნებს: ჰერმეტიული იატაკი, მოშხადებული წყალსაწრეტი,

თხევადი ნარჩენების ტარა, სასუქის გაფანტვის საწინააღმდეგო ბაგირები.

თხევადი ორგანული სასუქების შესანახად იყენებენ მიწაში ჩაფლულ ჰერმეტიკულ ტარას. ტარის მოცულობის გამოსათვლელად იყენებენ გათვლის უნივერსალურ მეთოდებს ცხოველის რაოდენობიდან გამომდინარე პირობით ერთეულებზე გადათვლით (DJP). DJP შეესაბამება 500 კგ წონის საქონელს, რომელიც წელიწადში 10 ტ ნაკელს წარმოშობს. თხევადი ნარჩენებისათვის გათვლის ერთეულია 12 ლიტრი დღეში ერთი DJP.

სასაწყობე მოედნის ზედაპირი

1 DJP-ს პირობები: ნაკელის შენახვა — 6 თვით, ტარის სიმკვრივე — 0,8 ტ/მ³, სიღრმე — 2 მ., ნაკელის წარმოება 6 თვეში — 5ტ., რეზერვი — 10%, კოეფიციენტი — 1,1.

$$F = (5ტ : 0,8ტ/მ^3) : 2მ \times 1,1 \text{კოეფ.} = 3,43 \sim 3,5მ^2$$

თხევადი ნარჩენების შესანახი ტარის მოცულობა

1 DJP-ზე შემდეგი პირობების დაცვისას: შენახვის ვადა — 6 თვე, თხევადი ნარჩენები — 12ლ/დღე-ღამე/DJP, რეზერვი — 10%, კოეფიციენტი — 1,1. რეკომენდირებული სათავსის მოცულობა — 0.5 მ³

$$V = 182 \text{ დღე} \times 12 \text{ ლ.} \times 1,1 = 2402 \text{ ლ} / \text{DJP} = 2,4 \text{ მ}^3 + 0,5 \text{ მ}^3 = 2,9 \text{ მ}^3 \sim 3 \text{ მ}^3$$

თხევადი ნაკელის შესანახი ტარის მოცულობა

1 DJP-ს პირობები: ნაკელის შენახვა — 6 თვე, რაოდენობა — 55 ლ /1 DJP დღეში, რეზერვი — 10%, კოეფიციენტი — 1,1.

$$V = 182 \text{ დღე} \times 55 \text{ ლ.} \times \text{კოეფ.} 1,1 = 11011 \text{ ლ} / \text{DJP} 11,0 \text{ მ}^3$$

5. ჰაერის დაბინძურება

სუფთა წყალი და სუფთა ჰაერი განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ სიცოცხლის ყველა ფორმაზე. სოფლის მეურნეობა — გლეხის საქმიანობის და ყოველდღიური ცხოვრების გარემოა ყველა შემადგენელი კომპონენტით. არსებობს საერთო მოსაზრება, რომ სოფელში სუფთა ჰაერია, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და ქიმიური საშუალებების გამოყენების გამო ჰაერი ბინძურდება. დაბინძურების მთავარი ელემენტებია: მტვერი, ბოლი, გაზის ნაერთები. სოფლის მეურნეობაში საწარმოო პროცესები წარმოშობენ სასათბურო გაზებს, რომლებიც მნიშვნელოვნად მოქმედებენ კლიმატზე. შენობებში, სადაც საქონელია, ხშირია გაზების მაღალი კონცენტრაციები, CO_2 , H_2S და NH_4 ძლიერმოქმედი მომწამვლელი გაზებია, რომლებიც მოქმედებენ ნერვულ სისტემაზე. სამეურნეო შენობებში დიდი რაოდენობით გროვდება ამიაკი, რაც მძიმედ მოქმედებს სასუნთქ, ცენტრალურ ნერვულ სისტემებზე და ჰემოგლობინზე. აუცილებელია სამუშაო ადგილების დაცვა ამ გაზებისაგან და შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

6. ლანდშაფტების და ბიომრავალფეროვნების დაცვა, როგორც სოფლის ტერიტორიის გარემოსდაცვითი ფორმა

სოფლის მეურნეობა ეკონომიკის დარგია, რომელიც დამოკიდებულია ბუნებრივ რესურსებზე და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოზე. სამეურნეო საქმიანობის მეთოდები არა მხოლოდ აბინძურებენ ნიადაგს, წყალს და ჰაერს, არამედ განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ ლანდშაფტებზე. საქმიანობის ტრადიციული მეთოდების ჩანაცვლება ინტენსიური მეთოდებით (ფართობების ზრდა, ხეების და ბუჩქების ლიკვიდაცია) უარყოფითად მოქმედებს ზოგადად გარემოზე და ლანდშაფტებზე. სოფლის მეურნეობა არა მხოლოდ საწარმოო საქმიანობაა, არამედ იმ ეკოსისტემის ნაწილია, სადაც მდებარეობს და ფუნქციონირებს მეურნეობა თავისი ზეგავლენით გარემოს ხარისხზე, რაც მუდმივი კონტროლის საგანი უნდა იყოს.



სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტის დაცვის პროგრამა
(ბუნებრივი გარემო შენარჩუნება)



აგროქიმიკოსების ატესტაცია



თხევადი ნაკელის შესანახი ტარის მშენებლობა



კონტროლის სადგური სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი სტაროე პოლეში

IV

მეწარმეობა სოფლად

აგნეშკა როვესკა

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

მეწარმეობის შინაარსი და პრინციპები

სოფლისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აგრარული სფეროს მოდერნიზაცია, რომელმაც კონკურენტუნარიანი უნდა გახადოს პოლონური პროდუქცია, არამედ სოფლის ტერიტორიების საერთო სტრუქტურული ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები ეხება სამ ძირითად სფეროს:

- ⇒ სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნით გლეხების დასაქმება არასასოფლო-სამეურნეო სფეროში;
 - ⇒ სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება და გარემოს დაცვა;
 - ⇒ გლეხების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- მოსახლეობაში ეკონომიკური ცვლილებების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მეწარმეობის განვითარება.

რატომ მცირე საწარმო?

მცირე საწარმო წარმოადგენს ნებისმიერი ეკონომიკის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ნაწილს, რომელსაც მართავს ერთი ადამიანი. მცირე საწარმო უზრუნველყოფს ადგილობრივ მოთხოვნილებებს და ახალი ფორმების შექმნის წინაპირობაა, რომლებიც უფრო ელასტიურები არიან ბაზარზე.

ა) უპირატესობები:

- არ მოითხოვს დიდ საწყის თანხებს;
- იძლევა საკუთარი მატერიალური რესურსების (მანქანა, დანადგარი, ნედლეული და სამუშაო ძალა) გამოყენების საშუალებას;
- ეფუძნება ოჯახურ ურთიერთობებს — ნდობა, თანადგომა;
- ერთპიროვნული მართვა — კონტროლი მისაღწევ მიზანზე;
- ფირმის ფუნქციონირების ღირებულების შემცირება (მფლობელი-მმართველი-მომმარაგებელი, მეწარმე და ა.შ.);
- ახალი კონტრაქტების დამყარების შესაძლებლობა იმ საზოგადოებაში, სადაც ფირმის მფლობელი ცხოვრობს (იცნობს

ადგილობრივ ხელისუფლებას, კლიენტებს, შემსყიდველებს და ა.შ.);

→ პიროვნული განვითარების, კარიერის, სოციალური სტატუსის ამაღლების, ახალი უნარ-ჩვევების, პასუხისმგებლობის და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობები.

ბ) ნაკლოვანებები:

→ დამატებითი (პირადი) დროის ხარჯვა (არანორმირებული სამუშაო დღე);

→ მარცხისა და პირადი რეპუტაციის დაკარგვის საფრთხე;

→ დაბალი რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში;

→ ოჯახური პრობლემები.

მეწარმეობის საწყისი რესურსები

მეწარმეობის სასტარტო პირობას საკუთარი შესაძლებლობების და რესურსების შეფასება წარმოადგენს. აღნიშნული რესურსები რეალური კაპიტალია, რომლის რეალიზაცია და განვითარება მეწარმეობის შინაარსია და საშუალებას იძლევა, ბაზარს შესთავაზო ახალი მომსახურება და პროდუქცია. კაპიტალი იძლევა ტექნიკის და ტექნოლოგიების შესყიდვის საშუალებას, რაც ზრდის წარმადობას და ხარისხს. რესურსების ანალიზისათვის საჭიროა:

→ მიწა-ფართობი, საკუთრების უფლება, განლაგება, დანიშნულება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;

→ შენობა-ნაგებობები — შენობების კატეგორია, ტექნიკური მდგომარეობა, გამოყენების შესაძლებლობა, სანიტარული და სამშენებლო ნორმატივების შესრულება;

→ ტექნიკური ინფრასტრუქტურა — ელექტროენერგიით, წყლით, გაზით, საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფა;

→ ტექნიკა და მანქანები — გამოყენების შესაძლებლობა, ტექნიკური მდგომარეობა და ა.შ.

→ სატრანსპორტო საშუალებები — მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, მათი ტექნიკური მდგომარეობა;

→ ფინანსური სახსრები — კრედიტის მიღების საშუალება, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება;

→ არამატერიალური რესურსები — კონტაქტები, გამოცდილება, განვითარების შესაძლებლობა, მეურნეობის მდებარეობა და ა.შ.

ინფორმაციის წყაროები ბიზნესის შესახებ

- ბაზრის ანალიზი — დადგენა, თუ რომელი მოთხოვნილებები არ დაკმაყოფილდა;
- კონკურენტები;
- ბროშურები, პლაკატები და ა.შ.;
- ინტერნეტი — სტატიები, ანალიზი, განცხადებები;
- ვიზუალური რეკლამა — პლაკატები, ბანერები და ა.შ.;
- სპეციალიზირებული და პროფესიული გამოცემები;
- გამოფენები, ბირჟა და ა.შ.

ბიზნესის იდეის შერჩევის რესურსები

I პრინციპი:

ბაზარზე არსებული პროდუქცია წარმოადგენს ანალიზის საფუძველს.

II პრინციპი:

ბიზნესისათვის ის პროდუქტია იდეალური, რომელიც განსხვავდება ბაზარზე არსებულისაგან.

III პრინციპი:

უნდა განისაზღვროს რამდენიმე კონკრეტული იდეა საკუთარი პროდუქციისათვის და სისტემატურად შეფასდეს ბაზარი ერთ-ერთის თვალსაზრისით.

IV პრინციპი:

არ უნდა გეშინოდეს კონკურენტების — მათი არსებობა ადასტურებს ბაზრის რენტაბელურობას და სტიმულის წინაპირობაა.

ყველა იდეა დეტალურად უნდა იყოს განხილული:

1. პიროვნების უნარის და შესაძლებლობების თვალსაზრისით:

- აინტერესებს თუ არა იდეა ავტორს?
- გააჩნია თუ არა სურვილი, განახორციელოს ეს იდეა?
- მოუტანს თუ არა იდეის განხორციელება ავტორს საზოგადოებრივ პრესტიჟს?

2. ტექნიკური თვალსაზრისით:

- შესაძლებელია თუ არა წარმოების დაუყოვნებლივ დაწყება?
- როგორ უნდა შემოწმდეს პროდუქციის ეფექტურობა?
- რა მუშახელია საჭირო?
- რამდენი დროა საჭირო წარმოების დაწყებისათვის?

- რა სამართლებრივი სიერცვა ამ სფეროში?
- ვინ მოგაწვდით ნელდელულს?
- გაყიდვების რა მოცულობა არის საკმარისი პირველ წელს?
- რა დანადგარებია საჭირო?

3. ფინანსების თვალსაზრისით:

- პირველი წლის რეალური ბრუნვა;
- გაყიდვების ღირებულება;
- მოსალოდნელი მოგება;
- ბაზარზე შესვლის ღირებულება;
- ადმინისტრაციული ხარჯები;
- სავარაუდო სუფთა მოგება;
- დაფინანსების წყაროები;
- რისკის დონე.

4. მარკეტინგის თვალსაზრისით:

- საწარმოო სფეროს ცოდნა;
- რომელ კლიენტებს მოემსახურებით?
- როგორ მოიქცევიან კლიენტები და რა გავლენას მოახდენენ ბიზნესზე?
- ბაზრის მოცულობა;
- საერთო ვითარება ბაზარზე;
- უპირატესობები კონკურენტებთან;
- თქვენი იდეის გამოყენების შესაძლებლობა კონკურენტების მიერ;
- შეკვეთების რა რაოდენობაა საჭირო საწარმოს ასამუშავებლად?

დაგეგმვის საფუძვლები

დაგეგმვა წარმოადგენს პროცესს, როდესაც შეგნებულად განისაზღვრება მოქმედების მიმართულება და მიზანი განაპირობებს გადაწყვეტილებების მიღების და რეალიზაციის მოტივაციას.

ახალი სამწარმოო საქმიანობის დაგეგმვის ეტაპები

- კონკურენტების გაცნობა;
- რისკების შეფასება;
- პირველადი ბიზნეს-გეგმის დამუშავება;
- საწარმოს საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა;
- გადასახადების სქემის შერჩევა;

- ხარჯების ანალიზი და თანამშრომლების დაქირავების სქემა;
- ინვესტიციების რეალიზაციის ადგილის შერჩევა;
- ბანკის შერჩევა.

ბიზნეს-გეგმა

ბიზნეს-გეგმის შექმნის პრინციპი წარმოდგენილია ამ გამოცემის შესაბამის თავში „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“.

ფირმის დაფუძნების პროცედურა:

1. ფირმის სახელწოდება;
2. განლაგება და ოფისი;
3. საქმიანობის სფერო;
4. საქმიანობის ფორმის შერჩევა — ფიზიკურ პირად რეგისტრაცია;
5. ფირმის რეგისტრაცია — განცხადება საქმიანობის დაწყების შესახებ.

სამეწარმეო საქმიანობა სოფლის ტერიტორიებზე

სოფლად სამეწარმეო საქმიანობის მთავარი სფეროები მოიცავენ:

- საწარმოს პროფილის შეცვლა შემდეგი მიმართულებებით: ყვავილების, დეკორატიული მცენარეების, უცნობი ხილის, სოკოს, ცხოველების (ბაჭია, ხოხობი, სირაქლემა, ლოკოკინა) მოშენება. მიღებული პროდუქციის რეალიზაცია შესაძლებელია როგორც მეურნეობაში, ასევე ადგილობრივ ბაზრობებზე, გამოფენებზე და ადგილობრივ რელიგიურ დღესასწაულებზე;
- ბოსტნეულის დიდი რაოდენობის გადამუშავება მეურნეობაში და მის ფარგლებს გარეთ;
- კომპეტენციიდან გამომდინარე სხვადასხვა მომსახურების გაწევა:
 - საეკატრო მომსახურება, კვების, ქიმიური პროდუქტების გაყიდვა, ტანსაცმელი და ა.შ.
 - მკერავის, პარიკმახერის, კოსმეტოლოგის მომსახურება;
 - კონსულტაციები რემონტის, დიზაინის, საბუღალტრო აღრიცხვ ის, მეურნეობის მართვის, მარკეტინგის და რეკლამის სფეროებში.
 - საკვები პროდუქტების წარმოება — პური, ნამცხვარი, სალათები და ა.შ. ბანკეტების ორგანიზაცია;
 - სოციალური მომსახურება, დახმარება მოსავლის აღებაში, ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მოვლაში და ა.შ.

აგნეშკა როვესკა

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

აბროტურისტული მმურნეობის ორგანიზაცია

I ტურისტული საქმიანობის შესაძლებლობების შეფასება

უნდა შეფასდეს:

- ⇒ რა გააჩნია მეურნეობას?
- ⇒ როგორია მეურნეობის გარემოცვა — სოფელი, რეგიონი, მეზობლები?
- ⇒ რა ცოდნა და გამოცდილება აქვს მეურნეობის მფლობელს?
- ⇒ რა განაპირობებს ტურიზმის განვითარებას?
- ⇒ რა უნდა შესთავაზო პოტენციალურ ტურისტს?
- ⇒ რატომ დახარჯავს ტურისტი ფულს თქვენს მეურნეობაში?

სოფელი და რეგიონი

ყველა სოფელი არ არის ხელსაყრელი აგროტურიზმის განვითარებისათვის, ბიზნესის დაწყებამდე გულდასმით უნდა ჩატარდეს რეგიონისა და საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი (ანალიზი SWOT — ძლიერი, სუსტი მხარეები, შანსები და საფრთხეები).

ტურისტულ მიმზიდველობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- ⇒ ბუნებრივი ობიექტები: ზღვა, მთა, პეიზაჟი, ლანდშაფტი;
- ⇒ სამშენებლო ინფრასტრუქტურა;
- ⇒ ტრადიციული სოფლის მეურნეობა;
- ⇒ ჰაერი, მიკროკლიმატი;
- ⇒ სოფლის ტექნიკური ინფრასტრუქტურა;
- ⇒ სისუფთავე და წესრიგი;
- ⇒ სპორტული ობიექტები (აუზები, ჩოგბურთის კორტები, ფეხბურთის მოედნები).

თავისუფალი დროის ფორმატი წარმოადგენს ტურიზმის მნიშვნელოვან ელემენტს. სპორტის და დასვენების გარდა ტურისტების ყოფნა მეურნეობაში უნდა გამრავალ ფეროვნდეს მათი ლოკალურ ღონისძიე-

ბებში მონაწილეობით — ფესტივალები, მასტერ-კლასები, გამოფენები და ა.შ.

მომსახურება

მომსახურება ტურისტული საქმიანობის მნიშვნელოვანი ელემენტია, ზოგი მათგანი პირდაპირაა დაკავშირებული ტურისტულ საქმიანობასთან — აღჭურვილობის, ველოსიპედების, ნავეების, ციგების გაქირავება — თანხლები მომსახურება — გასტრონომია, ტრანსპორტი და ა.შ.

II განთავსების ადგილის მომზადება

განთავსება — ტურისტული მომსახურების უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

- ⇒ კომფორტული ძილი;
- ⇒ დასვენება;
- ⇒ პირადი ჰიგიენა;
- ⇒ პირადი სარგებლობის საგნების შენახვა;
- ⇒ ტელეკომუნიკაცია;
- ⇒ რადიოს მოსმენის საშუალება და ა.შ.

ობიექტები, რომლებიც ემსახურებიან ტურისტებს, უნდა აკმაყოფილებდნენ სანიტარიულ და სამშენებლო ნორმატივებს, დაცული იყოს ხანძრისაგან შესაბამისი დანადგარებით;

სოფლად განთავსების შესაძლებელი ფორმებიდან შეიძლება გამოეყოს:

სასტუმრო ოთახები — ოთახი, რომელიც ემსახურება 4 ადამიანს საძინებელი, სასადილო, ტუალეტი, აბაზანა და სხვა ოთახებით;

ბინა არდადაგებზე — განთავსების დამოუკიდებელი ობიექტი, რომელიც შედგება 1-3 ოთახისაგან: საძინებელი, აბაზანა, ტუალეტი და შესაბამისად აღჭურვილი სამზარეულო. ბინას ქირაობს ოჯახი, ან ტურისტების ჯგუფი.

სასტუმრო სახლი — დამოუკიდებელი ობიექტი, მთლიანად მომზადებული ტურისტების მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად. ადგილები 2-5 საძინებლით, სამზარეულოთი, ტერასებით, ტუალეტით და ა.შ.

აგროტურიზმის ფარგლებში გამოიყენება რიგი სხვა ობიექტებიც — სანატორიუმები, პანსიონატები, სოფლის სასტუმროები, კარვის ქალაქები და ა.შ.

III კვებით უზრუნველყოფა

განთავსებას პირდაპირ უკავშირდება, კვებით უზრუნველყოფის აუცილებლობა, რაც ტურისტების მოთხოვნილებით და მფლობელის შესაძლებლობებითაა განპირობებული. სრული პანსიონი არის სამჯერადი კვება: საუზმე, სადილი და ვახშამი. არასრული პანსიონია საუზმე და ცხელი ვახშამი, უკანასნელი წარმოადგენს მოხერხებულ ფორმას აქტიური ტურისტებისათვის. პოპულარულია დამოუკიდებელი კვების ფორმები. ამ შემთხვევაში ტურისტებს უნდა შეექმნათ შესაძლებლობა, თვითონ მოიშაღონ საკვები. დამოუკიდებელი კვების ფორმით აღჭურვილი გასაქირავებელი ბინები ყველაზე მოთხოვნადი ობიექტია არდადეგების და შეებულების პერიოდში.

IV ფასების პოლიტიკა

ფასების განსაზღვრის სტანდარტები არ არსებობს. ფასი პირდაპირაა დამოკიდებული ობიექტზე ტურისტის ყოფნის ხანგრძლივობაზე. საერთო პრინციპი ასეთია: რაც უფრო ღიდხანს იმყოფება ტურისტი ბინაზე ან სასტუმრო სახლში, მით ნაკლებია საშუალო დღე-ღამური ფასი. მფლობელმა შეიძლება დააწესოს სეზონური და სადღესასწაულო ფასდაკლება, მოიზიდოს მუდმივი კლიენტები და ჯგუფები.

V რეკლამა

ობიექტის განლაგება პრინციპულად მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმატებისათვის, მაგრამ სარეკლამო ინსტრუმენტების გარეშე შეუძლებელია ტურისტის მოპოვება და ადგილზე დამაგრება. ინტერნეტის პოპულარობიდან გამომდინარე, კარგია საკუთარი ინტერნეტ-საიტის შექმნა იმისათვის, რომ თქვენი ობიექტის შესახებ პოტენციურმა კლიენტმა მოიპოვოს შესაბამისი ინფორმაცია. ინტერნეტში უნდა განლაგდეს ოთახების, შენობის და პეიზაჟების სურათები. სასურველია გამოიცეს სარეკლამო ბუკლეტები, რომლებიც ვრცელდება შეხვედრების და ღინისძიებების დროს. რეგიონალურ აგროტურისტულ ასოციაციაში გაწე-

ერიანება საშუალებას იძლევა, გამოიყენოთ საერთო ინტერნეტ-გვერდი და მონაწილეობა მიიღოთ ტურისტულ გამოფენებში. რეკლამის ფონზე მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხი, ვინაიდან, თუ ტურისტი კმაყოფილი იქნება მომსახურებით, ის დაბრუნდება თვითონ და რეკომენდაციას გაგიწევთ თქვენ საკუთარ ნაცნობებთან და მეგობრებთან.

VI თვითორგანიზაცია

აგროტურისტული მეურნეობების ფორმალური და არაფორმალური გაერთიანებები საწარმოს განვითარების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენენ. გაერთიანებებმა შეიძლება იმოქმედონ ორი მიმართულებით:

- ურთიერთდახმარება რეგიონის მასშტაბით;
- ფორმალური ან ეროვნული ხასიათის ორგანიზაცია;

მოქმედების არაფორმალური კოორდინაცია წარმოადგენს სექტორის განვითარების საშუალებას, რომელიც შესაბამისი პირობების ფონზე ფორმალურ სახეს იღებს.

გაერთიანება — ნებაყოფლობითი, თვითმართვადი მუდმივი არაკომერციული გაერთიანებაა, რომლის საქმიანობაც ეფუძნება ამხანაგობის წევრების საზოგადოებრივ ძალისხმევას.

გაერთიანების მიზნებია:

- სოფლის ტურიზმის სექტორის ლობირება;
- საკუთარი წევრების კვალიფიკაციის ამაღლება, სემინარების და ინსტრუქტაჟის ჩატარება;
- წევრების ინტერესების დაცვა;
- ხარისხის კონტროლი;
- მარკეტინგი.

პოლონეთში 45 აგროტურისტული გაერთიანება ფუნქციონირებს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან სოფლის ტურიზმის პოლონურ ფედერაციაში „სტუმართმოყვარე მეურნეობები“ (PFTW), PFTW არის ევროპის სოფლის ტურიზმის ასოციაციის წევრი (EUROGITES).

VII კატეგორიზაცია

კატეგორიზაცია საშუალებას იძლევა, კვალიფიცირებული ექსპერტების მიერ შეფასდეს ობიექტის ხარისხი, რაც მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საშუალებაა. ხორციელდება ობიექტების სტანდარტი-

ზაცია, რეკომენდაციების მომზადება მარკეტინგისთვის და სარეკლამო პოლიტიკისათვის.


პოლონეთში, ისევე როგორც ევროკავშირში, აგროტურისტული მეურნეობების იურიდიული ნორმირება არ ხდება. ამასთან, ასოციაციის წევრებმა დამოუკიდებლად შეიმუშავეს მომსახურების ხარისხის შეფასების სისტემა.




იონა და შანკა ვლადარსკების საოჯახო აგროტურიზმის მეურნეობა „ფერმა“
დაბა იანტარში



ირენა და რომან სტოლმანემის საოჯახო აგროტურისტული
მეურნეობა ს. სიპანიცაში



ელენე და პეტრე ჩიუების საოჯახო მეურნეობა ს. ლაშკაში, რომელიც დამატებით ბიზნესს აწარმოებს.



გლეზების მხარდაჭერა დამატებითი არასრული სამეურნეო შემოსავლის ორგანიზებაში — ვაზის ლერწით კალათების მოწვნა.

ემა შიმანსკა

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

ინსტიტუტების მნიშვნელობა მეწარმეობის განვითარებაში

მეწარმეობის განვითარება, რომელიც წარმოადგენს სოფლის ეკონომიკური წინსვლის აუცილებელ პირობას, უკავშირდება მრავალ პრობლემას. მათ შორის ტიპიური სირთულეები შემდეგია:

- შეზღუდული მოთხოვნილება, რაც სოფლის მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარით არის განპირობებული;
- სასტარტო კაპიტალის არარსებობა;
- ტექნიკური ინფრასტრუქტურის არარსებობა;
- სოფლის მოსახლეობის დაბალი აქტიურობა, რაც დაბალი კვალიფიკაციით, სპეციფიკური აზროვნების და მოქმედების სტერეოტიპებით და დაბალი ელასტიურობით (სხვა არასასოფლო-სამეურნეო პროფესიების ათვისება) აიხსნება.

ამ პირობებში სოფლად მეწარმეობის განვითარება მნიშვნელოვან მხარდაჭერას მოითხოვს სახელმწიფო ინსტიტუტების, არაკომერციული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან. მხარდაჭერა უნდა იყოს მრავალფეროვანი სხვადასხვა ფორმების გამოყენებით, მაგალითად, დოტაციები, სესხი, კრედიტი, თავდება, კოლსალტინგი, ტრენინგი და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერას, რომლებიც საკუთარ რეგიონში უშუალოდ მონაწილეობენ სოფლის ტერიტორიების განვითარებაში. თვითმმართველობის ინიციატივები შეიძლება იყოს:

1. სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება პოტენციალური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი ვითარების შექმნისათვის;
2. სოფლის განვითარება და საინვესტიციო გეგმების აღრიცხვა;
3. სოფლის ინფრასტრუქტურაში (ტელეკომუნიკაციები, გზები, წყალმომარაგება, კანალიზაცია და ა.შ.) ინვესტიციების დაბანდება;

4. ინვესტიციებისათვის შეღავათების სისტემის გამოყენება (ადგილობრივი გადასახადებისაგან ნაწილობრივი განთავისუფლება და ა.შ.);
5. ადგილობრივი ადმინისტრაციის მხარდაჭერა (ნებართვის გაცემა, რეგისტრაცია და ა.შ.);
6. რაიონის ტერიტორიაზე ფინანსური ინსტიტუტების განლაგება, რაც გლუხს გაუადვილებს მათთან ურთიერთობას მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით;
7. რაიონის მარკეტინგი.

ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია სხვა საშუალებებიც, ხელი შეუწყოს სოფლად მეწარმეობის განვითარებას (ახალი ფირმების განთავსება საკუთარ ტერიტორიაზე, დოტაციებით უზრუნველყოფა, იურიდიული და კონსალტინგური კონსულტაციები), სათავეებო გარანტიების და თანმხლები ამოცანების (მაგალითად, კომუნალური მომსახურება) რეალიზაციის ფონზე.

სახელმწიფო და არაკომერციული ინსტიტუტების მიერ სოფლის მეწარმეობის ორგანიზაციული, კოლსანტინტური და ფინანსური მხარდაჭერა

პოლონეთში ფუნქციონირებს მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორის განვითარებისათვის მხარდამჭერ ორგანიზაციათა ქსელი (MSP), რომელსაც გააჩნია სხვადასხვა რესურსი, მათ შორის — სოფლის ტერიტორიებზე. ბოლო რამდენიმე წელიწადში პოლონეთში იქმნება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული სისტემა, რომელმაც უნდა მოიცვას სამი დონე: ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი. ამ სისტემაში შედის როგორც სახელმწიფო ინსტიტუტები, ასევე არაკომერციული ორგანიზაციები და კერძო ბიზნესი, რომლებიც სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებით იზიდავენ საჭირო თანხებსა და რესურსებს.

1. ეროვნული დონე (ცენტრალური) — მხარდაჭერას ახორციელებს მეწარმეობის განვითარების პოლონური სააგენტო (PARP), რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტია;
2. რეგიონალური დონე — მხარდაჭერას ახორციელებენ ფინანსი-

რების რეგიონალური ინსტიტუტები (RIF), რომლებიც მართავენ ევროკავშირის პროგრამებს MPS სექტორისათვის. PARP და საგუბერნიო მმართველობასთან ერთად პროგრამების რელიზაცია გულისხმობს განაცხადების საფუძველზე ევროკავშირიდან შესაბამისი საბიუჯეტო თანხების მიღებას და მართვას;

3. ლოკალური დონე — ახორციელებს მხარდაჭერას:

ა) სპეციალიზირებული არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან მცირე და საშუალო ბიზნესის მომსახურების ეროვნულ სისტემაში (KSV), რომელიც ემსახურება მეურნეობებს და ინდივიდუალურ მეწარმებს.

- კონსულტაციური მომსახურება—როგორც საერთო (მ.შ. მარკეტინგი, ფინანსები, სამართალი, მართვა, ხარისხის კონტროლი და ექსპორტი), ასევე ინოვაციური —ანუ ახალი ტექნოლოგიების, პროდუქციის და მომსახურების დანერგვა;

- ინფორმაციული მხარდაჭერა:

- მეწარმეობის, სამართლებრივი უზრუნველყოფის, დაფინანსების წყაროების და გამოფენების ინფორმაციული მხარდაჭერა;

- საწარმოს წინადადებების საერთო ბაზაში შეტანა ახალი პარტნიორების და კონტაქტების ძიების მიზნით;

- პოტენციური პარტნიორების ძიება საერთო ბაზაში;

- საგანმანათლებლო;

- დამწყები მეწარმეებისათვის;

- დარგობრივი სემინარები;

- საერთო სემინარები (კომპიუტერი, ენა);

- ფინანსური:

- თავდებით უზრუნველყოფა;

- სასტარტო თანხების გამოყოფა.

ბ) კერძო სექტორი —საკონსულტაციო და სატრენინგო ფირმები, PARP-ის აკრედიტაციის მქონე ექსპერტები და კონსულტანტები, რომლებიც კომერციულ მომსახურებას უწევენ MSP-ს.

მეწარმეობის გაფართოება

ხშირად ეს პროცესი საერთოდ არ განიხილება სოფლის ტერიტორიების განვითარების სისტემის ნაწილად. მეწარმეობის გაფართოება გულისხმობს იმ მოქმედებებს, რომლებიც ბიზნესის რომელიმე სახეობის და საქმიან

ურთიერთობებში ახალი მონაწილეების ჩართვაზეა ორიენტირებული, ამისათვის აუცილებელია:

- სოფლად ახალი საწარმოების შექმნის სტიმულირება;
- სხვადასხვა ფორმის სამეწარმეო საქმიანობისათვის სოფლის მოსახლეობის სტიმულირება;
- სოფლის ფირმების მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების რეალიზაციისათვის ახალი კლიენტების და ბაზრების მოძიება.

ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია ტერიტორიის იმიჯზე ზრუნვა, რაც გულისხმობს რეგიონის შესახებ ინფორმაციის რეგულარულად განთავსებას მასმედიაში და ინტერნეტში, ეკონომიკური ფორუმების (ბაზრობები, კონფერენციები), კულტურული ღონისძიებების მოწყობა, საინფორმაციო ბროშურების გამოცემა.

აუცილებელია კომპლექსური საინვესტიციო წინადადებების მომზადება, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ამოცანაა. ეს წინადადებები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საკანონმდებლო მოდიფიკაციის, ტექნიკური ინფრასტრუქტურის, მოქმედი შეღავათების, შესაძლო ინვესტიციებისა და ტერიტორიის განვითარების შესახებ. ასეთი წინადადებების განთავსება ხდება სპეციალურ კატალოგებში და მონაცემთა ბაზაში, გაიტანება გამოფენებსა და ეკონომიკურ ფორუმებზე, წინადადებები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსახლეობისათვის.

მნიშვნელოვანია ფერმერების მიერ საკუთარი ნაწარმისა და მომსახურების მომხმარებელთა ძიება. საჭიროა საქონლისა და მომსახურების კატალოგების გამოცემა, ლოკალური გამოფენებისა და ბაზრობების ორგანიზება, გამოფენებში მონაწილეობა. ყველა ეს ღონისძიება სოლიდურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული და სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსებას საჭიროებს. ასეთ ღონისძიებებს ორგანიზაციულად მხარი უნდა დაუჭიროონ არაკომერციულმა ორგანიზაციებმა.

V

სოფლის
ტერიტორიების
განვითარება

ევა შიმანსკა

სასოფლო-სამეურნეო კონსულტირების პომორსკის ცენტრი
სტაროე პოლეს განყოფილება

სოფლის ტერიტორიების განვითარება

სოფლის ტერიტორიების განვითარების პროგრამირება

ევროკავშირის მხარდაჭერის პროგრამების დანერგვის პრაქტიკა მოითხოვს ევროპული ფონდების პოლიტიკასთან განვითარებისა და დაგეგმარების ინსტრუმენტების კოორდინაციას. ეს ეხება განვითარების სტრატეგიის შემუშავებას როგორც ეროვნულ, ასევე ლოკალურ დონეებზე. დაგეგმარების ძირითად მეთოდს სტრატეგიული დაგეგმარება წარმოადგენს.

სტრატეგია არის კონკრეტული მიზნის რეალიზაციისათვის მოქმედების გეგმის შემუშავება. ლოკალური განვითარების სტრატეგია წარმოადგენს ლოკალური თანამეგობრობის განვითარების სასურველ დონეს კონკრეტული მოქმედების გეგმით. გრძელვადიანი დოკუმენტი, განვითარების სტრატეგია საშუალებას იძლევა, გრძელვადიან პერსპექტივაში განხორციელდეს მოქმედებების მიზანმიმართული მენეჯმენტი.

ევროკავშირი მოითხოვს, რომ აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

1. პარტნიორობა — დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს ყველა სუბიექტი, ვინც შემდეგში უნდა განახორციელოს პროექტი;
2. სტრატეგიის სოციალური მიმართულება — მოსახლეობა თავად განსაზღვრავს მიმდინარე პრობლემებს, მათი დაძლევის გზებს, აფიქსირებს პრიორიტეტებს, ტერიტორიის რესურსებს, ფინანსურ, ადამიანურ და სხვა შესაძლებლობებს;
3. პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა — აღწერს განვითარების პროგრამის რეალიზაციისათვის საჭირო სხვადასხვა ფინანსური რესურსების (კერძო და სახელმწიფო) გაერთიანების პრინციპებს;
4. მონიტორინგი — აღწერს პროგრამის კონტროლის მეთოდებს და კრიტერიუმებს;

5. რესურსების კონცენტრაცია — პრიორიტეტული ამოცანების რეალიზაციისათვის ფინანსური რესურსების კონცენტრაცია;
6. სუბსიდარობა (ფუნქციების განაწილება) — თუ შესაძლებელია ამოცანის რეალიზაცია დაბალ რგოლში, მისი რეალიზაცია არ უნდა დაევალოს მომდევნო რგოლს.

განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში აუცილებელია სხვადასხვა მეთოდების გამოყენება. საუკეთესო მეთოდად საზოგადოებრივი განხილვის და ექსპერტიზის მეთოდი ითვლება, რაც ერთის მხრივ, პროექტის მომზადებაში მოსახლეობის მაქსიმალურ მონაწილეობას უზრუნველყოფს, ხოლო მეორეს მხრივ-კომპეტენტური ექსპერტების პროფესიონალურ შეფასებას სიტუაციის განვითარების პროგნოზირების თვალსაზრისით. ამგვარად, მომზადებული დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ქვეთავებს:

- განვითარების ფაქტორები;
- მიმდინარე სიტუაციის დიაგნოსტიკა;
- SWOT— პრობლემების ანალიზი;
- მიზნების ანალიზი;
- პრიორიტეტები და მოქმედება;
- დანერგვა და მონიტორინგი;
- სოციალური მიმართულება;
- დანართები;
- წყაროები.

სოფლის განახლება

სოფლის განახლების პროგრამის კონცეფცია შემუშავდა გასული საუკუნის 60-იან წლებში ბაეარიაში და სწრაფად გავრცელდა სხვა გერმანულ მიწებზე და ქვემო ავსტრიაში. ამ პროგრამამ 70-80-იან წლებში დადებითად გადაჭრა სოფლად სოფლის მეურნეობის განვითარებითა (სამრეწველო წარმოება) და სოფლად ცხოვრების ქალაქური სტილის დანერგვის მცდელობით გამოწვეული მრავალი პრობლემა, რამაც განაპირობა ახალგაზრდობის მიგრაცია და მიტოვებული ტერიტორიების აღმოცენება.

სოფლის განახლება წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია სოფლად სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებისაგან ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობისა და მიმდინარე მოვლენებზე პასუხისმგებლობის გაზრდის გზით.

სოფლის განახლების პროგრამის ამოცანაა, შესაბამისი პირობების შექმნით, სოფელი გახდეს უფრო მიწიძველი როგორც სამოღვაწეოდ, ასევე საცხოვრებლად. ამასთანავე, სოფლებს უნდა შეუნარჩუნდეთ იდენტურობა, ცხოვრების სტილი, კულტურული, სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობა.

აღნიშნული პროგრამა შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმულით:

სოფლის განახლება = გლეხების პასუხისმგებლობა და ინიციატივა + ლოკალური რესურსები + საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

პოლონეთში სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ლოკალურ დონეზე 90-იანი წლებიდან ფუნქციონირებს. მეზობელი ქვეყნების, განსაკუთრებით ავსტრიის, პოზიტიურმა გამოცდილებამ განაპირობა ადგილობრივი თვითმმართველობის აქტიური მოქმედება სოფლების განვითარების თვალსაზრისით. პირველმა ეს, 1997 წელს, ოპოლსკის საოვეოდომ შესძლო, 2001 წელს კი — პომორსკის საოვეოდომ. ამ პროგრამების რეალიზაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდებოდა. ევროკავშირში შესვლის შემდეგ თანადაფინანსების ფუნქცია ევროკავშირის სტრუქტურულმა ფონდებმა იკისრეს და დაგროვებული გამოცდილება გაერცეულა პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე.

პროგრამის რეალიზაციის მიზეზი გახდა იმის რწმენა, რომ შეუძლებელია სოფლის ტერიტორიების კრიზისის დაძლევა ლოკალური რესურსების და მოსახლეობის აქტიური მონაწილეობის გარეშე. თემმა რეალიზაცია უნდა გაუკეთოს საკუთარ პროექტებს და თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ მომავალზე. ლოკალური განვითარება, პარტნიორობისა და სოლიდარობის პრინციპებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია გარედან დახმარების გარეშე.

პროგრამის ყველა მონაწილეს აქვს თავისი ფუნქცია:

1. გლეხები:

- ირჩევენ ლიდერს ან ლიდერთა ჯგუფს (სოფლის განახლების ჯგუფი);
- შეიმუშავენ სოფლის განვითარების გეგმას (სოფლის მცირე სტრატეგია);
- განსაზღვრავენ პრიორიტეტულ მიმართულებებს;
- ინიციატივების რეალიზაციის მიმართულებით თანამშრომლობენ რაიონის ხელმძღვანელობასთან (რაიონის საბჭო ამტკიცებს განვითარების გეგმას);

- მონაწილეობენ ინიციატივების რეალიზაციაში, საორგანიზაციო, ფინანსური, მატერიალური და ფიზიკური რესურსებით.

2. რაიონი:

- კოორდინაციას უწევს პროგრამის რეალიზაციას საკუთარ ტერიტორიაზე;
- მხარს უჭერს სოფლის ლიდერს;
- ამტკიცებს განვითარების პროგრამას და გამოყოფს ფინანსებს ინიციატივების თანადაფინანსებისათვის;
- აწარმოებს დაგეგმილი ინვესტიციების ტექნიკურ დამუშავებას და პასუხს აგებს პროექტის ფინანსურ კანონიერებაზე;
- მიმართავს გუბერნიას თანადაფინანსების წინადადებით პროგრამის ფარგლებში;
- ორგანიზაციული და ფინანსური ფორმით მონაწილეობას იღებს ინიციატივების რეალიზაციაში.

3. გუბერნიის თვითმმართველობა (მარშალკის) ადმინისტრაცია:

- ახორციელებს პროგრამის კოორდინაციას გუბერნიის დონეზე;
- განიხილავს და ამტკიცებს თანადაფინანსების განაცხადებს, გამოპყოფს და აკონტროლებს ფინანსების რეალიზაციას;
- ახორციელებს ინფორმაციული მხარდაჭერის პროექტებს;
- ახორციელებს კვალიფიკაციის და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობის ორგანიზაციას (ტრენინგები).

2007-2013 წლებში პოლონური სოფლის განვითარების პროგრამების ძირითადი დამფინანსებლები ევროკავშირის ფონდებია. ამ პროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა „სოფლის განახლება და განვითარება“. გლეხების მიერ მოფიქრებული პროექტების განსახორციელებლად ფინანსური დახმარება გამოეყოფა გმინებს (სოფლებს), გმინების კულტურის დაწესებულებებს, კომერციულ ორგანიზაციებს.

შეიძლება დაფინანსდეს შემდეგი ინიციატივები:

- საზოგადოებრივი ადგილების, კულტურული, სპორტული და რეკრეატიული (დასასვენებელი) ობიექტების მშენებლობა და რემონტი;
- საზოგადოებრივი სარგებლობის სივრცის მოწყობა (ავტოპარკინგი, ტროტუარები, წყალსაცავების მოწყობა და ა.შ.);
- ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა;

- ადგილობრივი ისტორიული ობიექტების და ადგილების განახლება;
- ლოკალური სამშენებლო ტრადიციისათვის დამახასიათებელი საერთო სარგებლობაში მყოფი ობიექტების განახლება;
- ადგილობრივი ტრადიციების და სპორტის სახეობების მხარდაჭერა.

სოფლის განახლებას გააჩნია კონკრეტული მატერიალური ეფექტი, რომელიც სოფლის ახალი ესთეტიკური საშუალებების რეალიზაციაში გამოიხატება. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ იცვლება სოფლის მოსახლეობის აზროვნების სტილი და იზრდება პასუხისმგებლობა საკუთარი ტერიტორიების მიმართ და ცხოვრების ხარისხი.

LEADER — ევროკავშირის პროგრამაა, რომელმაც განვითარების აქტივიზაციისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების გზით ხელი უნდა შეუწყოს სოფლის ტერიტორიების განვითარებას. ეს პროგრამა მხარს უჭერს სოფლის განვითარების თანამედროვე სტრატეგიის დანერგვას, ადგილობრივი პარტნიორობის ჩამოყალიბებას, რეგიონის განვითარებისაკენ მიმართული ინიციატივების რეალიზაციას.

LEADER-მა ფუნქციონირება დაიწყო 1991 წელს სპეციალური ინიციატივების სახით, რომელიც შეიმუშაებდა სოფლის განვითარების ნოვატორიულ საშუალებებს. პროგრამის ექსპერიმენტალური ელემენტის გამო მას „სოფლის ტერიტორიების ლაბორატორია“ უწოდეს.

პროგრამის 7 ძირითადი პრინციპი — LEADER-ის მეთოდი

15 წლიანი ფუნქციონირების პროცესში პროგრამა LEADER-ის ფარგლებში ჩამოყალიბდა პროგრამის დაგეგმვის და რეალიზაციის შემდეგი პრონციპები, რომლებმაც LEADER-ის მეთოდის სახელი მიიღეს:

1. ლოკალური მიდგომა — მხარდაჭერა სოფლის ტერიტორიების პროგრამის ჩარჩოში. ტერიტორია უნდა იყოს ერთიანი, ჰქონდეს ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორიის მოცულობა განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობით და უნდა იყოს 10-150 ათასი ადამიანი. მხარდაჭერა გულისმობს განვითარების კონპლექსურ პროგრამას, რომელიც ესადაგება კონკრეტულ სიტუაციას და ითვალისწინებს საზოგადოებრივ აზრს.
2. პარტნიორული მიდგომა — პროგრამა LEADER-ის საფუძველს წარმოადგენს პარტნიორობა და თანამშრომლობა სამი სექტორის წარმომადგენლებს შორის.

- **ადმინისტრაცია** — ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სკოლა, კულტურის სახლი, კონსულტირების ცენტრი, სამეცნიერო დაწესებულებები, ბიბლიოთეკები და ა.შ.
 - **საზოგადოება** — არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სოციალურ დახმარებას, ემსახურებიან სპორტს, კულტურას, განათლებას, ტურიზმს, ასოციაციების ფუნქციონირებას, აგროპალატებსა და ა.შ.
 - **ბიზნეს-სექტორი** — მეწარმეები, მათი ორგანიზაციები, ბანკები, სხვა ფინანსური დაწესებულებები, რომლებიც მონაწილეობენ სოფლის განვითარების ინიციატივების რეალიზაციაში. ისინი ქმნიან მოქმედების ლოკალურ ჯგუფს, რომელიც პარტნიორული პრინციპებით ხელმძღვანელობს. კერძო სექტორის წილი არ შეიძლება 50%-ზე ნაკლები იყოს. ასეთი ჯგუფის მიზანს წარმოადგენს პროექტები, განვითარებისა და რეალიზაციის სტრატეგიის შემუშავება.
3. **ინიციატივა** — ფიქსირდება ყველა ეტაპზე, დაწყებული ლოკალური ჯგუფის შექმნით და შემუშავებული სტრატეგიის გეგმის რეალიზაციით დამთავრებული, რაც ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მონაწილეობას გულისხმობს.
 4. **ინოვაციური მიდგომა** — იგულისხმება, რომ პროგრამა LEADER ინოვაციურია თავისი არსით, მაგრამ ინოვაციური უნდა იყოს პროგრამის რეალიზაციის ინსტრუმენტებიც, რომლებიც იყენებენ ადგილობრივ რესურსს და ქმნიან ახალ პროდუქციას და გამოცდილებას.
 5. **ინტეგრირებული (კომპლექსური) მიდგომა** — წარმოადგენს აზროვნების და მოქმედებების ფორმას. LEADER-ი ტერიტორიების განვითარების პრობლემებს კომპლექსურად წყვეტს, რაც სხვადასხვა სფეროში გაწეული ძალისხმევების კოორდინაციას და გაერთიანებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში სოფლის განვითარების პროექტები ერთმანეთს აძლიერებენ, აღრმავენ საკუთარ კონკრეტულ ეფექტს და საქმიანობის სფეროებს მტკიცედ უკავშირებენ ერთმანეთს. მაგალითად, იმისათვის, რომ ტურიზმი კონკრეტულ ტერიტორიაზე განვითარდეს, აუცილებელია განთავსების და კვების ერთიანი ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ეფექტური ფუნქციონირება, სარეკლამო უზრუნველყოფა და ა.შ., რაც რამდენიმე დაწესებულების ერთიანი ძალისხმევით მიიღწევა;

6. პარტნიორობა და თანამშრომლობა. მოქმედების ადგილობრივი ჯგუფები ვალდებული არიან, მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ჩატარებულ გამოცდილების და ინფორმაციის გაცვლის სესიებში, რაც იძლევა ახალი ცოდნის შექმნის, საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებისა და ინფორმაციის გაერცვლების საშუალებას. ჯგუფები თანამშრომლობენ პროექტების რეალიზაციის ეტაპზე.
7. ლოკალური დაფინანსება და მართვა — მოქმედების ჯგუფები ამუშავებენ სოფლის განვითარების ლოკალურ სტრატეგიას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ადგილობრივი მოსახლეობის მიზნებს და მოლოდინებს. პროგრამისთვის გამოიყოფა დაფინანსება ინვესტიციების წყაროების და ტრანშების სახით. შემსრულებლები შეიძლება იყვნენ ნებისმიერი სუბიექტები, რომლებიც საქმიანობენ ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე. შესაბამისად ლოკალური ჯგუფები მართავენ და პასუხს აგებენ პროგრამის რეალიზაციაზე.

2007-2013 წლებში რეალიზებული იქნება ევროკავშირის ახალი პოლიტიკა სოფლის ტერიტორიებთან დაკავშირებით. ევროკავშირის ქვეყნები ვალდებული არიან, გამოიყონ სახსრების ნაწილი ამ პროგრამის LEADER-ის მეთოდით რეალიზაციისათვის (PROW 2007-2013 ბიუჯეტის 2,5-5%).

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა
„საქართველოს შტამბაში“ სტამბაში

მისამართი: თბილისი, გრ. რობაქიძის 7*



Pomorski Agricultural Advisory Centre in Gdansk
Department in Stare Pole
Marynarki Wojennej 21,
82-220 Stare Pole, Poland
Tel. (0-55) 270-11-00, Fax. (0-55) 270-11-62
www.podr.pl, e-mail: starepole@podr.pl